პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 8 აგვისტო 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 182 (2225)

დღიური

- სპარსული გაზეთი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ.
- ოვერგაგენს აუკრძალეს საარის ოლქში ჩასვლა.
- ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასკომის განცხადება.
- ყინულის მჭრელი „კრასინი“ მივიდა ტრომსეში.
- ზაგრებში მოკლეს ბელგრადის რადიკალურ გაზეთის რედაქტორი ლისტოვიჩი.
- ბომბეის ფეიქართა გაფიცვა გრძელდება.
- ამხ. ამბარცუმიანი ახალქალაქის მაზრაში.

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

ნახევარმილიარდიანი სესხი სოციალისტურ მშენებლობისათვის

მომავალ პირველ სექტემბრიდან, როგორც ვიცით, გამოშვებული იქნება საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის მეორე შინაური სესხი — 500 მილიონ მანეთის რაოდენობით, რომელიც მოხმარდება კაპიტალურ მშენებლობას როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის დარგში.

1922 წ. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად გამოუშვა სესხი — პურის სესხი 10 მილიონ ფუთის რაოდენობით. 1926-27 წ. სესხებიდან შემოვიდა 332 მილიონამდე. 1927-28 წ. საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია დაახლოვებით 700 მილიონი მანეთის მიღება სესხებიდან, რაც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 10 პროცენტზე მეტს შეადგენს. აი ზოგიერთი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი კრედიტის განვითარების უდიდეს ზრდას. ათმილიონიან პურის სესხიდან ნახევარმილიარდიან სესხამდე — ეს მართლაც ღირსშესანიშნავი ნაბიჯია წინ.

რით აიხსნება ასეთი წარმატება? — პირველ ყოვლისა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების არაჩვეულებრივად სწრაფი ტემპით და ამასთან დაკავშირებით მშრომელ მასების ნივთიერ კეთილდღეობის შეუჩერებელი ზრდით. ეს მკაფიო გამოხატულებას ჰპოულობს ჩვენი საკრედიტო სისტემის, კერძოდ სახელმწიფო სესხების საქმის მდგომარეობაშიც.

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ აქ აშკარავდება ერთი მხრით მუშათა და გლეხთა მასების ურღმესი ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მეორე მხრით მათი ურყევი გადაწყვეტილება და მისწრაფება — დაეხმარონ მას სოციალისტურ მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში. ეს მშენებლობა მათი საკუთარი საქმეა და მისთვის ისინი მზად არიან გაიღონ რაც შეუძლიათ.

ამავე დროს ჩვენს საკრედიტო სისტემას მტკიცე გეზი აქვს აღებული მშრომელ მოსახლეობაზე. კოლექტიური ხელმოწერა სესხის ობლიგაციებზე, შესატან ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ობლიგაციების მცირე ღირებულება და მათი კიდევ ნაწილებად დაყოფა, საკმაოდ მაღალი პროცენტები, ხშირი გათამაშებანი და მოგებათა დიდი რიცხვი — ყველაფერი ეს უადვილებს მშრომელთ შეიძინონ ობლიგაციები, აქედან საგრძნობი სარგებლობა მიიღონ და ეხმარება მათ მონაგარის შენახვაში—სესხებში მისი ხელსაყრელ პირობებში მოთავსების სახით.

ყველაფერი ეს თავდებია, რომ ახალი სესხის რეალიზაცია ისეთივე წარმატებით ჩატარდება, როგორც წინანდელ სესხების, განსაკუთრებით ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის რეალიზაცია. მაგრამ, ცხადია, ეს თავისთავად არ მოხდება. საჭიროა უდიდესი მუშაობის გაწევა.

ფართედ უნდა იქნეს დაყენებული ამ სესხის პოპულიარიზაციის საქმე. ყოველმა მშრომელმა, თვით მივარდნილ კუთხეებშიაც კი, უნდა შეიგნოს მისი მნიშვნელობა და დანიშნულება. ჩვენ გრანდიოზულ ამშენებლობას ვეწევით. ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის შემდგომი განვითარება. ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგება, სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია, რაც შეადგენს ჩვენი საქმიანობის შინაარსს, დიდძალ საშუალებებს მოითხოვს. კაპიტალისტური მსოფლიო არამც თუ არ გვეხმარება, პირიქით—ყოველნაირად გვიშლის ხელს ჩვენს მშენებლობაში. მისი განზრახვაა — საბჭოთა კავშირი გადააქციოს თავის აგრარულ დამატებად და საექსპლოატაციო საგნად, შეგვიქმნას დაბრკოლებები და სიძნელენი, რომ საბოლოო ანგარიშით მიაღწიოს თავის ოცნებას — პროლეტარიატის დიქტატურის დამხობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, განა მარტო შახტის პროცესმა არ ცხადყო, რომ კაპიტალისტები ყოველნაირად ცდილობენ ჩვენს აფეთქებას. საშუალებები სახალხო მეურნეობის განსავითარებლად, სოციალისტურ მშენებლობის გასაშლელად, (ცხადია, ჩვენვე უნდა გამოვნახოთ. ყოველმა მშრომელმა უნდა მიაშველოს მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს თავისი წვლილი, რომ ამით ეკონომიურად განამტკიცოს იგი და ჩაშალოს ჩვენი მტრების ბოროტი ცდები. ამასთან მუშებს და გლეხებს უნდა განუმარტოთ ის სარგებლობა, რომელსაც აძლევს მათ სესხის შეძენა.

ფართედ უნდა გავშალოთ ორგანიზაციული მუშაობა. მრავალი მშრომელი სესხების სისტემაში კიდევ არ არის ჩაბმული. სახელმწიფო სესხებში ჯერ-ჯერობით მონაწილეობს პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშების და მოსამსახურეების (ათი მილიონი კაცი) 60 პროცენტი. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხზე ხელი მოაწერა დაახლოვებით 9 მილიონ გლეხმა. ამგვარად, ჯერ კიდევ უდიდესი შესაძლებლობა არსებობს სესხებში ახალი მასების მისაზიდად. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: არც ერთი მუშა და გლეხი არ უნდა დარჩეს ისე, რომ ინდუსტრიალიზაციის ახალი სესხის ობლიგაციები არ შეიძინოს.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გადაჭრით უნდა იქნეს უარყოფილი ყოველგვარი იძულება სესხის გავრცელების საქმეში. ამ მხრივ არ უნდა განმეორდეს ის შეცდომები, რომლებსაც აქა-იქ ჰქონდა ადგილი გლეხის მეურნეობის სესხის რეალიზაციის დროს. უნდა იქნეს დაცული სრული ნებაყოფლობის პრინციპი. წინააღმდეგ შემთხვევაში სესხების იდეას ჩვენ ძირს გამოუთხრით. ყოველგვარი იძულების გარეშე, განმარტებითი კამპანიის და სესხის გავრცელების საქმის სათანადო დონეზე დაყენებით, პარტიულ, პროფესიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ენერგიული მუშაობით ჩვენ უეჭველად შევსძლებთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ნახევარმილიარდიანი სესხის მთელი ასი პროცენტით რეალიზაციას, რაც იქნება ჩვენი უდიდესი გამარჯვება სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე. მუშაობა ამ მიმართულებით ამთავიდანვე უნდა გავაჩაღოთ.

მუშათა პარტიის ახალი პროგრამა

(წერილი ინგლისიდან)

მუშათა პარტიის ახალ საარჩევნო პროგრამას არავითარი გაკვირვება არ გამოუწვევია თვით დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წევრებს შორისაც, თუმცა აქ სავსებით უარყოფილია დამოუკიდებელთა „თანამედროვე სოციალიზმის“ პროგრამაც. ძნელია, თითქმის შეუძლებელიც ახლად მიღებულ პროგრამაში სოციალისტური იდეებისა და პრინციპების ნიშანის პოვნა. „შრომის და ერის“ (ასეთი სახელი ჰქვია ამ ახალ პროგრამას) 50 გვერდი“, რომლის მანძილზე მუშათა პარტიის ბელადები თავიანთ ახალ პროგრამის გადმოცემას ცდილობენ, წარმოადგენს ბუნდოვანი, არეული და ხშირად ერთი მეორის საწინააღმდეგო, ან კიდევ ბანალური აზრების დომხალს, რომელსაც ასე შეგვაჩვიეს რეფორმისტებმა. საკმაოდ დიდი ენერგიაა დახარჯული, სოციალისტური იდეების მისაფუჩეჩებლად, მათ „ლიბერალიზაციის“ მოსახდენად. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ დაუსრულებელ რიტორიკაში ამოშლილია ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორიცაა მუშა, მუშათა კლასი და სხ. ისინი განზრახ შეცვლილია სიტყვებით—საზოგადოება, ერი.

მუშათა პარტიის ახალი პროგრამა ბუნდოვანი და უუნარია. ამაოთ გვიხატავენ მას როგორც „ახალი ეპოქის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს („დეილი ჰერალდი“) ან როგორც „განუზომელი მნიშვნელობის „პროგრამას“ (მაკდონალდი); იგი არაფერს შეიცავს ახალს. მისი უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იქ საბოლოოდ აღიარებულია მუშათა პარტიის გადაგვარების ფაქტი.

ეს პროგრამა, განხილული არ იქნება მუშათა მასების კრებებზე და მუშათა პარტიის მიმავალ ყრილობასაც ბირმინგამში უფლება აქვს მხოლოდ დაადასტუროს იგი. ეს თვით მაკდონალდმა განაცხადა. „ჩვენ მიერ საგნების და მოვლენების გაგება ასეთია, სთქვა მან: ჩვენ პროგრამას წარმოვადგენთ; იმათთვის ვინც მას მიიღებს, ჩვენი კარები ღიაა, ხოლო ვინც ვერ შევვითავსდება, ჩვენ მათ ბრძოლას გამოუცხადებთ“.

აი ეს გახლავთ „დემოკრატიული“ სულის გამომჟღავნების თვალსაჩინო მაგალითი. ეს მოდა ეხლა შემოიღეს რეფორმისტებმა.

აჰა თქვენი ახალი პროგრამა. ასე ეუბნებიან ისინი მუშათა მოძრაობას. ან უნდა მიაღოთ იგი ან არა და უარჰყოთ.

ეს გახლავთ ახალი და გარკვეული გაფრთხილება დამოუკიდებელ მუშათა პარტიისადმი, რომ მან გვერდზე გადასდოს თავისი „თანამედროვე სოციალიზმის“ პროგრამა.

მუშათა პარტია ამიერიდან მომავლის პარტიას როდი წარმოადგენს, არამედ „გარდამავალი“ ხანის პარტიას. საამისოდ იგი უდიდეს ნახტომს აკეთებს, ნახტომს უკან, წარსულისაკენ. ხელს იღებს იმ პრინციპებზე, რომელნიც საფუძვლად ჰქონდა მას დადებული, რომელთაც იგი გახადეს მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო პარტიად.

იგი იქცევა დღეს ჩვეულებრივი საარჩევნო პარტიად, გარდა ხმების ბიულეტენისა და კლასთა შეთანხმების, შეგუების მეტი სხვა იდეალი აღარ მოეპოვება.

იგი ლოიდ ჯორჯის ხელში გამოწვრთნილ ლიბერალური პარტიის უბრალო მემკვიდრეა და სხვა არაფერი. ამას მაკდონალდისავე სიტყვებით, დროის შესაფერი იდეების შეთვისება ჰქვია.

ახალი პროგრამა ანგარიშს არ უწევს არც მუშათა ინტერესებს, როგორც განსაზღვრული კლასისას, არც მათ მისწრაფებებს. პარტია ამჟამად მხოლოდ მოძრაობის ხელმძღვანელ ლიდერების სურვილების, მიზნებისა და ნების ყოფის გამომსახველი.

ის ანგარიშს არ უწევს მუშათა კლასს, თქვეფს მას „ერში“, რომლის ინტერესს ის ყველაზე მაღლა აყენებს.

ცნობილია, თუ რას მოასწავებს კაპიტალისტურ სისტემაში სიტყვა ერი?—მყვლეფელ უმცირესობას.

მუშათა ახალ პროგრამაში უკვე აღარ ჰქადაგებენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, აქ ლაპარაკია მის „ნელი, თანდათანობითი გარდაქმნაზე და ობიექტიური პირობების ანგარიშის გაწევით“.

[illegible]ანაირად რომ ვსთქვათ, იგი სოციალიზმის კაპიტალიზმთან შეგუებას ჰქადაგებს.

მუშათა პარტიის გრძელ თეზისებში შეგვიძლია დუმილით აუაროთ გვერდი კონსერვატორთა პარტიის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებს.

შესაძლო იყო, სიტყვის შეუცვლელად შეგვებრუნებინა ეს ბრალდებები და ისევ მუშათა პარტიისათვის წაგვეყენებინა. აკი მისი პოლიტიკა არსებითად სხვა რა იყო თუ არა ღალატის და მუცელზე ხოხვის პოლიტიკა.

უარყვეს ყოველივე რაც ამ პარტიის წარსულ ძალას წარმოადგენდა, ამ პოლიტიკამ თავი იჩახელა ბალდუინის მთავრობასთან გულმოდგინე თანამშრომლობით, პარლამენტში პასივობით, ყოველივე რევოლიუციონური სულის ჩაქრობით და საწყისშივე მუშების მოძრაობაში წინააღმდეგობის გრძნობის ჩახშობით. ამ პოლიტიკამ მოახდინა სრული კაპიტულაცია კაპიტალისტების წინაშე და მათთანვე გამართა ვაჭრობა რათა შემდეგ ხმა მიეცათ აშკარად რეაქციონურ და მუშათა ინტერესებისათვის საზარალო კანონებისათვის. ყოველი თავისი ნაბიჯით მუშათა პარტია გზას უკვალავდა კონსერვატორების მთავრობას.

მართალია მაკდონალდი დიდი რიხით გაიძახის რომ „სოციალისტური ჰანგი გარკვეულად მოისმის ამ დოკუმენტის ყოველ გვერდიდანო“, მაგრამ დოკუმენტში აღნიშნული ზომები, თვით ლედნის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სხვას არაფერს წარმოადგენენ, გარდა „უშუალო რეფორმებისა, რომელიც პარლამენტმა უნდა მიიღოს რათა ქაოსიდან წესრიგი წარმოიშვას“.

ეს სახურველი რეფორმა სამოცდასამია. ისინი შემდეგ პრობლემებს შეეხებიან: სამრეწველო კანონმდებლობას, უმუშევრობას, მრეწველობისა და აღებმიცემობის განვითარებას. სასოფლო მეურნეობას, სოციალურ კანონმდებლობას, აღზრდა - განათლებას, სახელმწიფო ფინანსებს, საერთაშორისო მშვიდობიანობას, დომინიონებს, პოლიტიკურ დემოკრატიას. უმთავრესი მოთხოვნები შემდეგია: ტრედუნიონების საწინააღმდეგო კანონების გაუქმება 48 საათის სამუშაო კვირის დაწესება, 8 საათის სამუშაო დღის მოსპობა მაღაროებში, ეკონომიური საბჭოს დაარსება, მაღაროების, ტრანსპორტის, ელექტრონის, ინდუსტრიის და დამზღვევი საზოგადოებების ნაციონალიზაცია, ბანკების კონტროლი, ერთა ლიგის ეკონომიური სექციის უფლების გაფართოება, სამხედრო ხარჯების შემცირება, სავალდებულო საერთაშორისო არბიტრაჟი, შეიარაღების შეზღუდვა საერთაშორისო შეთანხმებით იმ „მინიმუმამდე, რომელიც წესრიგის (პოლიციის) მიზნებისთვის არის აუცილებელი“, უფრო მეგობრული ურთიერთობის დამყარება ინგლისსა და დომინიონებს შორის, ინდოეთის მიღება ბრიტანეთის იმპერიაში დომინიონის უფლებით, ერთა ლიგის სამანდატო კომისიის ავტორიტეტის გაფართოება და გაძლიერება, თემთა პალატის უპირატესობის შენარჩუნება.

ასეთია მუშათა პარტიის პროგრამა. მაგრამ რადგან ჩვენ ის მოკლეთ გადმოვეცით, მკითხველს კიდევ არ შეუძლია სავსებით წარმოიდგინოს რეტროგრადული სული, რომლითაც იგი გაჟღენთილია.

კ. დავიდ.

ლონდონი, 24 ივლისი.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები საფრანგეთში და გერმანიაში

განხეთქილება გომინდანის რიგებში.-შანხაიში შესაძლებლად სთვლიან ახალ რევოლიუციონურ აჯანყებას

გომინდანს საჭიროდ მიაჩნია ხუ-ხან-მინის, ევგენი ჩენის, სუნ-ცზინ-ლინის და ვან-ცზინ-გეის დაბრუნება ჩინეთში

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები

გერმანიაში

ბერლინი, 6 აგვისტო. 4 აგვისტოს ლუსტჰარტენში გამართა ომის წინააღმდეგ დიდი დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო კომპარტიამ და ფრონტელების წითელმა კავშირმა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა. ქალაქის ყველა კუთხიდან მომავალ დემონსტრანტებს მოჰქონდათ მრავალი პლაკატი შემდეგი ლოზუნგებით: „ერთა ლიგა—ომის ლიგაა; მსოფლიო იმპერიალიზმი იარაზმება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციას შეუძლია მიანიჭოს კაცობრიობას მშვიდობა; იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად გადავაქციოთ. განსაკუთრებულის გულმხურვალეობით ხვდებოდნენ ვოროშილოვის სახელობის ბანაკის პიონერებს.

ორატორები დამსწრეთ მოუწოდებდნენ — იბრძოლონ იმპერიალისტური ომის საფრთხესთან, სოციალ-დემოკრატიის კოალიციონური პოლიტიკის წინააღმდეგ, მუშათა მასების გაერთიანებისათვის ლენინისა და ლიბკნეხტის დროშის ქვეშ და საბჭოთა კავშირის დაცვისათვის.

იმავე დღეს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გამართა მაინის ფრანკფურტსა, კიოლონსა, დიუსელდორფსა, მაინცსა, ვისბადენსა, იენსა, ხემნიცსა და ჰალეში.

5 აგვისტოს დიდი დემონსტრაციები გამართა ვანსა და ეიკელში რურის ოლქისათვის და ჰამბურგში ზღვის სანაპირო ოლქისათვის.

ბერლინი, 6 აგვისტო. ბერლინში გამართა ომის საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო ომისა და შრომის ინვალიდთა საერთაშორისო კავშირმა შემდეგი ლოზუნგით: ომი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. დემონსტრანტები შეიკრიბნენ პროლეტარულ რაიონებში და იქიდან ერთად დაიძრნენ. გზადაგზა გაისმოდა ყიჟინი: ძირს იმპერიალისტური ომი; აღმოუჩინეთ ინვალიდებს საკმაო დახმარება; მუშებო, დაიცავით საბჭოთა კავშირი.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ინვალიდების კავშირის თავმჯდომარემ—რეიხსტაგის კომუნისტმა დეპუტატმა **ბრეშმა**. (ადს).

დემონსტრაციის აკრძალვა ივრში

პარიზი, 6 აგვისტო. ივრში 5 აგვისტოსათვის დანიშნული იყო დემონსტრაცია ცის ქვეშ. ცის ქვეშ დემონსტრაციის აკრძალვის გამო, ივრის, პარიზის ამ გარეუბნის, მუნიციპალიტეტმა კომპარტიას დაუთმო ყველა თავისი შენობა. 5 აგვისტოს, დილით ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდა სენის პრეფექტურა, რომელმაც აკრძალა ყოველგვარი კრება დეპარტამენტის მთელ ტერიტორიაზე. პრეფექტურის განკარგულებით ყველა საზოგადოებრივი შენობა ივრში დილიდანვე დაიჭირეს პოლიციამ და ჟანდარმერიამ. ივრის ყველა მისავალ გზაზე დაყენებულ იქნენ პოლიციის რაზმები. დილითვე ივრში მოვიდა პარიზის პოლიციის პრეფექტი კიაპი პოლიციის უმაღლესი მოხელეების თანხლებით. გაზეთებს ცნობით, დილით მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება სხვადასხვა კომუნისტურ ორგანიზაციაში და აგრეთვე წითელი ფრონტელებისა, სათადარიგო ჯარისკაცთა კავშირისა და ომის ყოფილ მონაწილეთა რევოლიუციონური ასოციაციის ორგანიზაციებში.

„ტან“-ის ცნობით, დილით შინაგან საქმეთა მინისტრი ბარტუ ეთათბირა კიაპს და დამცველი განყოფილების უფროს რენარს.

გაზეთები სწერენ: „პოლიციის ტაქტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ივრში მისულ დემონსტრანტებს წინადადებას აძლევდა, არ გაჩერებულიყვნენ ალაგობრივ. ვინც ამ განკარგულებას არ დაემორჩილებოდა, მას დაუყოვნებლივ აპატიმრებდა“.

შუადღის 3 საათზე დაპატიმრებულ იქნა 500 კაცზე მეტი. პოლიციელებმა დააპატიმრეს აგრეთვე ივრის მერის მოადგილე და გაგზავნეს პრეფექტურაში.

„იუმანიტე“-ს ცნობით, საღამომდე დაპატიმრებულ იქნა 2.000 კაცზე მეტი, პრეფექტურის ოფიციალური ცნობებით კი—1829 კაცი. მათ შორის—წითელი ფრონტელების მდივანი ლეპრე, კომკავშირის წარმომადგენელი მიტი და შრომის უნიტარული კონფედერაციის ზვერი მოლავუე.

ღამით, 100 კაცის გარდა, ყველა დაპატიმრებული განთავისუფლეს (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების მოლოდინში

შანხაი, 6 აგვისტო. შანხაიში ჩან-კაი-შის მოსვლის გამო გაზეთები აღნიშნავენ, რომ გომინდანის პლენუმი იკრიბება მეტად გართულებულ პირობებში. მემარცხენეების გავლენა საგრძნობლად გაძლიერდა. მემარჯვენე ფრთის მოღვაწეები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ მემარცხენეები გადამწყვეტ როლს ითამაშებდნენ მთავრობაში, მათ რომ ქალაქებში აშკარად გამოსვლის საშუალება ჰქონდეთ. ამ შიშით აიხსნება ცენტრისტების გავრცელებული ხმები, ვითომ ჩინეთში მოსული „კომინტერნის ემისრები“ ცდილობენ მესამე პარტიის—ახალი გომინდანის შექმნას.

ნანკინში ჩრდილოეთის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს დახოცილთა პატივსაცემად გამართულ მიტინგზე ხალხი ყვიროდა: „ძირს ჩუან-ჩინ-ციანი (ცენტრისტების ლიდერი), ძირს სიშანის ჯგუფი (უკიდურესი მემარჯვენე), ძირს ცენტრი“. როდესაც დამსწრეებს წინადადება მისცეს სიწყნარე დაეცვათ და მხოლოდ ნებადართული ლოზუნგები წამოეყვირათ, ხალხმა დაიძახა: „ძირს სამხედრო დიქტატურა“.

გომინდანის ნანკინის საქალაქო ორგანიზაციის სოარგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ ხელი აელოთ თავიანთ მოვალეობათა შესრულებაზე. აქედან გაზეთი „ნორტ ჩაინა დეილი ნიუსი“ დაასკვნის, რომ პარტიული აპარატი ეურჩება ცენტრს და იბადება კომუნისტური გავლენის გაძლიერებისა ან სამხედრო დიქტატურის დამყარების საფრთხე.

ცენტრის გარდა, გომინდანის ყველა ჯგუფი მოითხოვს პარტიული კონგრესის მოწვევას, რომელიც მოსპობს ცენტრის გავლენას და ხელისუფლების სათავეში ჩააყენებს მემარცხენეებსა და ფინ-იუი-სიანს.

წინასწარმეტყველებენ რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებას, თუ გომინდანის ლიდერები ანგარიშს არ გაუწევენ მასებში დაგროვებულ დიდ უკმაყოფილებას ნანკინის უწესრიგობის გამო.

რაც შეეხება ფინ იუი-სიანს, ის ენერგიულად და თეატრალურადაც აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ „ნანკინის მბრძანებლები ჰფლანგავენ ხალხის დოვლათს“. ფინ-იუი-სიანს მიაწერენ ასეთ სიტყვებს: „ჩრდილოეთ დასავლეთ პროვინციების მცხოვრებნი ბალახით იკვებებიან, ნანკინში კი მუცელს ივსებენ და ჭამის თავი აღარა აქვთ“.

სუ-ნფო პლენუმს წარუდგენს შემდეგ წინადადებას: გამოწვეულ იქნან ჩინეთში ხუ-ხან-მინი, ევგენი ჩენი, სუნ ცზინ-ლინი და ვან ცზინ-ვეი, გარდაიქმნას მთავრობის სისტემა, შემცირდეს არმიების რიცხვი, მოხდეს ფინანსების ცენტრალიზაცია და მოწესრიგდეს ინგლისთან ნანკინის ინციდენტი. სუნ-ფოს აზრით, ამ ზომებმა უნდა მოამზადონ ნიადაგი ხელშეკრულების გადათვალიერების შესახებ მოლაპარაკების გასამართავად (ადს).

ბელგრადის გაზეთის რედაქტორის მოკვლა

ვენა, 6 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, ზაგრებში ქუჩაზე რევოლვერით მოჰკლეს **ლისტოვიჩი**, ყოფილ პრემიერის **ვუკიჩევიჩის** მომხრე, ბელგრადის რადიკალური გაზეთის „ერთობის“ რედაქტორი.

მკვლელმა რკინის გზელმა **სუნიჩმა**, ეროვნებით ხორვატმა, დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მკვლელობა გამოწვეულია შურის ძიებით იმ წერილებისათვის, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „ერთობა“-ში, სადაც გაზეთი სკუპშჩინაში მომხდარ თავდასხმამდე მოითხოვდა **რადიჩისა** და **პრიბიჩევიჩის** მოკვლას, ხოლო სკუპშჩინაში მომხდარ მკვლელობის შემდეგ ემუქრებოდა ოპოზიციის ლიდერებს.

ზაგრების გაზეთები კიცხავენ ლისტოვიჩის მკვლელობას, მაგრამ სავსებით გასაგებათ სთვლიან იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს სუნიჩი მკვლელობა ჩაედინა.

მთავრობის პრესა აფრთხილებს ოპოზიციას ბელგრადის წინააღმდეგ ბრძოლის განგრძობისაგან (ადს).

ოვერგაგენს აუკრძალეს საარის ოლქში ჩასვლა

ბერლინი, 5 აგვისტო. საბჭოთა კავშირში ჩამოსულ გერმანიის პირველი მუშათა დელეგაციის თავმჯდომარეს ოვერგაგენს, რომელიც დაესწრო შახტის პროცესს, განზრახული ჰქონდა პროცესის შესახებ ხუთი მოხსენება გაეკეთებინა საარის ოლქში.

მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ საარის ოლქში, რომელიც დანიშნულია ერთა ლიგის მიერ, ოვერგაგენს აუკრძალა საარის ოლქში ჩასვლა. (ადს).

აფეთქება ბუქარესტის ციხეში

ვენა, 6 აგვისტო. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ბუქარესტის ციხის კაცელოუს ფორტში მოხდა აფეთქება, რამაც ხანძარი გამოიწვია. აფეთქდა ზარბაზნის 400 მსხვილი ყუმბარა. ამას ცოტა ხნის შემდეგ მოჰყვა მეორე აფეთქება. რუმინიის მთავრობის ცნობით ცეცხლი ჩააქრეს რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ. მთავრობის ცნობით ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ბუქარესტის ცნობაში არაფერია ნათქვამი აფეთქების მიზეზის შესახებ. (ადს).

ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასკომის განცხადება

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც სასტიკად ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ იმ საქმიანობის გამო, რომელსაც ისინი ეწეოდენ ნიუ - ხედფორდისა და პასეიკის გაფიცულ ფეიქართა და მემაღაროეთა შორის. განცხადებაში გადაჭრით ნათქვამია თითქოს „მოსკოვმა მექსიკაში გაგზავნა 15 აგენტი, რათა ისარგებლოს იმ მდგომარეობით, რომელიც შექმნილია იქ ობრეგონის მკვლელობის შემდეგ“.

აღმასკომი უარყოფს ინგლისის ტრანსპორტელების წინადადებას იმის შესახებ, რომ ფედერაციამ მიიღოს მონაწილეობა იმ საკითხის გარჩევაში, თუ რა გავლენას ახდენს ამერიკელ და ინგლისელ მუშების მდგომარეობაზე უცხო სახელმწიფოებისათვის ამერიკის მიერ მიცემული სესხი (ადს).

ფეიქართა გაფიცვა ბომბეიში

ლონდონი, 6 აგვისტო. მიუხედავად იმისა, რომ საფეიქრო საწარმოთა პატრონებმა ბომბეიში გადასწყვიტეს წარმოების განახლება მთელ რიგ მცირე ფაბრიკებში, მუშაობა არ დაწყებულა. მანქანები აამუშავეს, მაგრამ სამუშაოზე გამოცხადდა სულ 50 მუშამდე. ცოტა ხნის შემდეგ მანქანები შეაჩერეს და ფაბრიკები დახურეს. გაფიცულთა კომიტეტი გააფრთებულ პროპაგანდას აწარმოებს მუშაობის განახლების წინააღმდეგ. საფეიქრო საწარმოებს იცავს შეიარაღებული პოლიცია (ადს).

კომპარტიის მოქმედების გამოკვლევა

იაპონიაში

ტოკიო, 6 აგვისტო. პრემიერმა ტანაკამ წინადადება მისცა ოპოზიციონური პარტიის მისეიტოს თავმჯდომარეს **ხამაგუცის** შევიდეს იმ კომისიის შემადგენლობაში, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს კომუნისტური მოქმედება იაპონიაში.

ხამაგუციმ დაუყოვნებელი პასუხი ვერ მისცა. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

ყინულისმჭრელი „კრასინი“ თან მოჰყვება „მონტე-სერვანტე“-ს

ყინულისმჭრელი „კრასინ“-ი, 5 აგვისტო. ყინულისმჭრელი „კრასინ“-ი მოჰყვება „მონტე-სერვანტეს“-ს, რომელიც, მისი კაპიტანის ვარაუდით, ივლის 10 კვანძის სიჩქარით საათში. ეს ადასტურებს, რომ „კრასინ“-ს საკმაოდ კარგად შეუკეთებია „მონტე-სერვანტეს“-ი. ჯერ-ჯერობით მისი საშუალო სისწრაფე უდრის 9 კვანძს საათში. გზაში შეხვდათ გადამრჩენი გემი „ზეფალე“, რომელიც თან გამოჰყვა გემებს (ადს).

„ჩიტა დი მილანო“ და „ბრაგანცა“

ოსლო, 6 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო ტრომსეიდან იუწყება, რომ „ჩიტა დი მილანო“ გავიდა შპიცბერგენისაკენ. მის ბაქანზე ორი იტალიური თვითმფრინავია, რომლებიც ამ დღეებში ჩამოვიდნენ ამუნდსენისა და ალესანდრის ძებნის საქმეში მონაწილეობის მისაღებად. გემი „ბრაგანცა“ გამოყენებულ იქნება მფრინავთა საცხოვრებელ ბინად. ის გაჩერდება კუნძულ ფოინის ახლოს (ადს).

შვეციის მთავრობის მადლობა „კრასინ“-ის მიერ აღმოჩენილი დახმარებისათვის

მოსკოვი, 7 აგვისტო. შვეციის საქმეთა რწმუნებულმა იოგონსონმა ინახულა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის სკანდინავიის განყოფილების გამგე ამხ. ფლერინსკი და ჩააბარა ნოტა ჩიჩერინის სახელზე. ნოტაში შვეციის მთავრობა მადლობას აცხადებს „კრასინ“-ის კეთილშობილური აქტისათვის, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ მან გადაარჩინა და გადასცა შვეციის დახმარების კომიტეტს შპიცბერგენზე შვეციის თვითმფრინავი. ეს უკანასკნელი დაზიანდა, როდესაც იგი ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა ნობილეს ჯგუფისათვის. (ადს).

„კრასინ“-ი მიდის ტრომსეში

ოსლო, 6 აგვისტო. 6 აგვისტოს ღამე „მონტესარვანტეს“-თან ერთად გამერფესტში მოვიდა ყინულისმჭრელი „კრასინ“-ი. აქედან ყინულისმჭრელი წავიდა ტრომსეიში, სადაც ქვანახშირით დაიტვირთება. ტრომსედან „კრასინ“-ი სტავანგერში წავა შესაკეთებლად.

ყინულისმჭრელი „კრასინ“-ი მივიდა ტრომსეში

ოსლო, 6 აგვისტო. ყინულისმჭრელმა „კრასინ“-მა მიიყვანა გემი „მონტე სერვანტესი“ გამერფესტის ნავთსადგურში. „მონტე სერვანტესი“ საკმაოდ შეკეთებულია და ყოველ წუთში შეუძლია გავიდეს ზღვაში. გამერფესტიდან „კრასინ“-ი წავიდა ტრომსეში, სადაც დარჩება ერთი დღე და ღამე წყლისა და ქვანახშირის მარაგის შესავსებად. ტრომსეიდან „კრასინ“-ი წავა სტავანგერს, სადაც რემონტს შეუდგება.

ტრომსეში „კრასინ“-ი მოვიდა 6 აგვისტოს.

ოსლო, 7 აგვისტო. ტრომსეში მოვიდა „კრასინი“, რომელსაც ყველა გემი მიესალმა. ნორვეგიელმა სწავლულმა გელმა, რომელიც მთელი დამხმარე მუშაობის დროს „კრასინ“-ზე იმყოფებოდა, განაცხადა, რომ საბჭოთა მეზღვაურები და მფრინავები ყოველთვის საუცხოვოდ მოქმედებდნენ.

ჩუხნოვსკის მიერ მარიანოსა და ცაპის აღმოჩენის შესახებ გელმა სთქვა, რომ მისი რწმენით ყინულზე იყო ორი კაცი, ხოლო მესამე ფიგურას ყინულზე გაფენილი შარვალი წარმოადგენდა, როგორც ამას ცაპი ამტკიცებდა, როცა ცაპი და მარიანო გემმა წამოიყვანა, „კრასინ“-ის ექსპედიციის თანამშრომლებმა მართლაც დაინახეს ეს შარვალი. ჩუხნოვსკის მიერ გადაღებული ფილმი საბოლოოდ გადასწყვეტს ამ საკითხს. (ადს).

„მანჩესტერ გარდიენ“-ი ჩიჩერინის ინტერვიუს შესახებ

ლონდონი, 6 აგვისტო. „მანჩესტერ გარდიენ“ ეხება ჩიჩერინის ინტერვიუს კელოგის ხელშეკრულების შესახებ და აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირს ისევე აქვს უფლება გაუკეთოს შენიშვნები კელოგის პაქტს, როგორც ინგლისს და საფრანგეთს. გაზეთი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის მიწვევის ინიციატორად შეიძლება გერმანიის ან იაპონიის მთავრობა გამოვიდეს.

„თუ საბჭოთა კავშირი დასთანხმდა პრინციპიალურად — ხელი მოაწეროს პაქტს, — სწერს გაზეთი, — ამას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს საბჭოთა კავშირის ცნობა შეერთებული შტატების მხრივ და ინგლის - საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა გაცილებით უფრო ადვილი გახდება“.

რუმინეთში საბჭოთა ქონების გაყიდვის გამო

ვენა, 6 აგვისტო. რუმინეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს, საბჭოთა მთავრობის პროტესტი იმ ქონების გაყიდვის წინააღმდეგ, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს. პროტესტი გაზეთებმა გამოაქვეყნეს, როგორც სააგენტო რადორის ცნობა კიშინევიდან „საბჭოთა გაზეთების ცნობების მიხედვით“. გაზეთები აცხადებენ, რომ რუმინეთის მთავრობამ გადასწყვიტა გაჰყიდოს გაფუჭებული გემების მასალა, ხოლო აღებული თანხა შეიტანოს დეპოზიტში საბჭოთა კავშირთან სადაო საკითხების სრულ გადაწყვეტამდე.

მთავრობის ორგანო „უნივერსალი“ აცხადებს, რომ გაყიდვა იმ მასალისა, რომელიც გაფუჭდა, აუცილებელი გახდა, ვინაიდან შესანახი ხარჯები ბღემატება მის ღირებულებას.

„საბჭოთა მთავრობის მუქარას,— სწერს გაზეთი, — უნდა უწოდოთ სიურპრიზი, რამდენადაც საბჭოთა მთავრობა კვლავ აცხადებს უარს მოგვცეს რუსეთში დარჩენილი ჩვენი ოქროს მარაგის და რუმინელთა კერძო ქონების კონფისკაციის ანგარიში“.

„დიმინეაცი“-ს სიტყვით, რუსეთის პროტესტი არ არის დასაბუთებული, ვინაიდან რუმინეთის მთავრობამ დაადგინა, ქონება გაჰყიდოს ათი წლის ვადის გასვლის შემდეგ. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ „რუსეთის სანაოსნო საზოგადოება“ კერძო წარმოება იყო, საბჭოთა დეკრეტები კი კერძო საზოგადოებათა ნაციონალიზაციის შესახებ არ არის სავალდებულო რუმინეთისათვის, რომელსაც არ უცვნია საბჭოთა კავშირი. გაზეთის აზრით, საბჭოთა მუქარა ანალოგიური ზომების მიღების შესახებ ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობა პასუხისმგებლად სთვლის თავს რუმინეთის ოქროს მარაგისათვის, რომელიც მოსკოვში დარჩა.

„საბჭოთა კავშირს,—სწერს გაზეთი— არა აქვს უფლება გაილაშქროს იმის წინააღმდეგ, რომ საჯარო ვაჭრობით გაიყიდოს ყოფილი რუსეთის ქონება, ვინაიდან იყიდება მხოლოდ ის მასალა, რომელიც გაფუჭდა და აქედან აღებული თანხები დეპოზიტში იქნება შეტანილი სადაო საკითხების გადაწყვეტამდე. რუმინეთის მთავრობა თავის დროზე წარადგენს ამ ანგარიშს“ (ადს).

სპარსული გაზეთი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ

თეირანი, 6 აგვისტო. გაზეთი „კუშენი“ წერილში სათაურით „რუსეთის ვაჭრობის განვითარება სპარსეთთან“, სწერს:

„ჩვენ ვაჭრობას ვაწარმოებთ 28 სახელმწიფოსთან, მაგრამ ჩვენი ვაჭრობის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს ვაჭრობა რუსეთთან და ინგლისთან. შემდეგი ადგილი უჭირავს ამერიკას, იტალიას, ეგვიპტეს, მესოპოტამიას, საფრანგეთს, გერმანიას და სხ. სახელმწიფოებს. ჩვენი ვაჭრობა რუსეთთან წარმოადგენს ერთი საქონელის მეორე საქონელზე გაცვლას. ეს ვაჭრობა ჩვენ სარგებლობას გვაძლევს.

მაგრამ ვაჭრობა ინგლისთან თავიდან ბოლომდე საზარალოა ჩვენთვის. ჩვენი ნავთის პროდუქტების გატანა არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს ექსპორტად, და თუ გამოვაკლებთ ნავთის პროდუქტებს, მაშინ ჩვენი პროდუქტების გატანა ინგლისში და მის კოლონიებში მეათედ ნაწილსაც კი არ შეადგენს იმისა, რაც ჩვენ იქიდან შემოგვაქვს. ვაჭრობა ინგლისთან და მის კოლონიებთან უმთავრესად მოდის ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილზე. სპარსეთში არ არსებობს სატრანსპორტო საშუალებანი, ამიტომ ინგლისის საქონელი ძალიან ძვირია ჩრდილო სპარსეთისათვის, ხოლო რუსეთის საქონელი ძვირია სამხრეთისათვის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთთან, ამერიკასთან, ეგვიპტესთან და მესოპოტამიასთან ვაჭრობას, ჩვენი ვაჭრობა ყველა დანარჩენ სახელმწიფოებთან საზარალოა, მაგრამ მთელი ეს ზარალი უმნიშვნელოა ინგლისთან ვაჭრობით მიღებულ ზარალთან შედარებით.

საბედნიეროდ რუსეთი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს გაადიდოს თავისი საქონლის ბრუნვა სპარსეთთან, ხოლო ამ სავაჭრო ბრუნვის გადიდება, როგორც უკვე ვსთქვით სასარგებლოა ჩვენთვის.

უკანასკნელ ხანებში რუსეთმა ჩვენს სამხრეთ ბაზარზე გაგზავნა შაქრით და ჩვენთვის საჭირო სხვა საქონლით დატვირთული გემი. რუსეთის საქონელი ამ ბაზარზე კონკურენციას გაუწევს ინგლისის საქონელს, რაიც სასარგებლო იქნება სპარსეთისათვის არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც“ (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

6 აგვისტოს დილის სხდომა

კამათი ამხ. ბელის მოხსენების გამო

მოსკოვი, 6 აგვისტო. 6 აგვისტოს დილით კონგრესის მე-23 სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ბელის მოხსენების გამო: „ომის საფრთხესთან ბრძოლის ზომები“.

პირველად გამოვიდა ამხ. დიმიტროვი (ბულგარეთი).

ამხ. დიმიტროვის სიტყვა

„მომავალი ომის საფრთხის მოლოდინში,— სთქვა ამხ. დიმიტროვმა (ბულგარეთი),—კომინტერნმა უნდა გადასწყვიტოს სხვადასხვა კონკრეტული საკითხი, რომ, თუ ომი დაიწყება, უზრუნველჰყოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერნაციონალური თანამშრომლობა და აგრეთვე მშრომელთა მასების ხელმძღვანელობა. კომპარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ იმპერიალისტების საომარ მზადებას პასუხი გასცეს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევით“.

ამხ. ენგდალის სიტყვა

„ამერიკის იმპერიალიზმი,—ამბობს ამხ. ენგდალი (ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატები),—პასუხს აგებს საკუთარი დანაშაულისათვის ჩინეთში; მაგრამ ამას გარდა იგი იმ დანაშაულობათა მოზიარეც არის, რომლებსაც სჩადიოდენ და სჩადიან იაპონიისა და ინგლისის იმპერიალისტები. ამერიკის კომპარტია გაალმასებულ ბრძოლას ეწევა, რომ ამხილოს ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების იმპერიალიზმი და თავის გარშემო შემოიკრიბოს ყველა ძალა, რომელიც კი იმპერიალისტების წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამერიკის კომპარტია მთელი თავისი ძალ-ღონით უჭერს მხარს ლათინური ამერიკის მშრომელთა მასების ბრძოლას ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. კელოგის ხელშეკრულება სრულებითაც არ წარმოადგენს ომის საწინააღმდეგო საშუალებას, პირიქით, ეს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული იმპერიალისტური ომის მომზადების მორიგი ნაბიჯია.

ამხ. ფიალის სიტყვა

„ომის საწინააღმდეგო ბრძოლის ყველაზე უფრო საჭირბოროტო ამოცანას წარმოადგენს,—ამბობს ამხ. ფიალი (ავსტრია),—დაძლევა იმისა, რომ მასებს არ სწამთ მოახლოვებული ომის საფრთხე. მე სავსებით და მთლიანად ვუერთდები ამხ. ბელის თეზისებს, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, რომ უფრო ზე მიწევნით ჩამოყალიბდეს მისი ფორმულა. უნდა აღინიშნოს, რომ არ კმარა მარტო საკუთარი ბურჟუაზიული არმიის დამარცხების სურვილი. საჭიროა მთელის ძალღონით აქტიურად ხელი შეუწყოთ ამ დამარცხებას. შემცდარია თეზისების ის აზრი, ვითომ მუშაობის მეთოდები დაქირავებულ არმიაში და ოფიცერთა კორპუსში ერთნაირი უნდა იყოსო. შემცდარია იმიტომ, რომ ამ ორი ჯგუფის სოციალური შემადგენლობა სხვადასხვანაირია. ასეთ ტაქტიკას ცუდი შედეგები მოჰყვებოდა, მეტადრე ავსტრიაში, სადაც ვენის ივლისის ამბებმა დაგვანახვეს, რომ ბურჟუაზიის საიმედო იარაღს წარმოადგენს დაქირავებული არმიის მხოლოდ ერთი ნაწილი. რაც შეეხება ავსტრიის კომპარტიის ამოცანებს ომის საწინააღმდეგო ბრძოლაში,—ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ჩვენი პარტიის გავლენის გაფართოვებას არმიაში, სხვათა შორის, იმ გზითაც, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა ჯარისკაცების ყოველდღიურ მოთხოვნილებათათვის“.

ამხ. ჩუენ-გუანის სიტყვა

ამხ. ჩუენ-გუანმა (ჩინეთი) სთქვა: „საერთაშორისო პროლეტარიატის ძირითადი ამოცანები იმპერიალისტურ კოლონიალურ ომში მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „კორაჟენცული“ პროპაგანდის წარმოება იმპერიალისტურ არმიებში, რევოლიუციონური ნაციონალური არმიის მოწყობა, ბრძოლა იმპერიალისტურ და რევოლიუციონურ ჯარისკაცებს შორის დაძმობილებისათვის, იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, იმპერიალისტური ჯარებისა და ამუნიციის კოლონიებში გადაგზავნისათვის ხელის შეშლა და ბრძოლა იმპერიალისტურ ომების წინააღმდეგ კოლონიებში“.

ამხ. სპექტორის სიტყვა

ამხ. სპექტორმა (კანადა) სთქვა: „კანადის კომპარ. ჯერ კიდევ არ ჩაუტარებია აუცილებელი მუშაობა მასების მომზადებისა და მობილიზაციისათვის ომის წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს ომის საფრთხე ფაქტია, რაიც უდიდეს ყურადღებას მოითხოვს ჩვენი პარტიის მხრივ. ჩვენ სისტემატიური კამპანია უნდა განვავითაროთ ომის წინააღმდეგ და ამ კამპანიაში უნდა ჩავაბათ კანადის მშრომელთა მასების ყველა ფენი“.

ამხ. დელუფოს სიტყვა

„ლათინური ამერიკის ქვეყნებში,—ამბობს ამხ. დელუფო (სამხრეთი ამერიკა),—ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციები. ამიტომ ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის არსებული რევოლიუციონური ძალების ორგანიზაცია, რომ მათი მობილიზაციის საშუალება გვქონდეს ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. ამერიკის იმპერიალიზმის, სოციალ-დემოკრატიის და ბურჟუაზიული პაციფიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ჩვენგან მოითხოვს მთელი ჩვენი ძალღონის გამოყენებას მუშათა, გლეხთა, არმიისა და ქალთა შორის მუშაობისათვის.

—:—

ამხ. დელუფოს სიტყვის შემდეგ სიტყვა აიღო ამხ. იაროსლავსკიმ, რომელსაც კონგრესის დელეგატებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს.

ამხ. იაროსლავსკის სიტყვა

მე მინდა გაგიზიაროთ ჩვენი პარტიის გამოცდილება ჯარისკაცთა შორის მუშაობაში. როდესაც ჩვენი პარტია ფარულად მუშაობდა, ჩვენ იძულებულნი ვიყავით ეს მუშაობა გაგვეწია მეტის-მეტად მძიმე პირობებში. ამ მუშაობის დროს, რომელიც ამ დარგში დაიწყო 1902—1903 წლებიდან, სიმძიმის ცენტრი გადავიტანეთ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდა მუშებზე. ჩვენი ორგანიზაციები ახლად გაწვეულთა შორის ავრცელებდნენ ფურცლებს; ჩვენ შევქმენით დაახლოებით 20 არალეგალური გაზეთი ჯარისკაცებისათვის. ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ არმიის შემადგენლობა ერთფეროვანი არ არის და ჩვენი მუშაობა გადავიტანეთ არმიის სხვადასხვა ნაწილში, მეტადრე არტილერიასა და ტეხნიკურ ჯარებში, სადაც ყოველთვის ბევრი იყო მუშა. ჩვენ გამოვიყენეთ ჯარისკაცთა უუფლებო მდგომარეობა და ჯარში გაბატონებული ულმობელი დისციპლინა. მოვამზადეთ ჯარისკაცთა მასები, რომ მათ ყოველთვის შესძლებოდათ კაპიტალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ამხედრება, მაგრამ თვალყურს ვადევნებდით, რომ არ მომხდარიყო არავითარი უსარგებლო ამბოხება და არეულობა, ვინაიდან ასეთი განმარტოებული გამოსვლების დამარცხებას თან სდევს მეტის-მეტად დიდი ენერგიის უნაყოფოდ დაკარგვა.

ჩვენ მოვახერხეთ არალეგალურ პირობებში ჩვენი სამხედრო ორგანიზაციების კონფერენციების მოწვევა.

იყო, რა თქმა უნდა, ასეთი კონფერენციების ჩაშლის შემთხვევები, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არმიაში მუშაობისათვის. ჩვენ ვცდილობდით ტეხნიკურ მრჩევლებად ორგანიზაციებში მოგვეზიდა აბსოლუტურად საიმედო ოფიცრები. მოწინააღმდეგის ძალთა შესწავლა აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს მის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით წარმოებისათვის.

კომპარტიებმა უფრო გაბედულად უნდა გაშალონ ბრძოლა ომის წინააღმდეგ. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეგრედ წოდებულ ფერად ჯარებს და კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის ჩაგვრის წინააღმდეგ წარმოებული ყოველდღიური ბრძოლა უნდა და-

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

კომინტერნის კონგრესზე

საფრანგეთის დელეგაცია

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბარბიუსის ახალი წერილი

მოსკოვი, 7 აგვისტო. „იზვესტია“-ში მოთავსებულია ბარბიუსის ახალი წერილი თანამედროვე საქართველოსა და ამიერ-კავკასიის შესახებ. ამ წერილში ამხ. ბარბიუსი აღწერს ახალქალაქში გატარებულ საღამოებს, იქ მიღებულ შთაბეჭდილებებს და აგრეთვე ჩერდება ამ კუთხის გეოგრაფიულ მდგომარეობაზე. მოჰყავს რა ისტორიული ცნობები, მწერალი აღნიშნავს სომეხ ლტოლვილთა მიერ გადატანილ ტანჯვა-ვაებას. „რუსეთის მთავრობა, სწერს ბარბიუსი, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა განათლების შეტანას ქართველ და სომეხ მოსახლეობაში. ის ცდილობდა ერთიმეორეზე წაესისიანებია სხვადასხვა ეროვნებები და ამრიგათ უკეთ ებატონა მათზე. მენშევიკური მთავრობა განაგრძობდა მეფის მთავრობის ამ ტრადიციას. მენშევიკური მთავრობის უმსგავსო პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის განაპირა მხარეებშიაც, ხდებოდა მშრომელი მასების აჯანყებები“. შემდეგ ბარბიუსს მოჰყავს ადგილები ამხ. თოდრიასთან საუბრიდან და ახასიათებს მას როგორც ძველს და გამობრძმედილ მებრძოლს. წერილი თავდება ლენინაკანის თანამედროვე მდგომარეობის და მისი ისტორიის აღწერით.

პურის ფასები

მოსკოვი, 7 აგვისტო. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა არ გაადიდოს ფასი გამომცხვარ პურზე მუშათა რაიონებში, მათ შორის ბაქოშიაც. დანარჩენ რაიონებში ნებადართულია გამომცხვარი პურის ფასის გადიდება ერთი კაპიკით თვითეულ კილოზე.

შვიდი საათის სამუშაო დღე

მოსკოვი, 7 აგვისტო. მიმდინარე წლის განმავლობაში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებულ იქნება კიდევ 13 საფეიქრო ქარხანაში, რომელშიაც 24 ათასი მუშა მუშაობს. სულ მიმდინარე წელს შემოკლებული სამუშაო დროზე გადაყვანილ იქნება საფეიქრო მრეწველობის 147 ათასი მუშა.

ექსკურსიები ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 7 აგვისტო. მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში ტურისტთა საკავშირო საზოგადოება აწყობს მთელ რიგ ფართო ხასიათის ექსკურსიებს კავკასიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის მემარჯვენე პრესა ჩიჩერინის ინტერვიუს შესახებ

პარიზი, 7 აგვისტო. ჩიჩერინის ინტერვიუს ჯერ-ჯერობით მხოლოდ მემარჯვენე პრესა გამოეხმაურა. „ეკო დე პარი" სწერს: „რადგან ევროპაში რევანშისაკენ მისწრაფების დროს ცდილობენ მიმართონ რუსეთს იმ იმედით, რომ იგი მოწადინებულია დაარღვიოს მისი მონაწილეობის გარეშე დადებული ან მის წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულებანი, ამიტომ ომის ამკრძალავ ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე არავითარი ძალა არ ექნება. მაგრამ საბჭოების სურვილი—მონაწილეობა მიიღონ ხელშეკრულების განხილვაში—მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტული მოსაზრებითაა გამოწვეული. ამიტომ საბჭოების მანევრი მარცხით დამთავრდება და საბჭოები არ იქნებიან მიწვეული იმ შეთანხმებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც ისინი, როგორც თვითონ განაცხადეს, ვერ შეუერთდებიან, თუ არ შეცვალა მისი პრინციპები. დასასრულ ტიურპე სწერს: „ამრიგად, ასეთი ალტერნატივაა: „ომის ამკრძალავი ხელშეკრულება შეუძლებელია საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, ხოლო საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე ხელშეკრულებას ძალა არა აქვს".

„ფიგარო" სწერს: „თუ საბჭოთა მთავრობა მიიწვიეს ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, იგი პროტესტს განაცხადებს ხელშეკრულებაში შეტანილი შენიშვნების წინააღმდეგ და კვლავ გამოიწვევს მოლაპარაკებას, რომელიც ასეთი ხანგრძლივი იყო. მეორე: საბჭოთა მთავრობას ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღება სურს მხოლოდ ერთი მიზნით —დაარღვიოს ეს ხელშეკრულება". (ადს).

„ჟურნალ"-ის აზრი გერმანიის პოზიციაზე პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში

პარიზი, 6 აგვისტო. გაზეთი „ჟურნალი" სწერს: „გერმანია თამაშობს ორგვარ როლს, ერთი მხრით თავისი ელჩის მორატის საშუალებით იგი აქეზებს ლიტველებს წინააღმდეგობა გაუწიონ პოლონეთს. ხოლო მეორე მხრით გერმანელები გამოდიან მშვიდობიანობის მოციქულთა როლში. ის და აკლიათ, რომ საფრანგეთს სახელი გაუტეხონ პოლონეთის თვალში, მაგრამ საბედნიეროდ პოლონეთმა იცის, რომ მას უზრუნველყოფილი აქვს საფრანგეთის ლოიალური დახმარება. (ადს).

პოლონეთმა ინგლისს ასიამოვნა

ვარშავა, 6 აგვისტო. „კურიერ ვარშავსკი" და „პოლონია" იუწყებიან, რომ პოლონეთის მთავრობის პროტესტმა ბუხარინის სიტყვის წინააღმდეგ დიდი კმაყოფილება გამოიწვია ლონდონის მთავრობის წრეებში, ვინაიდან სწორედ ამ დროს სწარმოებდა აგიტაცია იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისათვის მიეცათ წინადადება მხარი დაეჭირათ კელოგის პაქტისათვის. ინგლისი წინააღმდეგია ამ წინადადებისა, რადგან იგი შეიძლება ჩაითვალოს იმის დასამტკიცებელ საბუთად, რომ საბჭოთა კავშირის მორალურ ვალდებულებებს ანგარიშს უწევენ (ადს).

მეორე ცდაც მარცხით დამთავრდა

ლონდონი, 6 აგვისტო. ინგლისელ მფრინავს კორტნის, რომელიც 1-ლ აგვისტოს მეორედ შეეცადა აზორის კუნძულებიდან ნიუფაუნდლენდში გადაფრენას, კვლავ მარცხი შეემთხვა. იგი ცეცხლ-წაკიდებული აეროპლანით გადაარჩინა ამერიკულმა გემმა „მინევასკა"-მ აზორის კუნძულებიდან 500 მილის მანძილზე. (ადს).

ბრიუსელის მუშები და მე-2 ინტერნაციონალი

ბრიუსელი, 6 აგვისტო. ბრიუსელის მუშათა კლასი მცირე ინტერესს იჩენს მე-2 ინტერნაციონალის კონგრესისადმი. მიუხედავად კვირა დღისა, სახლებზე არ გამოუკიდიათ დროშები და მუშათა აუდიტორია არ დასწრებია კონგრესის გახსნის ცერემონიალს. (ადს).

ანტირელიგიური პროპაგანდა

მოსკოვი, 7 აგვისტო. საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ უღვთოთა ცენტრალური კავშირის მოხსენების გამო მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებათა ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ საჭიროდ სცნო ანტირელიგიური პროპაგანდის შეტანა ყოველდღიურ პარტიულ მუშაობაში. უღვთოთა კავშირში უნდა ჩამოყალიბდეს კომფრაქციები. პროფკავშირებისა და პოლიტგანების ხაზით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანტირელიგიური მუშაობის მასიური ფორმების გაძლიერებას საამქროებში ყაზარმებში, საერთო სადგომებში და კოლექტიურ მეურნეობებში. კომკავშირმა კამპანიების მეთოდი უნდა შესცვალოს სისტემატიური გეგმიანი ანტირელიგიური პროპაგანდით. საჭიროა მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდობის ჩასაბმელად უღვთოთა კავშირში. ანტირელიგიურ საკითხების გაშუქება პრესაში, განსაკუთრებით ქალთა პრესაში, უნდა გაძლიერებულ იქნეს.

ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ დაადგინა ამა წლის შემოდგომისათვის მოიწვიოს სპეციალური თათბირი ანტირელიგიურ პროპაგანდის საკითხების განსახილველად. (ადს).

ფიზიკოსების საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 7 აგვისტო. 5 აგვისტოს გაიხსნა ფიზიკოსების მე-6 საკავშირო ყრილობა. ყრილობას დაესწრო 400 სამეცნიერო მუშაკამდე ცენტრიდან და ადგილებიდან. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 80 უდიდეს ფიზიკოსზე მეტი, თითქმის ყველა ქვეყნიდან. ყრილობის მუშაობა გაგრძელდება 8 აგვისტომდე. ამის შემდეგ ყრილობის მონაწილენი გაემგზავრებიან ვოლგაზე. გაივლიან ნიჟნი-ნოვგოროდში, ყაზანში, სარატოვში და ვოლგაზე მდებარე სხვა ქალაქებში, სადაც გაკეთებული იქნება მოხსენებები თანამედროვე თეორიულ და გამოყენებითი ფიზიკის აქტუალურ თემებზე. (ადს).

ინგლისის მუშა ქალთა დელეგაცია

მოსკოვი, 7 აგვისტო. ინგლისის მუშაქალთა დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა ლენინგრადში 50 კაცის შემადგენლობით, ორი დღის შემდეგ ჩამოვა მოსკოვში. (ადს).

ჰიდრო თვითმფრინავი „სოვეტსკი სევერ"-ი

უსტ-კამჩატსკი, 7 აგვისტო. ჰიდრო თვითმფრინავი „სოვეტსკი სევერ" მოფრინდა კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან. კამჩატკიდან მოსულ პირველ თვითმფრინავის შესახვედრად გამოვიდა მრავალი მოსახლეობა. (ადს).

მთიანი კარაბახის ავტონომიის 5 წლის თავი

სტეფანაკერტი, 7 აგვისტო. 10 აგვისტოს სრულდება 5 წელი მთიანი კარაბახის ავტონომიის გამოცხადების დღიდან. (ადს).

ავტობუსის დამსხვრევა

სოხუმი, 7 აგვისტო. სოფ. უჩკურის მახლობლად დაიმსხვრა ავტობუსი, რომელიც ბატალპაშინსკიდან ტებერდაში მიდიოდა. ერთი მგზავრი მოკვდა, მეორე მძიმედ, ხოლო დანარჩენები მსუბუქად დაშავდნენ. სწარმოებს კვლევა-ძიება კატასტროფის გამოსარკვევად.

უკავშირდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური ომის მომზადებასთან ბრძოლას.

მე საჭიროდ მიმაჩნია, კონგრესმა წინადადება მისცეს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომ მან გამოსცეს ლიტერატურა, რომელშიაც აღწერილ იქნება არმიასა და ფლოტში ბოლშევიკების მუშაობის გამოცდილება და აგრეთვე წარსული იმპერიალისტური ომის გამოცდილება და გაკვეთილები".

ამხ. იაროსლავსკის სიტყვით დამთავრდა კამათი ამხ. ბელის მოხსენების გარშემო.

ამხ. ბელის საბოლოო სიტყვა

მომავალ იმპერიალისტური ომის საკითხს, —სთქვა ამხ. ბელიმ,—მსოფლიო კონგრესის მუშაობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ორატორების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა გააკრიტიკა ჩემ მიერ წარმოდგენილი თეზისები. კამათის დროს გამოირკვა, რომ ამხანაგების უმრავლესობა იზიარებს თეზისების მთავარ მომენტებს.

თეზისების იმ ნაწილში, რომელშიაც ლაპარაკია ერთა ლიგაზე, ჩვენის აზრით, გარკვევითაა აღნიშნული, რომ ერთა ლიგა წარმოადგენს იმპერიალისტური ომის მომზადების იარაღს. რა თქმა უნდა, ამას შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაესვას ხაზი თეზისებში. რაც შეეხება „ფერად ჯარებს", რომელთა შესახებაც ამხ. იაროსლავსკი ლაპარაკობდა, სავსებით ცხადია, რომ ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ საკითხებს ამ კომპლექს კოლონიალურ ჯარებში მუშაობის დროს. დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობას მეზღვაურთა ორგანიზაციებში. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მუშაობას დაქირავებულ ჯარში. დაქირავებული ჯარის ბოიკოტის ლოზუნგი, რომელიც თეზისებშია წამოყენებული, უსათუოდ სწორია. იგი სავსებით და მთლიანად ეთანხმება,—ამბობს ბელი, — ლენინის შეხედულებებს ამ საკითხზე.

ჩვენ ვიცით, რომ სოციალ-დემოკრატია და რეფორმისტული პროფკავშირების ბიუროკრატია მხარს უჭერენ ბურჟუაზიას ომის მომზადებაში. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ბურჟუაზიის ნამდვილი მიზნების მხილება და ჯარების გაგზავნისათვის ხელის შეშლა. ყოველგვარი საშუალებით უნდა ვეცადოთ შევასუსტოთ ბურჟუაზია და ხელი შევუშალოთ ომს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა შევეცადოთ, რომ წარმოებებში ორგანიზაციული წინააღმდეგობა გაუწიონ მუშებმა ომს.

თეზისების ცენტრალურ იდეას წარმოადგენს იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად. დაძმობილება თვითმიზანი არ არის, იგი მხოლოდ საშუალებაა იმპერიალისტური არმიების ძლიერების შესასუსტებლად. პროლეტარული მილიციის შექმნის ლოზუნგი სავსებით სწორია. ამ ლოზუნგის შეცვლა „მშრომელთა მილიციის" ლოზუნგად მხოლოდ გაუგებრობას გამოიწვევს.

პოლონეთის უკანასკნელი ანტისაბჭოთა კამპანია ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ომის საკითხი ჩვენი დროის ცენტრალური საკითხია. ჩვენი მოვალეობაა მხარი დავუჭიროთ საბჭოთა მთავრობის მისწრაფებას დაიცვას მშვიდობიანობა და გააძლიეროს ჩვენი ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. მე იმედი მაქვს, რომ თუ ყველა ამ ამოცანას შევასრულებთ და ენერგიულად გავაძლიერებთ ამ მუშაობას, ომის დაწყების დროს, სოციალისტური რევოლუციის ფრონტი ყველა ქვეყანაში გაფართოვდება უსათუოდ.

ამხ. ბელის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონგრესმა ერთხმად მიიღო საფუძვლად ამხ. ბელის მიერ წარმოდგენილი თეზისები ომის საფრთხესთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. თეზისები დასამუშავებლად გადაეცა სპეციალურ კომისიას.

კონგრესის შემდეგი პლენარული სხდომა მოხდება 8 აგვისტოს საღამოთი.

სხდომის დღის წესრიგშია ამხ. ბუხარინის მოხსენება კომინტერნის პროგრამის პროექტისა და კონგრესის საპროგრამო კომისიის მუშაობის შესახებ. (ადს).

მეორე ინტერნაციონალის კონგრესი

ბრიუსელი, 6 აგვისტო. მე-2 ინტერნაციონალის კონგრესზე ჰენდერსონმა მიუთითა კონსტრუქტიული პროგრამის შედგენის აუცილებლობაზე.

„უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ინტერნაციონალის წინაშე სდგას,—განაცხადა ჰენდერსონმა,—არის 8 საათის სამუშაო დღის შემოღება".

შემდეგ ჰენდერსონი შეჩერდა ომის საფრთხეზე, რომელიც „ყოველწლობით უფრო და უფრო საშიში ხდება".

ჩვენი მინიმალური მოთხოვნილება,—სთქვა ჰენდერსონმა,—შემდეგია: არბიტრაჟის დარგში ერთა ლიგის საბჭოს სესიამ უნდა შეიმუშაოს ხელშეკრულების საბოლოო პროექტი და მასზე ხელი უნდა მოაწეროს ყველა მთავრობამ, რომელსაც ეს სურს; სახელმწიფოებმა ხელი უნდა მოაწერონ აგრეთვე კელოგის ხელშეკრულებას და ბოლოს, მიღებულ უნდა იქნეს გარკვეული გადაწყვეტილებანი განიარაღების შესახებ, ერთა ლიგის სესიამ უნდა დაავალოს ლიგის საბჭოს, რომ მან აუცილებლად მოიწვიოს განსაზღვრული ვადის განმავლობაში განიარაღების მოსამზადებელი კომისია, რომელიც განსაზღვრულ ვადისავე განმავლობაში დაამზადებს ხელშეკრულების პროექტს განიარაღების შესახებ. ამ საქმის კიდევ დაგვიანება განსაცდელს უქადის ერთა ლიგის არსებობას. (ადს).

ვანდერველდეს გამოსვლა

ბრიუსელი, 6 აგვისტო. მე2 ინტერნაციონალის კონგრესზე ჰენდერსონის შემდეგ ილაპარაკა ვანდერველდემ, რომელიც ცდილობდა გადაექარბებინა ჰენდერსონისათვის აგიტაციის მიზნით.

ვანდერველდეს გესლიანმა ირონიამ კელოგის მიმართ, რომელიც თვალსაჩინო კონტრასტს წარმოადგენს ჰენდერსონის მიერ შეხმოტულ ხოტბასთან შედარებით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „შეიძლება ვიფიქროთ —სთქვა ვანდერველდემ რომ გარეშე საქმეთა ყველა მინისტრი, მუსოლინთან ერთად, მოხდა ნობელის ზავის ჯილდოს კანდიდატად. ინტერვენცია ნიკარაგუაში, კორფუზე და ბაზიზნების დაშენა, აჯანყების ჩაქრობა დამასკში, ჯარების გადმოსხმა შანდუნში, „მშვიდობიანობის აღდგენა" ნანკინში—ყოველივე ეს კელოგის პაქტის მიხედვით ომს არ ნიშნავს".

სოციალ-დემოკრატების სამშვიდობო პროგრამა ვანდერველდემ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ჩვენ გვსურს, რომ ომში დაზარალებულმა ქვეყნებმა მიიღონ რეპარაციები, რომელნიც არ უნდა გასცილდნენ შესაძლებლობის ფარგლებს, მოვითხოვთ სახელმწიფოთა ურთიერთ-ერთი დავალიანების გაუქმებას, ვაღიარებთ, რომ სამხედრო ოკუპაცია წარმოადგენს მძიმე ტვირთს, არაფრის მაქნისია და მუდმივი კონფლიქტების საბაბია, მოვითხოვთ საერთო განიარაღებას".

ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულ მკაცრი პოლემიკის შემდეგ ვანდერველდემ გალაშქრა შეერთებული შტატების „ნეოკაპიტალიზმის" წინააღმდეგ, და აღნიშნა, რომ ფაშიზმი განაგრძობს არსებობას ამერიკის კაპიტალის წყალობით.

დასასრულ ვანდერველდემ განაცხადა, რომ დადგა მომენტი, როდესაც მე-2 ინტერნაციონალმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კოლონიალურ ოლქებს. (ადს).

ომის წინააღმდეგ

მიტინგები საფრანგეთში

პარიზი, 6 აგვისტო. კვირას პარიზის ცირკში გაიმართა მიტინგი ომის წინააღმდეგ. მიტინგს დაესწრო დაახლოვებით 10.000 მუშა. სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტებმა — ბუტონიემ, ბონკურმა, ვაიან კუტიურიემ, რენემ და სხ. ორატორებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირს გამოუცხადეს ომი, საფრანგეთის მუშები შეასრულებენ რევოლიუციის ჯარისკაცის მოვალეობასო, დამსწრეებში ამ განცხადებამ მქუხარე ოვაცია გამოიწვია. მიტინგმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კომინტერნის მე-6 კონგრესს. მიტინგის დამთავრების შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტური გვარდიის 150 წევრი. ივრში იმ შენობის წინ, სადაც მიტინგი უნდა გამართულიყო, ჩამწკრივდა 215 პოლიციელი. მახლობელი ქუჩები ავსილი იყო მეხანძრეებით, რომელნიც მზად იყვნენ მანიფესტანტების გასაფანტავად. მიუხედავად რეპრესიული ზომებისა, მანიფესტანტები ისროდენ ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებს. „იუმანიტე" იუწყება, რომ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაიმართა რანში, ჰავრში, ბუაში, ოლატში და რუანში. „იუმანიტე" აქვეყნებს საფრანგეთის კომპარტიისა და კომკავშირის მიმართვას, რომელშიაც მუშათა კლასს მოუწოდებენ იბრძოლონ ომის წინააღმდეგ და დაიცვან საბჭოთა კავშირი. „იმ დროს, როცა სოციალისტები იწონებენ ბრიანის პოლიტიკას, მშრომელი მასები საფრანგეთის კომპარტიის მოწოდებით გამოვიდენ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ" — ნათქვამია მოწოდებაში. (ადს).

კელლოგის შიში

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. პრესა უკომენტარიოდ აქვეყნებს ჩიჩერინის ინტერვიუს კელოგის ხელშეკრულების შესახებ. კელოგს ჯერ-ჯერობით არ გამოუთქვამს თავისი აზრი ინტერვიუს შესახებ, მაგრამ, როგორც სჩანს, ეშინია, რომ საბჭოთა კავშირის მიწვევა ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად გამოიწვევს ჩიჩერინის გამგზავრებას პარიზში, სადაც იგი დაატყვევებდა პრესის ყურადღებას, გააკრიტიკებდა ხელშეკრულებას, მოითხოვდა მთელ რიგ შესწორებების შეტანას და ბოლოს, პაქტს ხელს მოაწერდა უშუალოდ კელოგის შემდეგ (კელოგის პაქტს სახელმწიფოები ხელს მოაწერენ ან-ბანზე, ასე, რომ ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებს მიჰყვებოდა საბჭოთა კავშირი). ესპანეთის დიქტატორი პრიმო დე რივერა იმუქრება, რომ იგი ვაშინგტონიდან უკან გაიწვევს ესპანეთის ელჩს იმ შემთხვევაში, თუ ესპანეთი პირველი ჯგუფის სახელმწიფოებთან ერთად არ იქნა მიწვეული პაქტზე ხელის მოსაწერად. კელოგმა განაცხადა, რომ თუ ესპანეთი მიიწვიეს, მაშინ სხვა სახელმწიფოებიც მოითხოვენ ამასვე და გართულდება ხელშეკრულებაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის საკითხი. (ადს).

ობრეგონის მკვლელის პროცესი

ნიუ-იორკი. მექსიკიდან მიღებულ ცნობით, პროკურორი მოითხოვს ობრეგონის მკვლელის სიკვდილით დასჯას. ხოლო ბერ ტორალისა და ორი სხვა დამნაშავის, რომელთაც ბრალდებათ მკვლელობისათვის ხელის შეწყობა, 20 წლის ვადით ციხეში მოთავსებას. (ადს).

პოლონეთის ლეგიონერების ყრილობა

პარიზი, 6 აგვისტო. „ტან"-ის ბერლინელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ პოლონეთის ლეგიონერების ყრილობამ, რომელიც 12 აგვისტოს უნდა შესდგეს ვილნოში, „პოლონეთის პრესაში გამოიწვია შიში, რომელსაც, როგორც ოფიციოზური გაზეთებიდან სჩანს, გერმანიის მთავრობა არ იზიარებს, მაგრამ მაინც სურს, რომ საფრანგეთმა ურჩიოს პოლონეთს ზომიერება". (ადს).

ამხ. ამბარცუმიანი ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქი, 7 აგვისტო. ახალქალაქში ჩამოვიდა ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ამბარცუმიანი.

ამხ. ამბარცუმიანი დაესწრო კომკავშირის პლენუმს, სადაც მას შეხვდნენ მხურვალე ტაშით. იგი გამოვიდა აგრეთვე პროფკავშირის წევრთა საქალაქო კრებაზე, სადაც გააკეთა მოხსენება კომპარტიის 25 წლის თავის შესახებ.

სოფლებში მოგზაურობისას ამხ. ამბარცუმიანმა ინახულა სულდის კომუნა, იყო კარზახში, ბარალეთში, ბეჟანოში და გორელოვკაში, სადაც გაეცნო ადგილებზე მუშაობას და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა გლეხებთან. მაზრის გლეხობა ყველგან დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა ამხ. ამბარცუმიანს. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პრესის წარმომადგენლების თათბირი

მოსკოვი, 6 აგვისტო. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში შესდგა ცენტრალური გაზეთების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გარჩეულ იქნა საკითხი პარტიული ცხოვრების გაშუქების შესახებ პარტიაში დაზგის მუშების რაოდენობის გადიდების თვალსაზრისით.

ამ საკითხის გამო გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. ინგულოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიაში მიღების შესახებ საკითხების გაშუქებას არ უნდა ჰქონდეს დაკვრითი კამპანიის ხასიათი. პარტიაში ჩაბმას საფუძვლად უნდა დაედოს უფრო შეგნებული, საუკეთესო და საზოგადოებრივ მუშაობაში გამოწრთობილი პროლეტარების შერჩევის პრინციპი.

თათბირმა მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ აუცილებლად გაძლიერებულ იქნეს პრესაში პარტიულობის პროპაგანდა და განემარტოს მასებს საკ. კომპარტიის (ბ) ორგანიზაციული საფუძვლები. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ანალოგიური თათბირების ჩატარება ადგილებზე, რათა ადგილობრივ პრესაშიც უზრუნველყოფილ იქნეს სწორი ხაზი პარტიის შემადგენლობის მოწესრიგების საკითხში (ადს).

პარტ-აქტივთან მუშაობის დეფექტები

(წერილი კახეთიდან)

ყოფილმა თელავის სამაზრო კომიტეტმა ხუთ დამახასიათებელ თემში პარტ-აქტივთან მუშაობის გამოკვლევა ჩაატარა. გამოკვლევამ ნათელი გახადა, რომ აქტივთან მუშაობა თემებში მიძინებულია, უჯრედების დიდ ნაწილს არა აქვს პარტ-აქტივის აღრიცხვა. ზოგიერთი უჯრედს კი (მაგ. ს. ყვარელი) ისიც ვერ გაურკვევია თუ ვინ უნდა ჩაითვალოს აქტივისტად.

განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული ქალთა მასიდან პარტიული აქტივის წამოზრდის საქმე. სამი თემის (ხოდაშენი, გავაზი, ნაფარეული) პარტორგანიზაციაში 54 აქტივისტი ითვლება, ამათგან ქალი მხოლოდ ერთია.

აქტივის აღზრდას პირველ ყოვლისა ხელს უშლის პარტ-დატვირთვის არა-თანაბარი განაწილება. სამაზრკომის დირექტივების მიუხედავად ამ არანორმალურ მოვლენას კიდევ აქვს ადგილი. მაგალითად, ს. წინანდლის კომუჯრედის მდივანს დავალება აქვს დაკისრებული, უჯრედის დანარჩენ წევრებს კი—ერთი ან ორი,—ს. ნაფარეულის უჯრედის მდივანი 13ს მოვალეობას ასრულებს, ამ უჯრედის ერთ-ერთი წევრი კი სულ თავისუფალია საუჯრედო დატვირთვიდან.

აქტივის ზრდის ტემპი ძლიერ ნელია. წინანდალის, გავაზის და ზემო ხოდაშენის ორგანიზაციებში 1927 წელს 27 აქტივისტი ირიცხებოდა, მიმდინარე წელს კი ირიცხება 39 აქტივისტი.

არც ერთ გამოკვლეულ ორგანიზაციას აქტივთან მუშაობის საკითხი დამოუკიდებლად არ განუხილავს. არ ყოფილა მოწვეული აქტივის თათბირი, რომელიც პარტ-აქტივთან მუშაობის საუკეთესო ფორმად ითვლება.

აქტივისტების დაწინაურების საკითხიც ვერ არის სათანადოთ მოწესრიგებული. ზოგი ორგანიზაცია უცბად წამოაყენებს ხოლმე აქტივისტს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ამის შედეგი ის არის, რომ აქტივისტი ვერ ერკვევა მისთვის უცნობ მუშაობაში და მრავალ შეცდომას უშვებს. საჭიროა დაწინაურება ხდებოდეს თანდათანობით, დაჩქარება ამ საკითხში ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს.

აქტივის თეორიტიული დონე შედარებით დაბალია. ეს აიხსნება იმით, რომ აქტივი კმაყოფილდება მხოლოდ მოძრავ სკოლებში მეცადინეობით. თვითგანვითარების წრეების შექმნას და საერთოდ თვითგანვითარებითი მუშაობის მოწესრიგებას კი არავითარი ყურადღება არ ექცევა.

აქტივისტები ანგარიშს ამომრჩევლებს აბარებენ, მაგრამ ცუდად არის დაყენებული ამომრჩეველთაგან მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება.

საჭიროა თემკომებმა და უჯრედთა ბიუროებმა გააძლიერონ აქტივთან მუშაობა და აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი.

ვ. ლუარსაბოვი.

როგორ ჩატარდა ბიუროების გადარჩევა

(სენაკი)

პარტმასის საერთო შემადგენლობის 80 პროცენტზე მეტი ღებულობდა მონაწილეობას საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე. მასების კრიტიკის, თავისუფალი მსჯელობის გაძლიერება და შინა-პარტიული დემოკრატიის ფართოდ გაშლა ახასიათებდა აღნიშნულ კამპანიას. უჯრედების მუშაობაში, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევა, როგორიცაა: ბიუროების შინაორგანიზაციული მუშაობის გამოცოცხლება, კრებების სისტემატიური მოწვევა, საკითხების შერჩევა და მათი პრაქტიკულად დამუშავება, გეგმიან მუშაობაზე გადასვლა, პარტდისციპლინის ამაღლება, ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივების შესრულების ფაქტები, მუშაობის ფორმების გაუმჯობესება, საბჭოთა სამეურნეო და პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება, პარტბირთვის გადიდება კომკავშირში და სხვა.

ბიუროების ახალი შემადგენლობის არჩევის დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა ასარჩევთა სოციალურ მდგომარეობას და მათ პოლიტიკურ მომზადება-სიმტკიცეს. სულ არჩეულ იქნა 193 კაცი, ამ რიცხვში მხოლოდ ორია ქალი, რაც არადამაკმაყოფილებელია და მიეწერება ქალთა შორის მუშაობის სისუსტეს. ახალ შემადგენლობაში 15 მუშაა, გლეხი—118 და 59 მოსამსახურე.

გრ. ჩაჩიბაია.

მუშაობა შეუკავშირებელ ქალთა შორის

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მუშა-ქალთა და გლეხქალთა შორის მომუშავე განყოფილებამ, განიხილა რა საკითხი შეუკავშირებელ მშრომელ ქალთა მასებს შორის მუშაობის შესახებ, მიიღო მთელი რიგი წინადადებანი, რომლებიც შეეხება ამ მუშაობის დაყენებას ადგილებზე.

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების აზრით, პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობის პროლეტარიატთან უფრო ახლო მდგომ ფენებს შორის—მუშების ოჯახების წევრებს შორის, ხოლო მეორე რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა დანარჩენ მასებს—შინამრეწველ ქალებს და დიასახლისებს, მოსამსახურეთა, ხელოსანთა ცოლებს და სხ. მუშათა ცოლების ორგანიზაციების გამოყოფამ საწარმოო უჯრედებში საუჯრედო ორგანიზატორისათვის დასახმარებლად, გაამართლა თავისი დანიშნულება. ამასთანავე მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება მიზანშეწონილად სცნობს, რომ მუშათა ცოლების შესაკავშირებლად მთელ რიგ ადგილებში და მუშათა მსხვილ უბნებში, მიმაგრებულ იქნან კომუნისტი-ქალები განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ქვერაიონი, კვარტალი, უბანი, საბინაო ამხანაგობა) მცხოვრებ მუშათა ცოლებს შორის მუშაობისათვის.

სადელეგატო კრებების მიერ მუშათა ცოლებს შორის მუშაობის პრაქტიკამ დაგვიმტკიცა, რომ დელეგატები—მუშათა ცოლები უნდა შეუერთდნენ მუშათა საუბნო და სარაიონო სადელეგატო კრებებს. სადელეგატო კრებების მოწყობა მარტო მუშათა ცოლებისათვის იმ რაიონებში, სადაც მუშა-ქალთა რიცხვი უმნიშვნელოა, შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ცალკე შემთხვევაში საგუბერნიო ან საოლქო კომიტეტის ნებართვით.

მუშაობა მშრომელ ქალთა შეუკავშირებელ მასებს შორის გარდა ამისა წარმოებულ უნდა იქნას საბჭოების, კოოპერაციის, პროფკავშირთა და ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა ხაზით აუცილებელია საბჭოების წევრ-მუშათა ცოლების ჩაბმა საბჭოების სექციებისა და კომისიების მუშაობაში; პერიოდულად უნდა იქნას მოწვეული საბჭოების წევრ დიასახლისთა კრება მუშა-ქალებთან ერთად ინსტრუქციების მისაცემად და გამოცდილებათა შესასწავლად; სამ თვეში ერთხელ მაინც რეგულიარულად უნდა იქნას მოწვეული ამომრჩეველ-დიასახლისთა კრება მათი დეპუტატების მოხსენებათა მოსასმენად. სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით აუცილებელია მუშათა და მოსამსახურეთა ცოლების ჩაბმა კოოპერაციაში საპაიო გადასახადის შეტანისათვის არსებული შეღავათების (ვადის გაგრძელება, პაის რაოდენობის შემცირება) გამოყენების საშუალებით; კერძოდ განმტკიცებულ იქნას კოოპერაციის ორგანიზატორების გამოყოფის პრაქტიკა კვარტალების, ქუჩების, დიდი სახლების და სხ. მიხედვით.

საბინაო კოოპერაციის ხაზით აუცილებელია ძირითად ამოცანად იქნას დასახული დიასახლისთა და შინამრეწველ ქალთა, პირველ რიგში, მუშათა ცოლების უფრო მეტად ჩაბმა საბინაო კოოპერატივების გამგეობებთან არსებულ კომისიებში, როგორიცაა არის მაგალითად: კულტურულ-ყოფაცხოვრების, ტეხნიკურ-სამეურნეო, საორგანიზაციო-საფინანსო და სხ. კომისიები. გამო-კვების კავშირის ხაზით მუშათა და მოსამსახურეთა ცოლები ჩაბმულ უნდა იქნან სხვადასხვაგვარ კომისიებში და სასადილოების საკონტროლო ორგანოებში, ხოლო იმ ადგილებში, სადაც მასიურად არიან თავმოყრილი დიასახლისები (საერთო საცხოვრებლები, სასადილოები, ფაბრიკა-სამზარეულოები) აუცილებელია მოეწყოს კულინარიის წრეები. დაბოლოს, პროფკავშირთა ხაზით ცეკას მუშა-ქალთა განყოფილება საჭიროდ სცნობს მუშათა ცოლები ჩაბმულ იქნან კლუბის გამგეობის და მისი კომისიების მუშაობაში. გარდა ამისა, მუშათა ცოლების დაწინაურება საბჭოთა და კოოპერატიული ხაზით მუდმივ ჯამაგირიან თანამდებობაზე, ყოველ ცალკე შემთხვევაში შეთანხმებულ უნდა იქნას მუშა-ქალთა განყოფილებასთან.

იმ მიზნით, რომ პრესამ სათანადო მონაწილეობა მიიღოს მუშათა ცოლებს შორის მუშაობაში, მუშა-ქალთა მასიურ ჟურნალებში შემოღებულ უნდა იქნას ფურცელი, რომელშიაც გაშუქებული იქნება მუშა-ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრების და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის საკითხები.

მეტი ყურადღება მოჯამაგირეებს

სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს მოჯამაგირეთა შორის მუშაობის მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი დირექტივები იქნა გაცემული ამ მუშაობის შესახებ, ჩვენ ადგილებზე მაინც ვერ ვხედავთ იმ გარდატეხას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწორი პარტიული ხელმძღვანელობა და ეს მუშაობა ახალ ნიადაგზე დააყენოს.

სოფლის ღარიბთა მიმართ უჯრედებმა და თემკომებმა შეითვისეს პარტიის ძირითადი ხაზი, მათ ცოტად თუ ბევრად სისწორით გამონახეს ღარიბთა შორის მუშაობის ძირითადი ფორმები და მეთოდები, ხოლო მოჯამაგირეებს კი ჯერ-ჯერობით ალმაცერად უყურებენ და ფიქრობენ, რომ «მოჯამაგირენი—ეს ტეხნიკურად და ნახევრად ტეხნიკურად უცოდინარი ელემენტია და როგორ შეიძლება ისინი საზოგადოებრივ მუშაობაში ჩავაბათ, ან პარტიაში მივიღოთო"; ანდა ლაპარაკობენ იმაზე, რომ მათ რაიონში მოჯამაგირენი არ არიან.

რას მოწმობს ეს?

ეს მოწმობს შემდეგს: დღემდე სისწორით არ არის შეგნებული ის მდგომარეობა, რომ მოჯამაგირენი თავისი ეკონომიური მდგომარეობით. თავისი ფსიქოლოგით უფრო ახლო დგანან ჩვენთან, ვიდრე სოფლის სხვა რომელიმე ფენა.

მაგრამ განა სამართლიანი იქნება, რომ მთელი დანაშაული ქვედა საფეხურის ორგანიზაციებს მოვახვიოთ თავზე? შეიძლება ითქვას თუ არა, რომ მხოლოდ ისინი მუშაობენ ცუდად, თორემ ყველაფერი რიგზე იქნებოდა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის თქმა შეუძლებელია, ეს არ იქნებოდა სავსებით სწორი.

როგორი მდგომარეობაა კავშირის ცეკას მხრივ ხელმძღვანელობის დარგში? უნდა ვაღიაროთ, რომ კავშირის ხელმძღვანელობა სუსტია. მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომ ხელმძღვანელობის ფორმები მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს და გარდაიქმნას. შეიძლება თუ არა ამჟამად დავკმაყოფილდეთ „საგასტროლო მოგზაურობით" ზევიდან? ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში წინედ ამას ქონდა ადგილი, მაგრამ ეხლა ეს დაუშვებელია. დაუშვებელია, როცა ინსტრუქტორი ჩადის საღამოს 6 საათზე, წაიჩხუბება ადგილობრივ მუშაკებს იმის გამო, რომ „თქვენ კარგად არ გესმით ჩვენი გეგმებიო", და ბრუნდება უკან დილის 8 საათზე. ინსტრუქტორი, თუ მას მართლაც სურს მუშაობის ხელმძღვანელობა რაიონში, 2—3 დღე უნდა დარჩეს ადგილობრივ, ამხანაგურად მოეკიდოს ადგილების მოთხოვნილებებს, გამოაშკარაოს ნაკლოვანებანი, მისცეს დირექტივები და პრაქტიკული მუშაობით დახმარება აღმოუჩინოს.

გაგზავნილ ცირკულიარებს და სხვა დირექტივებს ადგილები დიდის დაგვიანებით იღებენ. არ არსებობს პოპულიარული ლიტერატურა მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ და სხვა. თუ როგორი არ უნდა იყოს ხელმძღვანელობა ზევიდან, ამას მოწმობს შემდეგი ამბავი. მიწატყის კავშირის ცენტრ. გამგეობის ერთ-ერთი მუშაკი ჩადის ალბულაღში და გრეხილი ავეჯეულის მუშებს შორის ეწევა აგიტაციას, რათა გამოაცხადონ გაფიცვა სამუშაო ხელფასის გადიდების მიზნით. მუშები დაეთანხმენ და გამოაცხადეს გაფიცვა. ცენტრ. გამგეობის წარმომადგენელი დაჰპირდა მათ დახმარებას და წამოვიდა თბილისში. მუშები გაფიცული იყვნენ სამი დღე და როცა ვერავითარი დირექტივები ვერ მიიღეს, კვლავ შეუდგნენ მუშაობას ძველ პირობებში. გაცდენილი დღეების ხელფასი, რასაკვირველია არ მისცეს.

ასეთი საქციელი ყოვლად დაუშვებელია. როგორ შეიძლება მუშებს ურჩიო გაფიცვა და შემდეგ დასტოვო სრულებით უყურადღებოდ!

მართალია, უკანასკნელ ხანებში მეტი ყურადღება ექცევა ხელმძღვანელობის საკითხებს, მაგრამ ჩვენ ეს ხელმძღვანელობა კიდევ უფრო მეტად უნდა დაუახლოვოთ მასებს და იგი უნდა გავხადოთ უფრო ცოცხალი და მოქნილი.

მუშაობაში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების თავიდან ასაცილებლად, მაღლა მდგომი ორგანოების დირექტივების და კერძოდ პარტიის თბილისის კომიტეტის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა შეთვისებამ და ცხოვრებაში შეურყევლად გატარებამ უმთავრესი ადგილი უნდა დაიჭიროს პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში ადგილობრივ.

ჩვენ ნაკლოვანებებს უბრალო ლაყბობისათვის ხომ არ ვაშკარავებთ. ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა, სუსტ მხარეთა გამოაშკარავების შემდეგ უნდა შეუდგეთ მათ აცილებას. აი, რას უნდა მიექცეს ამჟამად ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება სოფლად.

ი. გორდელაძე.

პარტიის 25 წლის თავზე

26 კომუნარის სახ. ქარხანა

3 ივლისს შესდგა ლითონტრესტის 26 კომუნარის სახელობის ქარხნის უჯრედის ღია კრება კომკავშირის უჯრედთან ერთად. კრებამ მოისმინა ამხ. ლევინის მოხსენება პარტიის მე-2 ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. პ. მე-2 ყრილობის შემდეგ კომუნისტური პარტია ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა და პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი ლენინური დროშის ქვეშ დაირაზმა.

მოხსენების ირგვლივ მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიაც კრება იმედს გამოსთქვამს, რომ უჯრედის წევრები გაეცნობიან ამ ყრილობის მნიშვნელობას.

ქარ-ლი.

რკ. გზის მთავარი სახელოსნოები

პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა ა.-კ. რკინისგზის მთავარ სახელოსნოების 10 საამქროს უჯრედის ღია კრება, რომელსაც 698 ამხანაგი დაესწრო.

ამხ. ფაბრიციუსმა დაახასიათა, თუ როგორ პირობებში უხდებოდა პარტიის მე-2 ყრილობას მუშაობა; აღნიშნა „ისკრას" პერიოდი და მისი როლი 1903—4 წლებში და სხვ. ამხ. ფაბრიციუსი შეეხო აგრეთვე მე-2 პარტყრილობის 25 წ. თავზე მოწყობილ იუბილეს მნიშვნელობას და აღნიშნა, თუ რა ნაყოფს მოუტანს ყრილობის მასალების შესწავლა-გაცნობა თითეულ კომუნისტს.

კრებამ დაადგინა: მიექცეს ყურადღება პარტიის წევრების მხრივ, მე-2 ყრილობის მასალების შესწავლა-დამუშავებას.

ძ. ლ.

სადგ. თბილისის უჯრედი

სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის და კონდუქტორთა ბრიგადების უჯრედის ღია კრებაზე მოსმენილ იქნა ამხ. ნ. ვაჭარაძის მოხსენება—პარტიის მე-2 ყრილობისა და კომინტერნის მე-6 კონგრესის მნიშვნელობის შესახებ.

ამხ. ვაჭარაძემ გასაგები ენით განმარტა, მე-2 ყრილობის მოწვევის პერიოდი, კომპარტიის პლატფორმა ამ ყრილობაზე და შეეხო აგრეთვე კომინტერნის მე-6 კონგრესის მნიშვნელობასაც. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა.

ბ—ი.

კომკავშირში

გორჩალოს ორგანიზაციის ლაშქრობა

ღამის ათი საათია. შაუმიანის და ლიუქსემბურგის პარტკომების ეზო ივსება კომკავშირის და თავდაცვა-ავიაქიმის წევრებით.

ისმის ტელეფონის ზარის წკარუნი.

— შაუმიანი? როგორ არის საქმე, მზად ხართ? კარგი. შაუმიანის ლეგიონის მზად ყოფნა საერთო მეთვალყურეს მოხსენდა.

წინასწარ შედგენილი გეგმით შაუმიანის ლეგიონს („ლურჯები") უნდა ეწარმოებინა შეტევა ლიუქსემბურგის („წითლების") ლეგიონის წინააღმდეგ. ბრძოლის ველი ემირ ასანის მიდამოებია. მიმართულება: ლიუქსემბურგი, ემირ ასანი, ფახრალო, შაუმიანი.

„ლურჯები" შეუტევენ ფახრალოს რაიონიდან, „წითლები" კი ემირ ასანში გამაგრდებიან.

ლეგიონები დაიყო ნაწილებად, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მათი წრიდან გამოყოფილი პირები. შედგენილია მთავარი შტაბი, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გაბალოვის ხელმძღვანელობით. გამოყოფილია ლეგიონების პოლიტ აპარატი: კომისრები, პოლიტხელები, კომკავშირის და თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების მდივნები, რევტრიბუნალი და სხვა. განსაკუთრებით კარგად იყო მოწყობილი სანიტარული ნაწილი, მოწყალების დების ცოცხალი საქმიანობა და ლამაზი მორთულობა ლაშქარს ამშვენებდა.

ჯარში სრული ერთსულოვნებაა. ყველა მოუთმენლად ელოდება ფრონტისაკენ გამგზავრებას. ათეულების მეთაურები და ორგანიზატორები ნაწილებს აცნობენ მანევრების მნიშვნელობას, დისციპლინის აუცილებლობას და სხვა საკითხებს.

უკვე ღამის 12 საათია. ლაშქრობისათვის სამზადისი გათავდა.

„სმენა"!—გაისმა ლეგიონის მეთაური ამხ. კატანოვის ბრძანება—ნაბიჯით იარ!—ლაშქარი გზას გაუდგა.

ღამის სამ საათზე დაიწყო მოპირდაპირეთა შეტაკება. ბრძოლის განმავლობაში სწარმოებს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა, გამოიცა კედლის გაზეთი. ეწყობოდა საუბრები. ხმამაღლა კითხვა გლეხობისათვის და სხვა.

ლაშქარს დიდი ბრძოლის ხალისი ეტყობა ორი დღე და ღამე განუწყვეტელი „ბრძოლის" და რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლის მიუხედავათ, როგორც მოლაშქრე ვაჟებში, ისე ქალებში დაღლილობა არ ყოფილა შემჩნეული.

კომკავშირის და თავდაცვა-ავიაქიმის წევრების ლაშქრობა კარგი გაწვრთნილი ჯარის შთაბეჭდილებას სტოვებდა, დისციპლინა, ბრძანების დროზე ასრულება, მტკიცე ნაბიჯი—ყველაფერი ეს მოწმობს ჩვენი კავშირის და თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა სერიოზულ მოპყრობას გასამხედროების საქმისადმი.

ბრძოლა დამთავრდა 18 ივლისს „ლურჯების" გამარჯვებით, თუმცა „წითლები" გაცილებით უკეთ მოქმედებდნენ და მეტი მომზადებასა და დისციპლინას იჩენდნენ.

ბოლოს სოფ. ამირ-ასანში გაიმართა მიტინგი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: გლეხობა იმდენად აღფრთოვანებული შეხვდა ლაშქრობას, რომ მოლაშქრეთ, სადაც 300-მდე კაცი იყო სადილი გაუმართა.

ჟანელი.

მეტი მზე, მეტი სინათლე!

ამ წერილში მე უნდა შევეხო საცხოვრებელ სახლების მშენებლობის საკითხს. ეს ერთი დიდი დარგია საერთო მშენებლობის, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ არც საინჟინერო ტეხნიკაში და მით უმეტეს არც ხუროთმოძღვრებაში მე ბევრი არ გამეგება. მაგრამ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია და ვალდებულიცაა დააფასოს ის, რაც ან გაკეთებულია, ან კეთდება, როგორც სილამაზის, ისე კიდევ უფრო საცხოვრებელ პირობების და სიძვირე-სიიაფის მიხედვით.

რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ საცხოვრებელი ბინები აშენებული იქნენ ისე, რომ იქ იყვეს ისეთი მოწყობილებანი, რაც საჭიროა იმისთვის, რომ მდგმურები გაჭირვებას არ გრძნობდენ **სინათლის, წყლის, სამზარეულოს და სხვა** საჭიროებათა მხრით. მეორე მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ ვუყენებთ მუშა-მოსამსახურეთათვის დანიშნულ საცხოვრებელ სახლებს, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი უნდა იყვენ რაც შეიძლება **მაგარი და გამძლე,** ე. ი. რომ ახალ გაკეთებულ სახლებისთვის პირველსავე ან მეორე წელს კაპიტალური რემონტის გაკეთება საჭირო არ შეიქნეს. მესამე, სახლების გაკეთებაში გაწეულ უნდა იქნას **უდიდესი ყაირათობა და მომჭირნეობა,** რომ იმათი გაკეთება რაც შეიძლება **იაფი დაჯდეს.** დაბოლოს, მეოთხე, საცხოვრებელი სახლები გარეგნულადაც, თავისი სილამაზით და შნოით, კარგ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდენ ადამიანზე.

აი ის მთავარი მოთხოვნები, რომელთაც ვუყენებთ ჩვენ ხუროთმოძღვართ, ე. ი. იმათ, ვინც ადგენს საცხოვრებელ სახლების გეგმებს და ვინც ხელმძღვანელობს თვით შენობის აგებას. შესაძლებელია თუ არა ამ მოთხოვნათა შესრულება? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. შეუძლებელი აქ არაფერია. მაგრამ თუ ჩვენ მივმართავთ სინამდვილეს, დავინახავთ, რომ მეტი ნაწილი ახალ აგებულ სახლებისა თითქმის ვერც ერთ ზევით წამოყენებულ მოთხოვნას არა თუ სავსებით, არამედ ნაწილობრივაც ვერ აკმაყოფილებს. ახლად აგებული შენობები უმეტეს ნაწილად ჯდება სამ-ოთხჯერ უფრო ძვირად, ვინემ წინად; ასევე ითქმის იმათ სიმაგრეზე და გამძლეობაზე. მაგრამ თავი და თავი ნაკლი, რომელიც ახალ შენობებს ახასიათებს, მდგომარეობს ეგრედწოდებულ **„ქართული სტილით" გატაცებაში.** მე ვფიქრობ, რომ ეს რაღაც სენი უნდა იყოს, რომლითაც შეპყრობილი უნდა იყვენ ზოგიერთი ჩვენი ხუროთმოძღვრები — ინჟენერები. მაგრამ წილი ამ დანაშაულში მიუძღვის საბჭოთა ხელისუფლებასაც, რომელიც სახლების მშენებლობის საქმეს დიდხანს არ აქცევდა ყურადღებას. ეს იყო ერთგვარი დაუდევრობა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ დეე, სახლები იქნას გაკეთებული რაც შეიძლება მეტი, და სტილს მაინცა და მაინც არ დავეძებთო; თუ სასიამოვნო და მისაღებია ქართული სტილი, დეე ამ სტილით იქნეს აგებული სახლებიო. მაგრამ რაში გამოიხატა ეს ქართული სტილი? როდის, რა ხანაში წარმოიშვა ის? შეეფერება ის დღევანდელ დროს, დღევანდელ პირობებს, დღევანდელ მოთხოვნებს, თუ არა?

ამ კითხვებზე არავინ ფიქრობდა. ჩვენ სავსებით დავენდევით ამ საქმეში იმათ, ვინც ამას ხელმძღვანელობდენ და შედეგი კი მეტად სამწუხარო მივიღეთ. მე არ ვამბობ, რომ ეს მოხდა ვისიმე **ბოროტი განზრახვით,** რომ ვისმეს **შეგნებულად უნდოდა საქმის გაფუჭება.** ამაში მე პირადად ოდნავაც არ შემაქვს ეჭვი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შემიძლია აღშფოთება არ გამოვთქვა იმ უმსგავსოებათა წინააღმდეგ, რასაც ადგილი აქვს სახლების აგების საქმეში. ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ ჩვენს მშენებლებს, ინჟენერებს, მხოლოდ კეთილი განზრახვა ქონდათ, როცა „ქართულ სტილზე" აგებდენ სახლებს; ისინი ალბად ფიქრობდენ, რომ ეს შენობები იქნებოდენ უღრესად ლამაზი და საცხოვრებლადაც მოხერხებული. სინამდვილეში კი ჩვენ მივიღეთ სრულიად ამის წინააღმდეგი: შენობები უმეტეს ნაწილად **უსინათლო და უმზეო,** მასთან **უშნო და ულამაზო,** მეტის მეტად ვიწრო სარკმლებით, ყოვლად უშნო თაღებით და უშნო, ულაზათო აივნებით, ყოველივე ეს მოგაგონებთ ეკლესიას ან მონასტერს, უკეთეს შემთხვევაში საშუალო საუკუნოების ციხე-კოშკს და არა საცხოვრებელ სახლებს მეოცე საუკუნეში.

უპირველეს ყოვლისა, რა არის ეს „ქართული სტილი", რაზედაც ასე წამდაუწუმ გვითითებენ. ამის წინად ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა (არა ქართველმა) საქართველოს მუზეუმის ახალ, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შენობის შესახებ მითხრა: „თუ ეს არის ქართული სტილი, მე სავსებით ამ სტილის მომხრე ვარ"-ო. ახლა მე თქვენ გეკითხებით: რა არის საერთო ამ შენობასა და თუნდაც იმ შენობას შორის, რომელიც აგებულია ამ უკანასკნელ დროს წყნეთის და ლენინის ქუჩების კუთხეში; ან კიდევ რომ ავიღოთ პლეხანოვის პროსპექტზე ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთათვის აგებული შენობები? სრულიად არაფერი. და ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ ერთიც, მეორეც და მესამეც სწორედ „ქართულ სტილზეა" აგებულიო. ახლა ვიკითხოთ: რომელი იმათგანია გაკეთებული ნამდვილ ქართულ სტილზე? ამ საკითხის გადაჭრის დროს ჩვენ ვეხჯინებით მეორე საკითხს: სახელდობრ იმას, თუ რას წარმოადგენს ეს ქართული სტილი ხუროთმოძღვრებაში? მაგრამ განა რომელიმე ხელოვნება ერთხელ და სამუდამოდ მოცემული და გაყინული რამ არის? ყოველივე ხელოვნება, მათ შორის ხუროთმოძღვრებაც, რა თქმა უნდა, გამოხატულებაა თავისი დროის, განსაზღვრული ეპოქის, იმ დროის კულტურის, ყოფა - ცხოვრების, საზოგადოების ქონებრივ და იურიდიულ ურთიერთობათა. მაშასადამე, ის ყოველ ეპოქაში ერთგვარი არაა, ის ცვალებადია, ისე როგორც ცვალებადია საზოგადოების ქონებრივი და იურიდიული ურთიერთობანი. ის სტილი ხუროთმოძღვრებაში, რომელიც ახასიათებს ძველი დროის ან საშუალო საუკუნოების შენობებს საქართველოში, გამომუშავებულ იქნა ფეოდალურ ეპოქაში, როცა ურიცხვი ფეოდალები: მეფეები, ერისთავები და თავადები წამდაუწუმ ერთმანეთს ანადგურებდენ და შემდეგ ციხე-კოშკებში აფარებდენ თავს. ეკლესიების, მონასტრების და ციხე-კოშკების აშენების დროს მაშინდელი ხუროთმოძღვრები ფეოდალების კარნახით ძალაუნებლიედ ანგარიშს უწევდენ ამ გარემოებას, და ამიტომაც იყო, რომ ყველა ამ შენობებს აგებდენ მთის მწვერვალებზე, მაღალ კლდეებზე და საზოგადოთ მიუვალ ადგილებზე. ამავე დროს ასეთ შენობებს აგებდენ ვიწრო და მაღალი სანათურებით და კბილებიანი კოშკებით. და ყოველივე ეს ხდებოდა თავდაცვის მიზნით თავდამსხმელთა წინააღმდეგ. აი ამ პირობებში შემუშავდა ის სტილი, რომელსაც ჩვენ დღეს თავზე გვახვევენ სრულიად ანგარიშმიუცემლად.

ერთი ვიკითხოთ: ვის ესაჭიროება დღეს ასეთი შენობები? ჩვენ გვესაჭიროება დღეს ისეთი საცხოვრებელი ბინები, რომლებშიაც რაც შეიძლება მეტი მზე და მეტი სინათლე უნდა შედიოდეს; რომელთაც უნდა ქონდეთ ფართო კარები და ფართო ფანჯრები, ხოლო კოშკების და თაღების მაგიერ კი კულტურული ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი პირობები. მთელი კულტურული კაცობრიობა დღეს სწორედ ასეთ საცხოვრებელ ბინებისთვის იბრძვის. და უკვე კიდეაც შემუშავდა ასეთი სტილი თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში; ეს სტილი მეტად სადაა, უთაღოთ და უკოშკოთ, მაგრამ სამაგიეროთ მოხერხებული საცხოვრებლად. ესაა არა სახლები - ციხეები, არამედ კულტურული ცხოვრებისათვის გაკეთებული ბინები. ასეთი სახლები კეთდება ყოველგან, კეთდება ჩვენშიაც. იმათი რიცხვი ცოტაა, მაგრამ ჩვენ უნდა გავადიდოთ. აქ კი ჩვენ თავზე გვახვევენ ისეთ შენობებს, რომლებიც გვწევენ ჩვენ უკან საშუალო საუკუნოებისაკენ. აი თუნდაც ის შენობა, რომელიც აუგია კომუნალურ ბანკს თავის მოსამსახურეებისათვის ლენინის და წყნეთის ქუჩების კუთხეში. ეს შენობა მოგაგონებთ საშუალო საუკუნოების ციხე-სიმაგრეს. ვიწრო მაღალი ფანჯრები, რომლებიც ჩვენ გვხვდება მე-6 — მე-7 საუკუნოებში აგებულ ეკლესია - მონასტრებში; ოთახებში ორ-ორი ვიწრო ფანჯარა, ერთი დიდი და ფართო ფანჯარის მაგიერ, რომელიც ბევრად უფრო მეტ სინათლეს, მეტ მზეს და მეტ ჰაერს მისცემდა ოთახს. ზევით ამოჩრილია კბილებიანი კოშკები, რომლებიდანაც, ასე გეგონებათ, ესაა ქვებს გადმოისვრიან გარშემოსეულ მტრების მოსაგერებლად. რა საჭირო იყო ყველაფერი ეს? განა ეს სილამაზეს აძლევს შენობას? სრულებითაც არა. პირიქით, ეს ამახინჯებს შენობას და იმავე დროს უნდა ვიფიქროთ, ამ ყოვლად უსარგებლო და უაზრო კოშკების გაკეთებამ ზედმეტი ხარჯებიც გამოიწვია. მე ვფიქრობ, რომ ამას დანაშაული ეწოდება, რა თქმა უნდა, არა განზრახ ჩადენილი.

აიღეთ ეხლა ტრამვაის მუშა - მოსამსახურეებისათვის აგებული სახლები პლეხანოვის პროსპექტზე (8 კორპუსი, თითოეულ კორპუსში 24 ბინა). **ღირებულება** ყველა ამ შენობების უდრის **2 ნახ. მილ. მანეთს.** პირველ ყოვლისა ამ 8 კორპუსს თითქმის სრულებით არ აქვთ ეზო. სამ-ოთხ სართულიანი შენობები ერთი - მეორეზეა მიკრული, ერთი ერთმანეთს აყენებს ჩრდილს და, მაშასადამე, აბნელებენ, გზას უკრავენ მზეს, სინათლეს, სუფთა ჰაერს. რას ფიქრობდენ უშუალო ხელმძღვანელები — მშენებლები, რას ფიქრობდა თვით ქალაქის საბჭო, როცა ამ სახლებს აშენებდენ? — ეს ჩვენ არ ვიცით. მხოლოდ ჩვენ შეკითხვაზე ამის შესახებ მივიღეთ ასეთი პასუხი: ქუჩის მეორე მხარეზე არის ტრამვაიელების კლუბი და ბაღი, და აი ამ სახლების მცხოვრებლებს შეუძლიათ იქ ისარგებლონ მზით და სუფთა ჰაერითო. აშკარაა, რომ ასეთი პასუხი ვერავის ვერ დააკმაყოფილებს: რადგანაც კლუბი და ბაღი ერთია და საცხოვრებელი სახლი და ეზო სულ სხვაა.

ახლა ამ შენობების სტილის შესახებ. უნდა ითქვას, რომ საერთოდ აქ სჭარბობს ქართული სტილი, მაგრამ ის ბოლომდის დაცული არაა, როგორც კომუნალური ბანკის სახლში. აქაც ვიწრო თაღებიანი ფანჯრები და ბნელი ოთახები. აკლია მხოლოდ კბილებიანი კოშკები. სამაგიეროდ სახლების გვერდით აყუდებულია ყოვლად უშნო, სქელი ოთხკუთხიანი სვეტები, რომლებიც მაღლა, მეორე თუ მესამე სართულზე შეერთებულია კედლებთან, და გამოდის რაღაც აივნის მაგვარი. ეს ახირებული სვეტები აივნებით კიდევ უფრო ამახინჯებს და აუშნოებს შენობებს. ჩემ შეკითხვაზე: რა საჭიროებას წარმოადგენენ ეს სვეტები, — ეს ვერავინ ამიხსნა. და არც შეიძლება ამის ახსნა რაიმე საჭიროებით. ამისთვის კი საჭირო იყო ზედმეტი ხარჯი და შრომა. ვერ გამიგია, რა მიზანი ქონდა ამ შემთხვევაში ხუროთმოძღვარს?

სიტყვას აღარ გავაგრძელებ ამ შენობების სხვა მრავალ დეფექტებზე, როგორც, მაგ., ის, რომ სასულეები საპირფარეშოებიდან ყოველგან გამოდიან ასავალ კიბეებზე, უბრალო რკინის მოაჯირების მაგიერ აივნებზე გაკეთებულია ათ-თორმეტ გოჯის სისქის კედელი აგურიდან და ცემენტიდან, რაც იმავე დროს საშინლად აუშნოებს ისედაც უშნო და ულაზათო შენობებს, და სხვ. და სხვ.

აშკარაა, ამ სახლების მშენებლებს ალბათ თავისი „ფანტაზიით" და „გამოგონებებით" უნდოდათ გაეკვირვებიათ ხალხი, უნდოდათ ისეთი რამე შეექმნათ, რაც განცვიფრებაში მოიყვანდა ყველას. ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში არ იყო საჭირო არც ფანტაზიორობა და არც გამოგონება; მით უმეტეს არ იყო საჭირო არქიტექტურის სტილის ძებნა წარსულში, საშუალო საუკუნოების ციხე-სიმაგრეებში და ეკლესია - მონასტრებში. ეს არაფრით არ გამართლდება.

ამ საკითხის ირგვლივ კამათიც იყო ჩვენ პრესაში, საიდანაც ჩანს, რომ ძველი ეკლესიური ტენდენციების განახლებას ხუროთმოძღვრებაში ჯერ კიდევ მაგრად ქონებია ფესვები ხელოვნების ამ დარგში. აი რას ამბობს, სხვათა შორის, სამხატვრო აკადემიის ხუროთმოძღვრების ფაკულტეტის დეკანი პროფ. **გრინევსკი** ამხ. დუდუჩავას წერილის გამო: „როგორც ყოველგან, ისე საქართველოში **სამოქალაქო ხუროთმოძღვრების სტილის თავდაპირველი ტიპი შეიქნა ეკლესიური სტილი***). როგორც მაგალითი, შეიძლება მოვიყვანოთ საბერძნეთის და რომის ტაძრები, რომლებმაც შექმნეს რენესანსის სტილი და ამპირი. რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ უნდა აღდგენილ **იქნას ძველი ეკლესიური სტილი.** საზოგადოებრივ შენობათა აგება ჯვარედინი გეგმით თაღით შუაში კიდევ არ არის ახალ საცხოვრებელ სახლების ამოცანის გადაჭრა. ეს, რა თქმა უნდა, **არქაიზმია, მაგრამ ამ არქაიულ ფორმებიდან უნდა გამოვიტანოთ ის მოტივები, რომლებმაც უნდა მოგვცეს ხუროთმოძღვრების ახალი სტილის შექმნის შესაძლებლობა**"-ო (იხ. გაზ. „ზარია ვოსტოკა" № 153, 4 ივლისი, 1928 წ.). აქ წამოყენებული დებულებები არაა მართალი არც **ისტორიულად და არც პრინციპიალურად;** როცა ლაპარაკობენ **ეკლესიურ სტილზე,** ყოველთვის იგულისხმება ქრისტიანული ეკლესიების და ტაძრების სტილი. მაგრამ განა ქრისტიანულ ტაძრებს წინ არ უძღოდენ ეგრედწოდებული **წარმართული ტაძრები?** განა ქრისტიანებმა თავიანთ ეკლესიების თუ ტაძრების სტილი თუ სრულიად არა, ნაწილობრივ მაინც წარმართების სტილიდან არ გადმოიღეს? განა ცოტაა დარჩენილი კვალი წარმართული ხუროთმოძღვრებისა ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში? ეს ასე იყო ყოველგან: საბერძნეთში, რომში, საქართველოში, ევროპაში. ამიტომ სწორი არ არის პროფ. გრინევსკის ის დებულება, რომ თითქო ყოველგან სამოქალაქო არქიტექტურის სტილის თავდაპირველი ტიპი ყოფილიყოს ეკლესიური (ე. ი. ქრისტიანული) სტილი, რადგანაც თვით ეს ეკლესიური (ე. ი. ქრისტიანული) სტილი წარმოიშვა წინედ არსებულ, ე. ი. წარმართულ არქიტექტურის ნიადაგზე.

სწორი არ არის აგრეთვე პროფ. გრინევსკის ის დებულება, რომ ვითომც ძველ არქაიულ ფორმებიდან (ე. ი. ეკლესიური სტილიდან) უნდა გადმოვიღოთ ის მოტივები, რომლებმაც უნდა მოგვცეს ხუროთმოძღვრების ახალი სტილის შექმნის შესაძლებლობაო. ეს დებულება სრულებით მიუღებელია. ვერავინ ვერ დაგვიმტკიცებს, რომ თანამედროვე ხუროთმოძღვრების ახალი სტილის შექმნისათვის ჩვენ უთუოდ უნდა მივმართოთ არქიტექტურის ძველ არქაიულ ფორმებს, ე. ი. ეკლესიურ სტილს. აშკარაა, ეს მოტივები უნდა მონახულ იქნას არა მონობის ან ფეოდალიზმის ხანაში, არამედ თანამედროვე **პროლეტარული რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ხანაში.** რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებენ თუნდაც ის მაგალითები, რომლებიც ჩვენ უკვე გვაქვს ეკლესიური სტილის გამოყენების მხრით სახლების აგებაში. ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ თუ კი რამ კარგი არის ძველ სტილში, ის არ იქნას გადმოღებული.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ხუროთმოძღვრების დარგში საერთოდ დღემდის **დიდი გაურკვევლობა და ქაოსი სუფევს.** ეტყობა, ჩვენი ხუროთმოძღვრები რაღაცას ეძებენ, რაღაცის შექმნა სწადიათ. სამწუხაროდ, იმათ აურჩევიათ სრულიად არა სწორი გზა. ხუროთმოძღვრების **თანამედროვე სტილი აუცილებლად უნდა შეიმუშავდეს თანამედროვე სოციალურ - ეკონომიურ პირობების მიხედვით. თანამედროვე არქიტექტურიდან ჩვენ ვთხოულობთ შენობების რაც შეიძლება მეტ სისადე - სიმარტივეს, რაც შეიძლება მეტ სიმაგრეს და გამძლეობას და მასთან რაც შეიძლება მეტ სიიაფესაც. ჩვენ ვთხოულობთ, რომ შენობები აკმაყოფილებდენ მშრომელთა საზოგადოებრივ, კულტურულ და ჰიგიენურ მოთხოვნებს და საჭიროებებს. მეტი სინათლე, მეტი ჰაერი, მეტი მზე,** — აი ჩვენი დევიზი ხუროთმოძღვრების დარგში. ეს ოდნავაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ თითქო უარვყოფთ სილამაზეს, ან არ გვინდოდეს კარგი სტილი. არაფერი ამის მსგავსი. მაგრამ სილამაზე და კარგი სტილი უნდა შეერთებულ იქნას იმ მოთხოვნილებებთან, რომელთაც ჩვენ ვუყენებთ თანამედროვე ხუროთმოძღვრებას.

რა თქმა უნდა, ზევით ნათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობს კიდევ მეორე დასკვნაც. ეს ის, რომ ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს იმ არევდარევას, გაურკვევლობას და უთაობას, რასაც ადგილი აქვს ჩვენში საცხოვრებელ სახლების აშენების დარგში. რა თქმა უნდა, რომ თავის დროზე **საჭირო კონტროლი ყოფილიყო ამ საქმეში ქალაქის საბჭოს და პროფორგანოების მხრით,** ყველა ის ნაკლი და შეცდომები, რაც ზევით იყო აღნიშნული, თავიდან აცილებული იქნებოდა. ამიერიდან მაინც ასეთ უყურადღებობას და დაუდევრობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

ფ. მახარაძე.

---

*) პროფ. გრინევსკის სიტყვებს ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

პასუხი უნდა მოვთხოვოთ

მშრომელი გლეხობა გაცხოველებულ აღმშენებლობით მუშაობაშია ჩაბმული. სასოფლო მეურნეობის აყვავება-გამაგრების საქმეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიქცეული აქვს განსაკუთრებული ყურადღება. კულტურული მეურნეობების მოსაწყობად გლეხებს ეძლევათ საკრედიტო ამხანაგობებიდან საჭირო სესხი. სოფლად მრავლდება გაუმჯობესებული სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასადიდებლად და გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხობის შეკავშირებას კოლექტიურ მეურნეობებში, არტელებში, სას.-სამეურ. კოოპერაციაში და სხვ. ამ მიმართულებითაც დღეს გადამჭრელი ზომებია მიღებული. სოფლის მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნა, რაც შეიძლება უფრო მეტი მშრომელი გლეხობის ჩაბმა კოლექტივებში, აი დღევანდელი დღის უმთავრესი ამოცანა სოფლად.

ამ საკითხს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება მე-15 პარტყრილობამ და შემდეგ ცეკას გაფართოებულმა პლენუმმა. ყრილობისა და პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუციებში ხაზგასმით არის აღნიშნული კოლმეურნეობების გაფართოების აუცილებლობა, მაგრამ იმავე რეზოლიუციებში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ კოლექტივები უნდა შეიქმნეს სრული ნებაყოფლობით პრინციპზე. არავითარ ზეგავლენას გლეხობის მიმართ ამ საქმეში არ უნდა ქონდეს ადგილი.

მიუხედავად ამისა, კულაკები და საბჭოთა წყობილების სხვა მტრები სოფლად მაინც ავრცელებენ ხმაებს მშრომელ გლეხობაში, რომ ვინც კოლექტივის წევრი არ გახდება, მას მიწები ჩამოერთმევა და ინდივიდუალური მეურნეობის წარმოების საშუალება მოესპობა.

ვრცელდება აგრეთვე სხვა ათასგვარი ჭორებიც, რომლის მიზანია გლეხობას გული აუცრუონ შრომაზე და მით საბჭოთა ხელისუფლებას ეკონომიური მდგომარეობა გაურთულონ. საბოლოო ანგარიშით კი ამ პროვოკაციაში ჩამარხულია ჩვენი მტრების პოლიტიკური მიზნებიც.

ამ მხრივ სხვათა შორის დამახასიათებელია ქვემოდ მოთავსებული ამხ. ბლაზნელის კორესპონდენცია კახეთიდან. მკითხველი ამ კორესპონდენციიდან გაიგებს, თუ როგორის ენერგიით მოქმედებენ ჭორიკანები და როგორ სჯერა ზოგიერთ გლეხს ეს უსაფუძვლო ჭორიკანობა.

საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ ჭორების გავრცელებაში კახეთი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ასეთ ხმებს ავრცელებენ ჩვენი მტრები საქართველოს სხვა კუთხეებშიაც.

საჭიროა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა და აგრეთვე მშრომელმა ინტელიგენციამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ სოფლის ჭორიკანებს და ამასთან ერთად ვრცლად განუმარტონ მშრომელ გლეხობას მმართველი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხაზი სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ს. ტ.

კულაკები პროვოკაციას ავრცელებენ
(წერილი კახეთიდან)

ბოროტი და უსაქმო ხალხი ალბათ ქვეყნად მალე არ გამოილევა. ვის არ ახსოვს ის „ახალ-ახალი სენსაციები", რომლებიც თონის პურივით ცხვებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში.

ვინ ჩამოთვლის რამდენი სისულელე დადიოდა „პანფუტის ფოსტის" საშუალებით. საჭორაო „ქარხნები" ამ ხანად ქალაქში გახლდათ. თბილისი ამ მხრივ ასაზრდოებდა მთელ საქართველოს. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია მაშინდელი ჭორების აქ ჩამოთვლა.

შეიძლება ზოგ გულუბრყვილოს სჯეროდა კიდეც ეს ჭორები, მაგრამ მშრომელი ხალხი მალე დარწმუნდა ამ „სარწმუნო წყაროებიდან" მიღებულ ცნობების სიყალბეში.

მობეზრდა ხალხს ყველაფერი ეს და ბოლოს ყურს არავინ უგდებდა უსაქმო ხალხის ფანტაზიებს.

გვეგონა ამით გათავდა საქმე, მაგრამ სრულებითაც არა. ამ ხალხს ისევ გამოუღვიძნია ხანგრძლივი „ზამთრის" ძილიდან, მხოლოდ „სათარეშო ასპარეზი"—შეცვლილია „პირი სოფლისაკენაა" ქმნილი და იქ ვრცელდება უსაფუძვლო და უნიადაგო ჭორები.

ამ დღეებში ამ სტრიქონების დამწერთან მოვიდა ერთი მოხუცებული გლეხის ქალი და გულდაწყვეტილი შეეკითხა:

— დედაშვილობას, მითხარი: მთავრობამ ავეჯეულობა უნდა ჩამოართვას ხალხსო, ჩემი ქალიშვილი აბრეშუმის ქარხანაში მუშაობს, ორიოდე რუსული სკამი გვეყიდნა. მაგრამ...

დადგენილება სისრულეში მოიყვანეთ
ხვარბეთის თემი, გურია

ხსენებული თემის აღმასკომის თავ-რე ამხ. გობრონიძე და მდივანი ქინქლაძე ვერ არიან თავიანთი მოვალეობის შემსრულებელნი. უკვე თვე გადის მას შემდეგ, რაც ოზურგეთის უენის სახალხო სასამართლოსაგან მიიღეს აღმასრულებელი ფურცელი, სადაც ნათქვამი იყო „ესოფი კუპრაძე. (იმავე თემის მცხოვრები) ვალდებულია აძლიოს თვეში ათი მანეთი თავის განქორწინებულ ცოლს თავიანთ წვრილ ბავშვების შესანახად", მაგრამ ეს ფურცელი უმოქმედოთ ძევს და მასზედ ალბათ მდივანს წააწერია: „გადატანილია საკასაციოში".

სასამართლოში აცხადებენ, რომ ვალდებული არიან ჩვენს მიერ გადაგზავნილი ცნობა სისრულეში მოიყვანონ.

თემაღმასკომს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცია განქორწინების საქმისათვის, შეიძლება მამაკაცი ყოფილიყო ღირსი ოჯახის მიტოვების და არა დედაკაცი, დღეს უმიზეზოთ თავის საკუთარ ოჯახიდან განდევნილი, სოფლის საბრალო, უსწავლელი ქალი, რომელსაც 25 წელი პატიოსნათ შეუსრულებია თავის ქმრის ოჯახში და თითქმის მთელი შრომის ენერგიის 80 პროცენტი იქ დაუტოვებია. ამჟამად ის იმყოფება 80 წლის მოხუც მამის ოჯახში თავისი წვრილი ბავშვებით, რადგან ბავშვებმაც ვერ გაძლო მამის ხელში მის მხეცურ მოპყრობის გამო და დედას აედევნენ.

დღეს მოხუცი მამა (ქალის) უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება. საჭიროა სათანადო ზომების მიღება, რომ სასამართლოს დადგენილება სისრულეში იქნას მოყვანილი.

მილო.

კავშირის წევრებს არ შეეფერით
(წერილი საგარეჯოდან)

საგარეჯოს ცხრაწლედის მასწავლებელი ანო გარსიაშვილი, რომლის შესახებაც გაზეთში წერილი იყო მოთავსებული მის მიერ სწავლის დროს სკოლაში ძილის შესახებ, ძალზე აალელვა ამ გარემოებამ და გლეხკორის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრა საქმე. განრისხებული ანო ხშირად დადის სასამართლოში და მოსამართლეს ემუდარება, რომ მისი საქმე მალე განიხილონ. ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად გასჭრის ანოს მუქარა გლეხკორის წინააღმდეგ, მაგრამ დახეთ უბედურებას, მან ეხლა გლეხკორი ეზოს დაკეტილ კარებშიც შეპარვია და აი რას გადმოგვცემს.

საგარეჯოს ცხრაწლედის მასწავლებელს ანო გარსიაშვილს ჯამაგირთან ერთად პენსიაც აქვთ. ანო ყოფილი ფოფოდიაა თურმე და აკი ამიტომაც კვლავ მოუნდომებია განცხრომით ცხოვრება. მას კარგი სიძე უშოვნია. მუყაითი, გამრჯე, რომელიც თვეში ას მანეთზე ზევით იღებს. თუმცა იმასაც კი სჯავრებია გლეხკორები. ანოს ოჯახი 4—5 სულისაგან შესდგება, მაგრამ როგორც ზევით მოგახსენეთ ანო განცხრომას ნაჩვევი ყოფილა და აკი ამიტომაც ერთის მაგიერ ოჯახში ორი მოჯამაგირე დაუჭერიათ. ჩვენთვის ძალიან საკვირველია ეს ამბავი, რადგანაც პროფკავშირის წევრებს მოჯამაგირეებით ცხოვრება დაუშვებია და ვეკითხებით სათანადო ორგანოებს: შეეფერით თუ არა პროფკავშირის წევრებს მოჯამაგირეების დაქირავება?

უცნობი.

წერილებიდან

ს. ნახულევი, (ქუთ. მაზრა). აქ აგებენ ორ ოთახიან ქვის შენობას სამკითხველოსათვის, რომლის აგება ჯდება 1.500 მან. აქვე უნდა აიგოს თვითდაბეგვრის საშუალებით 7 წლედის შენობა. საჭირო მასალა უკვე დამზადებულია და მუშაობას შეუდგებიან პირველ სექტემბრიდან.

ი. ფ.

ს. ხაშმი (გარე-კახეთი). ს. ხაშმის გლეხკომი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს მან შეიძინა სამეურნეო მანქანები, როგორიცაა სათიბი და სამკალი. ამ მანქანებით პირველ რიგში სარგებლობს უღარიბესი გლეხობა, რომელიც კმაყოფილია გლეხკომის მუშაობით.

ც—ძა.

ს. ქუმისი (თბ. მაზრა). ამ სოფელში არსებული სამანქანო ამხანაგობა ხელში ჩაიგდეს კულაკებმა ვინმე მაისურაძის მეთაურობით ამხანაგობას აქვს ერთი მანქანა, რომელიც კომისის ნიადაგისათვის გამოუსადეგარია, მაგრამ კულაკები მას მაინც ამუშავებენ და ამით სურთ კოლექტივიზმის ავტორიტეტი დასცენ მშრომელ მასების თვალში. საჭიროა სასწრაფო ყურადღება:

—ძა.

ს. გურჯაანი. (კახეთის მაზრა). ამ სოფელში არის სულით ავადმყოფი. დედაკაცი, რომელიც იკლებს აქაურობას. საჭიროა მისი მოთავსება სულით ავადმყოფთა სახლში, რასაც ჯანმრთელობის განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

ნომის.

მუშათა ცხოვრება

ხაშურის მუშათა გაფიცვის 25 წლის თავზე

ხაშურის მუშათა გაფიცვის 25 წლის თავის აღსანიშნავად, 28 ივლისს, ხაშურის მუშათა კლუბში შესდგა ხაშურის მუშების საზეიმო სხდომა.

საღამოს 6 საათზე კლუბის დარბაზი უკვე სავსეა მოზღვავებულ ხალხით. ყველა სიხარულით მოელის მოგონების საზეიმო სხდომის გახსნას. ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კალმახელიძე ხსნის სხდომას და მოკლე შესავალი სიტყვით აცნობს დამსწრეთ ხაშურის მუშების პირველ გაფიცვის ამბებს და თავდადებულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ხაშურის მუშების 1903 წლის გაფიცვა, ეს იყო პირველი ნაბიჯი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისა, ამ გაფიცვას მოჰყვა მუშების მსხვერპლი; ბრძოლის ველზე უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა 14 ამხანაგი და დაიჭრა 45. დანარჩენები კი ციხეებში გადაასახლეს, მაგრამ ასეთმა მკაცრმა ზომებმა ვერ შეაშინა მუშათა კლასი. მან უფრო გააცხოველა ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ და მიაღწია კიდეც თავის პირველ მიზანს; თებერვალში დაემხო თვითმპყრობელობა, რის შემდეგ ხელისუფლებას დაეპატრონა ბურჟუაზია. ოქტომბერმა კი საბოლოოდ გაანადგურა ბურჟუაზიული წყობილება და ხელისუფლება გადასცა პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას. ხაშურის მუშათა კლასი, ყოველთვის მოწინავე ბრძოლის რიგებში იქნებიან და დაიცავენ თავიანთ მონაპოვარს და საბოლოოდ დააგვირგვინებენ იმ საქმეს, რომლისთვისაც გაიღეს მათ პირველი მსხვერპლი 14 ამხანაგის სახით. ამხ. კალმახელიძის სიტყვის შემდეგ მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს და სამგლოვიარო ჰიმნს.

შემდეგ 1903 წლის მუშათა გაფიცვის შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ხაშურის მუშების გაფიცვის ორგანიზატორი ამხ. გიორგი ელისაბედაშვილი, რომელიც დაწვრილებით შეეხო ხაშურის მუშების მდგომარეობას 1903 წელს და გააცნო დამსწრეთ გაფიცვის მოსაწყობად წარმოებული მუშაობა.

მოსაგონებელ სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე გაფიცვის მონაწილენი: ამხ. ბაბლიძე, ქერეჯიშვილი და კაპანაძე. 14 ამხანაგის ხსოვნას, ლექსი უძღვნა პროლეტარულმა პოეტმა სანდრო ეულმა და მუშა მწერალმა დათიკო ახალკაცმა. ბორჯომის ორგანიზაციის და მუშების სახელით საზეიმო სხდომას მიესალმა ამხ. ხაჩიძე. სხდომამ დაადგინა ხაშურის ახალ კლუბს დაერქვას 14 ამხანაგის სახელობის კლუბი, ხოლო დაღუპულ ამხანაგების უღარიბეს ოჯახებს დაენიშნოთ პენსია თვეში 15 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა 14-ის სახელობაზე გაიგზავნოს ერთი სტიპენდიანტი საქართველოს სახ. უნივერსიტეტში.

საზეიმო სხდომის ბოლოს წაკითხული იქნა გაფიცვის მონაწილეთა მისასალმებელი დეპეშები.

ირა.

ასეთი მომჭირნეობით წარმოება ზარალობს

თბ. აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების აგურის ქარხნებში, გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ახალ მშენებლობისათვის საჭირო აგურის დასამზადებლად. ქარხნებში მზადდება ზამთრის მარაგი ალიზი, რომელიც აგურის მოჭრის სეზონის დამთავრების შემდეგ იწვის ქურაში. ეს კარგია. თუ ქურა არ ჩაქრა მომჭირნეობასაც ექნება ადგილი; არ დაიხარჯება ზედმეტი შეშა და არც შტატის შემცირება იქნება საჭირო. მაგრამ თუ ქარხნებში არ იქნება აშენებული ფარდულები ალიზის შესანახად, ალიზის დასამზადებლად გაწეული მუშაობა უნაყოფო იქნება.

ქარხნებში მუშაობა ჯერ-ჯერობით ისევ ძველი წესით სწარმოებს. განზრახულია ქარხნების მექანიზაცია, რისთვისაც საკმაო თანხა უკვე გადადებული აქვს ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას, მაგრამ სანამ მექანიზაცია განხორციელდება, საჭიროა ფარდულების აშენება. ფარდულების უქონლობის გამო რამოდენიმე ათასი აგური ფუჭდება წვიმის დროს, რაც საგრძნობ ზარალს აყენებს ქარხნებს; უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი ალიზი გაფუჭდა ფარდულის უქონლობის გამო. დაზიანებულ ალიზის ღირებულება, შვიდივე ქარხანაში საკმაო რაოდენობის ფარდულებს ააშენებდა. ეს საკითხი საწარმოო თათბირის თითქმის ყოველ სხდომაზე ირჩევა; მუშებმა არა ერთხელ მიუთითეს ადმინისტრაციას, რომ საჭიროა ფარდულების აგება, მაგრამ ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს არც მუშების მითითებას და არც საწარმოო თათბირის დადგენილებებს.

საჭიროა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ხელმძღვანელებმა ანგარიში გაუწიონ მუშებისა და საწარმოო თათბირების მოთხოვნილებებს და მიიღონ ზომები წარმოებისათვის სასარგებლო საქმის დროზე შესასრულებლად.

უოდაბაძე.

მოაწყოთ დედათა და ბავშვთა კუთხეები

საკლუბო მუშაობის გამოცოცხლება და საერთოდ კულტურული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება, დიდათ არის დამოკიდებული მუშათა ფართო მასების ჩაბმაზე საკლუბო მუშაობაში. ამ დღეებში დამთავრებულმა დისპუტმა კლუბების საქმიანობის შესახებ, ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენი მუშათა კლუბები, გარდა იმისა, რომ ვერ აწარმოებენ წესიერ და ნაყოფიერ მუშაობას, კლუბის წევრებსაც ძალიან ნაკლებათ აბამენ სხვადასხვა საქმეში. კლუბის წევრთა ფართო მონაწილეობის გარეშე საკლუბო მუშაობაში კი შეუძლებელია კულტურული საქმიანობის გაცხოველება.

ჩვენ მუშათა კლუბებს ძალიან ნაკლებად ეტანებიან ძველი მუშები. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მუშათა კლუბებში წარმოებული მუშაობა ვერ აკმაყოფილებს მუშას. არ კმარა მარტო კონცერტებისა და სხვა ასეთი საღამოების გამართვა. რასაც სხვათა შორის მუშები ნაკლებად ესწრებიან, საჭიროა მუშაობის ისეთ დონეზე დაყენება, როდესაც მუშას შეეძლება აქტიურად ჩაებას საკლუბო მუშაობაში და ასწიოს თავისი კულტურული დონე. თვითმოქმედებისა და კითხვა-პასუხის საღამოები, ერთი მთავარი საშუალებათაგანია მუშების ჩასაბმელად საკლუბო მუშაობაში ასეთი საღამოები წინად ძალიან ხშირად იმართებოდა, მაგრამ ცუდი ხელმძღვანელობის გამო უკანასკნელ ხანებში სავსებით მიანებეს თავი ასეთი სახის საღამოების გამართვას.

ასეთივე ბედი ეწვია საკლუბო მუშაობის სხვა დარგებსაც. ამ მხრივ სანიმუშო მუშაობას აწარმოებენ პლეხანოვისა და წყალსადენის მუშათა კლუბები და ავტოკლუბი, სადაც კლუბის გამგეობები დიდ ყურადღებას აქცევენ კლუბის წევრთა თვითმოქმედებას. დანარჩენი კლუბების მუშაობა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი.

მეორე მთავარი ნაკლი საკლუბო მუშაობაში ის არის, რომ არც ერთი მუშ. კლუბში არ არის მოწყობილი დედათა და ბავშვთა დაცვის კუთხეები, სადაც საშუალება მიეცემა მუშა ქალს, ან დიასახლისს, მიაბაროს თავისი ბავშვი რამოდენიმე საათით და დაისვენოს. ამაში ნაწილობრივ ქალთა განყოფილებასაც მიუძღვის ბრალი, რადგან იგი ქალთა შორის მუშაობას მუშათა კლუბებში არ აქცევს სათანადო ყურადღებას. ეს აღნიშნული იყო სხვათა შორის დისპუტზეც, სადაც ჯამი გაუკეთდა მუშათა კლუბების მუშაობას და ამ მუშაობაში შემჩნეულ ნაკლს. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. მუშათა კლუბებმა უნდა შესძლონ ძველი მუშების თავის მოყრა და მათი საკლუბო მუშაობაში ჩაბმა. ამ მიზნით დროგამოშვებით მუშათა კრებებზე უნდა ისმებოდეს საკითხი კლუბის მუშაობის შესახებ. ასეთი საშუალებით შევძლებთ საკლუბო მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას.

კლუბის წევრი.

მუშკორთა წერილებიდან

ზედმეტს მუშაობს. ტრამვაის პარკში მუშაობს ამროსი გელიევი, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობს. განუწყვეტელი მუშაობის გამო, ამ ორი წლის წინად გელიევი ხელით წაიღეს საავადმყოფოში. ასეთივე ბედი მოელის მას, თუ კვლავ განაგრძობს ასეთ მუშაობას.

აქაური.

მილიციას სახელს უტეხავს. მესამე რაიონის საუწყებო მილიციაში მსახურობს შაქრო ბრეკაშვილი, რომელსაც თავისი ბინა (ხარფუხის შესახ. № 19), სარისკიპო სახლად აქვს გადაქცეული. ამ ვაჟბატონს თავისი მფარველობის ქვეშ აყვანილი ჰყავს ორი მეძავი ქალი, რომლებსაც ყოველ საღამოს გზავნის ყოფილ ვორონცოვის მოედანზე სავაჭროთ ასეთი მილიციელი გაძევებული უნდა იქნეს მილიციის რიგებიდან.

გოგიჩაურელი.

თავი მოგვაბეზრა. აუზის ქ. № 7 სახლის ყოფილმა პატრონმა, მოქ. ს. აბულაძემ თავი მოაბეზრა მდგმურებს; მას შემდეგ, რაც მას სახლი ჩამოართვეს, თითქმის ყოველ დღე ითრობა და იკლებს მთელ ეზოს. მილიციავ, მოგვაშორეთ მაბეზარი აბულაძე.

კომპოდი.

კერძო საქმეზე ამუშავებს. 7 ივლისს მუშკოოპის ერთ-ერთი სექციის გამგემ მოქ. ბეზენელოვმა, ღამის ორ საათზე, თავისი საოჯახო ნივთებით დატვირთა მუშკოოპის ნახშირის ფურგონი და გაგზავნა კოჯორში. მოქ. ბეზენელოვი პირველად არ იქცევა ასე. ის ძალიან ხშირად იყენებს თავის კერძო საქმეზე, როგორც მუშკოოპის კუთვნილ ფურგონებს, ისე ნავთის გამყიდველ მუშებსაც. გამგეობავ, მიაქციე ყურადღება.

ა. ბობოთური.

ჩვენ მუშკორებს

ფარვანას,—შემოიარეთ რედაქციაში დღესვე.

თათბირი მუშათა დაწინაურების შესახებ

გუშინ საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა კავშირების პასუხისმგებელ მომუშავეთა თათბირი, რომელმაც განიხილა მუშების დაწინაურების საკითხი.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ დაწინაურების საქმის ხელმძღვანელობა ფაქტიურად გადაეცეს პროფკავშირებს. რომლებიც ამ საკითხს შეუთანხმებენ სათანადო ორგანიზაციებს. აქამდი ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კავშირმა არ იცოდა სად ვის აწინაურებდნენ.

თათბირმა აუცილებლად სცნო, რომ კავშირებმა აღრიცხონ ის თანამდებობანი, რომლებზედაც შეიძლება მუშების დაწინაურება. ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ უპარტიოთა დაწინაურებას, რომლებიც აქტივობას იჩენენ. დაწინაურება უნდა ხდებოდეს პროფკავშირთა წევრების მასის მონაწილეობით (დასაწინაურებელი მუშები წამოყენებული უნდა იქნენ სადელეგატო კრებებზე, კონფერენციებზე, საწარმოო თათბირებზე და სხვა).

დღემდი კავშირები თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებდნენ დაწინაურებულთა აღსარიცხავად. თათბირმა დაადგინა ყურადღება მიექცეს დაწინაურებულთა აღრიცხვას, რადგან აქამდი გამოურკვეველია სად რამდენი მუშაა დაწინაურებული.

დასასრულ თათბირმა განიხილა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის საკითხი. მიღებული იქნა დადგენილება, რომელიც ავალებს კავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაიწყონ კამპანია სესხის პოპულიარიზაციისათვის. ამ მიზნით მოწვეული უნდა იქნეს ცენტრალურ გამგეობების გაფართოვებული სხდომები ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელზედაც მომხსენებლები გამოწვეული უნდა იქნენ ფინსახკომიდან. ამავე მიზნით საჭიროა პროფაქტივის და წარმოება - დაწესებულებათა მუშამოსამსახურეების კრებების მოწვევა.

საგლეხო სესხის რეალიზაციის შედეგები

ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 1 სექტემბერს საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატი ამთავრებს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციას. ამ სესხის ობლიგაციები ისევე იქნებიან დაშვებული ბრუნვაში, როგორც სხვა დანარჩენი სესხების ობლიგაციები. ამავე დროიდან სახელმწიფო ბანკი (სახელმწიფო ბანკის ყველა ფილიალები) და შემნახველი სალაროები დაიწყებენ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გირაოთ მიღებას და ამ ობლიგაციების გირაოს ქვეშ გასცემენ ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 50 პროცენტს. წინასწარი ცნობების თანახმად, მთელს საბჭოთა კავშირში გასაღებულია 135.000.000 მან. ობლიგაციები.

ამიერ-კავკასიაში წინასწარი ცნობების თანახმად გასაღებულია 2.900.000 მან. ობლიგაციები.

თანახმად წინასწარი გეგმისა ამიერკავკასიაში უნდა გასაღებულიყო 2.550.000 მან. ობლიგაციები. ამრიგად, წინასწარი გეგმა ფაქტიურათ გადამეტებულია 13 პროცენტით.

საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აგრიკულტურულმა განყოფილებამ დაგზავნა მაზრებში შემოდგომაზე დასათესად ბალახების შემდეგი ჯიშები: იონჯის თესლი—2 ტონა, ესპარცეტი—1 ტონა, რაიგრასის თესლი—1 ტონა, სამყურასი — 1 ტონა; სულ 8,5 ტონა თესლი.

ბალახეულობის თესლები დაგზავნილია დასათესად ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გორის, ყოფ. დუშეთის, კახეთის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის; სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში. ბალახების დასათესად გამოყოფილი იქნება სპეციალური მიწის ნაკვეთები, სადაც მოეწყობა ჯიშიანი ბალახების მოსაყვანი საჩვენებელი მიწის ნაკვეთები.

ბალახების თესვას უხელმძღვანელებენ საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩამტარებელი ადგილობრივი სამაზრო კომისიები.

ხორბლეულის დამზადება

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინასწარი ცნობების თანახმად, ივლისის განმავლობაში ამიერ - კავკასიაში ხორბლეული დამზადებულია მეტი რაოდენობით, ვიდრე გათვალისწინებული იყო საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის გეგმით.

ამიერ - კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ფასებში აზერბეიჯანში ივლისის განმავლობაში დამზადებულია 196.000 ფუთი, ხოლო საქართველოში 15.000 ფუთი ხორბალი.

სახელმწიფო ბანკმა ხორბლის დამამზადებელ ორგანიზაციებს გაუხსნა კრედიტი. ამ გარემოებასთან დაკავშირებით აგვისტოში მოსალოდნელია დამზადების გაუმჯობესება.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, გლეხობას თანდათან მეტი ხორბლეული გამოაქვს ბაზარზე.

ხორბლეულის შემოზიდვა

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატს განზრახული აქვს აგვისტოს განმავლობაში შემოზიდოს ამიერ - კავკასიაში 2.500.00 ფუთი ხორბალი. ივლისის განმავლობაში კი შემოზიდული იქნა არა უმეტეს 300.000 ფუთისა.

შემოზიდვის საქმის ასეთი გაუმჯობესება აიხსნება დამზადების გაუმჯობესებით, რაც ახალი მოსავლის აკრეფის შედეგია.

აგვისტოში შემოსაზიდათ განზრახული რაოდენობა უზრუნველყოფს ამიერ - კავკასიას რამოდენიმე თვით.

ამ ხორბლეულის ნაწილი გადაიგზავნება დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ადგილი აქვს მოუსავლიანობას.

პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავისათვის *)

ბრძოლა მე-2-ე ყრილობაზე

„ისკრა" და საორგანიზაციო კომიტეტი

„ისკრა"-ს რედაქციის შიგნით უკვე ჩასახული იყო ორი ტაქტიკურ-ორგანიზაციული და იდეური ხაზი რევოლუციონურ-მარქსისტული და ოპორტუნისტულ-რეფორმისტული. პირველ ხანებში უთანხმოებანი რედაქციის ფარგლებს არ სცილდებოდა და „ისკრაც" ატარებდა რევოლიუციონურ მარქსიზმის პრინციპებს. „ისკრა"-ს უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან იდეურად და ორგანიზაციულად მოამზადა მე-2 ყრილობა და რევოლიუციონური მარქსიზმის პრინციპების დაცვით ძლევამოსილი ბრძოლა აწარმოვა ეკონომისტებისა და რეფორმიზმის წინააღმდეგ რ. სოც.-დემოკრატიულ მოძრაობაში.

ამასთანავე, „ისკრა"-მ დიდი მუშაობა აწარმოვა ერთი მთლიანი ცენტრალიზაციაქმნილი პარტიის შესაქმნელად. საორგანიზაციო საკითხებში, „ისკრა" ისახავდა მთავარ ამოცანად შექმნა პროფესიონალურ რევოლიუციონერებისაგან შემდგარი არალეგალური მებრძოლი პარტიული ორგანიზაციები.

ლენინი აუცილებლად თვლიდა პოლიტიკურ გაზეთის დაარსებას, რომელიც მოამზადებდა მუშათა ახალ კადრებს რევოლიუციონური ბრძოლისათვის. „გაზეთი,—ამბობდა ლენინი,—არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც".

ყრილობის მომზადება იკისრა ახალმა საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელიც 1903 წლის დასაწყისში დაარსდა „ისკრა"-ს მომხრეებისაგან და მისი ხელმძღვანელობით „ისკრა" ამ ხანებში უკვე გადაიქცა პარტიის იდეოლოგიურ ცენტრად. მის მიერ შემუშავებული პროგრამა, რომლის პრინციპიალური ნაწილი შეიცავდა კაპიტალიზმის განვითარებისა და მის აუცილებელი დაღუპვის კანონების მარქსისტულ ანალიზს, ახალ პერსპექტივებს სახავდა მუშათა მოძრაობის წინაშე

საორგანიზაციო კომიტეტმა შესძლო ყრილობაზე მოეწვია რუსეთში და საზღვარგარეთ არსებულ ყველა მსხვილი ორგანიზაციების წარმომადგენლები. 1903 წ. დასაწყისს თბილისში მოწვეულ იქნა კავკასიის ს.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობამ დაარსა კავკასიის კავშირის კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პარტიისა და შეიმუშავა პროგრამა. კავკასიის კომიტეტმა გააერთიანა არალეგალური ქართული გაზეთი „ბრძოლა" და სომხური „პროლეტარი" და იწყო გამოცემა ერთი ორგანოსი „პროლეტარიატის ბრძოლა". როგორც კავშირის კომიტეტი, ისე გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა" „ისკრა"-ს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. კავშირის კომიტეტმა ყრილობაზე სამი დელეგატი გაგზავნა.

ყრილობის შემადგენლობა

ყრილობის შემადგენლობა დაახლოებით ასეთი აღმოჩნდა: დიდ უმრავლესობას „ისკრა"-ს მომხრეები წარმოადგენდენ. იმ შემთხვევაში, თუ ერთსულოვნად გამოვიდოდენ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, „ისკრელებს" ჰქონდათ 32 ხმა 49 ხმიდან (65 პროც.), მაგრამ მერყევ ისკრელთა (აქსელროდის, მარტოვის და სხვების) მეოხებით იქმნებოდა ოპორტუნისტული უმრავლესობა. ამას ემატებოდა 9 ხმა (18 პროც.) ეგრედწოდებულ „ჭაობისა" და 8 ხმა (16 პროც.) აშკარა ოპორტუნისტ ბუნდელებისა და ეკონომისტების.

მტკიცე ისკრელების ხმები უდრიდა—24 (47 პროც.), მერყევ ისკრელების—9 (18 პროც.), „ჭაობის"—10-ს (20 პროც.), ანტისკრელებისა—8 (16 პროც.), ბუნდელებისა და ეკონომისტების ყრილობიდან წასვლით შეიქმნა ისკრელთა უმრავლესობა, რის შემდეგ საკითხები უმრავლესობის თვალსაზრისით წყდებოდა.

პარტიის პროგრამა

1903 წ. 30 ივლისს ქ. ბრიუსელში გაიხსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-2-რე ყრილობა; რამოდენიმე სხდომის შემდეგ იგი გადატანილ იქნა ლონდონში და დამთავრდა 23 აგვისტოს. ყრილობის დღის წესრიგში მთავარ საკითხად პროგრამის საკითხი იყო დასმული, და დიდი ბრძოლის შემდეგ ეკონომისტებისა და მერყევ ელემენტების წინააღმდეგ, ყრილობამ მიიღო რ. ს. დ. მ. პ. პროგრამა (იხ. რ. ს. დ. მ. პ. პროგრამა).

არსებობდა პროგრამის ორი პროექტი: ლენინის და პლეხანოვის. ლენინი თავის პროექტში განსაკუთრებით ხაზს უსვამდა პროლეტარიატის ისტორიულ როლს და აყენებდა პროლეტარიატის ჰეგემონობის იდეას.

პროლეტარიატის მოკავშირე უნდა ყოფილიყო მშრომელი გლეხობა, რომელიც განიცდიდა კაპიტალისტური სისტემის მძიმე ექსპლოატაციას. პლეხანოვის პროექტი კი არბილებდა რევოლიუციონური მარქსიზმის დებულებებს ამ საკითხში და მას აკადემიზმის ხასიათი ჰქონდა. პლეხანოვი იწყებდა პროექტს კაპიტალიზმის საერთო დახასიათებით, ლენინი კი მოითხოვდა, რომ პროგრამა „რუსეთის კაპიტალიზმის დახასიათებით (და კრიტიკით) დაწყებულიყო". საფუძვლად პლეხანოვის პროექტი იქნა მიღებული.

აგრარული საკითხი

ცხარე კამათი გამოიწვია პროგრამის აგრარულმა ნაწილმა. ერთმა განაცხადა: „გლეხური რევოლიუცია, რევოლიუცია კი არ არის, არამედ რეაქციაა, რომელიც ჩვენ ერთი ოცი წლით უკან დაგვხევსო". ეს იყო უარის თქმა პროლეტარიატის ჰეგემონიაზე. გლეხური რევოლიუციის მნიშვნელობის შეუფასებლობა ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილის მიერ შემდეგში საფუძვლად დაედო მენშევიკურ მიმართულებას. მეორე ყრილობა, სხვათა შორის, აღსანიშნავია იმით, რომ ამ ყრილობაზე თანდათანობით გამოირკვა მომავალი ოპორტუნიზმის სახე რ. სოც.-დემოკრატიულ მოძრაობაში.

პარტიის პროგრამის შესახებ ლენინი ამბობდა: „ორივე განყოფილებაში ჩვენ ვარკვევთ არა ჩვენს საბოლოო მიზანს, არამედ უახლოვეს მოთხოვნებს, ამიტომ ორივე შემთხვევაში ჩვენ უნდა დავრჩეთ თანამედროვე (ბურჟუაზიული) საზოგადოების საფუძველზე. ამაში მდგომარეობს ორივე განყოფილების მსგავსება, მაგრამ მათი ძირითადი განსხვავებაც იმაში მდგომარეობს, რომ მუშური განყოფილება შეიცავს ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, გლეხური კი ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ არის მიმართული. მუშურ განყოფილებაში ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მოცემული ბურჟუაზიული წყობილების ნაწილობრივი გაუმჯობესებით.

გლეხურში კი ჩვენ უნდა მივესწრაფოდეთ, რომ სავსებით გავსწმინდოთ ეს წყობილება ყოველგვარ ბატონყმურ ნაშთებისაგან, ე. ი. მუშურ განყოფილებაში ჩვენ უეჭველად დავკმაყოფილდებით პროგრამა მინიმუმის ფარგლებით, გლეხურში კი ჩვენ შეგვიძლია, და კიდევაც უნდა შევსძლოთ პროგრამა-მაქსიმუმის მოცემა". მე-2-რე ყრილობაზე ლენინმა წამოაყენა „ჩამონაჭრების" საკითხი, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ შესავალს მიწის ნაციონალიზაციისათვის. მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგი ლენინის მიერ მაშინაც წამოუყენებელი იყო, როგორც აჯანყების ლოზუნგი. მისი სავსებით განხორციელება შესაძლებელი იქმნებოდა მას შემდეგ, როცა თვითმპყრობელობა საბოლოოდ დამარცხდებოდა.

საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

აღსანიშნავია კამათი პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგის გარშემო. ლენინი თავის პროგრამაში ამბობდა, —რომ პროლეტარიატს შეუძლია მოახდინოს სოციალური რევოლიუცია მხოლოდ მაშინ, როცა ის პროლეტარულ ძალა-უფლებას ჩაიგდებს ხელში. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურა სოციალისტური რევოლიუციისათვის აუცილებელი პოლიტიკური პირობაა.

ეკონომისტები წინადადებას იძლეოდენ პროგრამიდან ამოეშალათ პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ისინი უარყოფდენ წინააღმდეგობათა გამწვავებას შრომისა და კაპიტალს შორის კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად. მარტინოვი იცავდა ძველ ეკონომიურ დებულებებს იმის შესახებ, რომ მუშათა მოძრაობა თავის თავად პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე წავა სწორი გზით. ეს კი ნიშნავდა სტიქიური მოძრაობის კუდში მოქცევას. ლენინის აზრით კი, სოც. დემოკრატიის მთავარი ამოცანა სტიქიურობის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში მდგომარეობდა. ამით შესაძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების აწევა და მოძრაობის სტიქიურობის დაძლევა.

პროლეტარულ მოთხოვნების შესახებ

როცა პროგრამის განხილვის დროს გაიმართა კამათი, პარტიის პოლიტიკური მოთხოვნების შესახებ, ლენინის მომხრეები, პლეხანოვი და სხვები, ოპორტუნისტების წინააღმდეგ ამბობდენ, რომ პოლიტიკურ მოთხოვნებს ჩვენ უნდა მიუდგეთ ჩვენი საბოლოო მიზნის, სოციალისტური რევოლიუციის თვალსაზრისით. პლეხანოვი ამბობდა: „ყოველი საკითხი განხილული უნდა იქნეს იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც გვეუბნება, რომ რევოლიუციის გამარჯვება არის უმაღლესი კანონი ჩვენთვის. და თუ რევოლიუციის გამარჯვებისათვის საჭირო გახდება ამა თუ იმ დემოკრატიული პრინციპის დროებით შეზღუდვა, ასეთ შეზღუდვის წინააღმდეგ გალაშქრება დანაშაულობა იქნებოდა.

როგორც პირადი შეხედულებით მე იმასაც კი ვიტყვი, რომ საყოველთაო არჩევის უფლების პრინციპსაც ამ დემოკრატიის მთავარი პრინციპის თვალსაზრისით უნდა ვუცქეროდეთ... თუ რევოლიუციონური აღტაცების დროს ხალხმა კარგი პარლამენტი აირჩია, ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ პარლამენტის ხანგრძლივობა შევინარჩუნოთ, მაგრამ თუ არჩევნების შედეგები არასასურველი აღმოჩნდა, მაშინ ჩვენ უნდა ვეცადოთ გავრეკოთ იგი არა ორი წლის შემდეგ, არამედ, თუ შესაძლებლობა იქნება, ორი კვირის შემდეგ"... (მეორე ყრილობის ოქმები), ამნაირად პლეხანოვმა წამოაყენა პრინციპი, რომელიც შემდეგში ბოლშევიკების მიერ იქნა განხორციელებული.

საოლქო თვითმართველობა და ეროვნული თვითგამორკვევა

საოლქო თვითმართველობის შესახებ ყრილობის დელეგატები ამბობდენ: ვინაიდან რუსეთი თავისი ადგილ-მდებარეობით ძალიან დიდია,—მიზანშეწონილად და საჭიროდ უნდა ვაღიაროთ საოლქო თვითმართველობა ისეთი დიდი ერთეულებისათვის, როგორიც ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა და კავკასია, ამიტომ ამ განაპირა ერთეულებისათვის, რომლებიც თავისი ყოფა-ცხოვრების პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით განირჩევიან რუსეთის რაიონებიდან, საოლქო თვითმართველობა უნდა იქნას მიღებული...

რაც შეეხება ეროვნულ თვითგამორკვევის აღიარებს, თუ კი რომელიმე ერთი მოისურვებს დამოუკიდებლობას, მის წინააღმდეგ ჩვენ ვერ წავალთ—ამბობდენ დელეგატები. ყრილობამ კიდეც მიიღო დებულება: „რუსეთში მოსახლე ყველა ერს ეძლევა თვითგამორკვევის უფლება". ენის საკითხი ცალკე თავად გაირჩა; ყრილობამ ენის თანასწორუფლებიანობა აღიარა.

ორგანიზაციული საკითხები

საორგანიზაციო საკითხების გარჩევის დროს თავშივე წამოიჭრა კითხვა, თუ როგორი ადგილი უნდა ჰქონოდა „ბუნდს" პარტიაში ჩვენ ვიცით, რომ პირველმა პარტიულმა ყრილობამ „ბუნდს" ისეთივე ავტონომია მიანიჭა, როგორც სხვა ადგილობრივ კომიტეტებს, ხოლო ბუნდმა ასეთი ავტონომიით ისარგებლა და შემდეგში ის სავსებით დამოუკიდებელ ორგანიზაციათ იქცა.

პარტიის ყრილობაზე „ბუნდის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „ბუნდი" უკავშირდება რ. სოც.-დემ. მუშათა პარტიას როგორც მთლიანი ორგანიზაცია ფედერაციის პრინციპზე. მათ მიერ ყრილობაზე შეტანილ „ბუნდის" წესდების ერთი მუხლში ასე იყო ნათქვამი: „ბუნდი არის ებრაელ პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც თავის მოქმედებაში შეუზღუდავია რაიმე რაიონულ ფარგლებით და შედის პარტიაში, როგორც მისი წარმომადგენელი; ბუნდი აწყობს თავის ყრილობებს იმ საკითხების გასარკვევათ, რომლებიც სპეციალურად ეხება ებრაელ პროლეტარიატს, და მას ჰყავს თავისი ცენტრ. კომიტეტი"... გამოდიოდა, რომ პარტიის მოწყობის პრინციპი აგებული უნდა ყოფილიყო ეროვნულ ნიშნების მიხედვით. ეს დებულება, რასაკვირველია, ყრილობისათვის მიუღებელი იყო. ეს იყო რევოლიუციონურ სოც.-დემოკრატიის საფუძვლების დამახინჯება და ამიტომაც ყრილობამ გაილაშქრა ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ. ლენინი ამბობდა: „ფედერაცია მავნებელია, ფედერაცია ეწინააღმდეგება სოც.-დემ. პრინციპებს თანამედროვე რუსულ სინამდვილეში. ფედერაცია მავნებელია, რადგან გულისხმობს განცალკევებას და განკერძოებას". (იხ. მეორე ყრილობის ოქმები).

ყრილობამ გადაჭრით უარჰყო „ბუნდელების" წინადადება და ფედერატიული კავშირი მავნებლად სცნო. რეზოლიუციაში ნათქვამია: „...რუს. სოც: დემ: მუშათა პარტიის მეორე ყრილობა გამოხატავს თავის ღრმა რწმენას იმის შესახებ, რომ რუსეთის და ებრაელ პროლეტარიატის შორის ორგანიზაციული წყობის შეცვლა ფედერატიულ პრინციპებზე უსათუოდ შექმნიდა არსებით დაბრკოლებას მათი ორგანიზაციული დაკავშირებისათვის და ზიანს მიაყენებდა საერთოდ ყველა და კერძოდ ებრაელ პროლეტარიატს, ამიტომ უარყოფილ იქნას ყოველი ფედერატიული კავშირი რუს. სოც. დემ. პარტიის და ბუნდის შორის".

ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია „ბუნდის" მიერ ყრილობის დატოვება და პარტიიდან გასვლა.

პარტიის წესდების პირველი მუხლი

უთანხმოებამ ყრილობაზე, უმეტესად პარტიის წესდების პირველი მუხლის შესახებ, მიიღო ხანგრძლივი პოლემიკის ხასიათი, რომელიც აშკარავებდა ერთის მხრივ ოპორტუნისტულს და მეორე მხრივ — რევოლიუციონურ მარქსიზმს. ლენინის და მარტოვის ფორმულები პარტიის წევრების შესახებ ერთმანეთს დაუპირდაპირდა.

ლენინი პარტიის წევრების შესახებ შემდეგ ფორმულის შეტანას მოითხოვდა წესდებაში: „პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც იღებს მის პროგრამას და ეხმარება მას როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში".

მარტოვის წინადადება იყო: „პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც იღებს პროგრამას, ეხმარება პარტიას მატერიალური საშუალებებით და რეგულიარული პირად დახმარებას უწევს მას ერთ-ერთი მისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ".

მარტოვის წინადადებით პარტიის წევრობა შეეძლო ყველას, ვინც თანაუგრძნობდა ან ეხმარებოდა პარტიას. ამნაირად, მისი წინადადების თანახმად, პარტიის კარი ღია იყო ყველა მერყევი ელემენტებისათვის.

ლენინის წინადადებით პარტიაში ითვლებოდა ის, ვინც პირადათ ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობდა. ამით ლენინი ამბობდა: „რადგან პარტია პასუხისმგებელია ყოველ წევრის შესახებ, სჯობია ათიოდე მომუშავე არ უწოდებდეს თავისთავს პარტიის წევრად. ვინც არ შედის ორგანიზაციაში, ის არც ემორჩილება კონტროლს. ჩვენი ამოცანა კი ის არის, რომ ფაქტიური კონტროლი დავაწესოთ ყოველ წევრზე და ეს კონტროლი იყოს ცენტრალური კომიტეტის ხელში. ჩვენთვის საჭიროა დავიცვათ სიმაგრე, გამძლეობა, სიწმინდე ჩვენი პარტიისა. ჩვენ უნდა მაღლა ავსწიოთ სახელწოდება და მნიშვნელობა პარტიის წევრობისა"... ასე ამბობდა ლენინი.

პლეხანოვი მხარს უჭერდა ლენინს და ამბობდა: „რომ პარტიის წევრი უნდა იყოს ის, ვისაც არ ეშინდება პარტიულ ორგანიზაციაში ყოფნისა. ჩვენ ვერ გაუწევთ კონტროლს იმ პირს, ვინც ორგანიზაციის გარეშე სდგას. ამავე დროს უნდა ვიგულისხმოთ, რომ მუშებს, რომელთაც სურთ პარტიის წევრობა, არ შეეშინდებათ ორგანიზაციაში შესვლისა და არც დისციპლინისა. ხოლო პარტიაში შესვლის შეეშინდება იმ ინტელიგენტებს რომლებიც გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმით. და ეს კარგიც არის... ვინაიდან ეს ბურჟუაზიული ინდივიდუალისტები არიან ის პირნი, რომელთაც შემოაქვთ ყოველნაირი ოპორტუნიზმი და ჩვენ უნდა გავიმიჯნოთ მათგან".

ლენინი ანსხვავებდა ერთმანეთისაგან პარტიისა და კლასის ცნებას. ლენინი წერდა: „პარტია არის მოწინავე რაზმი მუშათა კლასისა და მათი გაერთიანება, ერთმანეთში არევა დიდი შეცდომაა... დაუშვებელია ისეთი აზრი, თითქოს როდისმე შესაძლებელი იყოს მთელი კლასი, ან თითქმის მთელი კლასი, კაპიტალიზმის დროს ამაღლდეს იმ შეგნებამდე, როგორადაც მისი მოწინავე რაზმი, ან მან ისეთი უნარიანობა და საქმიანობა გამოიჩინოს, როგორც მისმა სოც. დემ. პარტიამ. მაგრამ რომ უფრო ფართე, ყოველმხრივი, ძლიერი და ნაყოფიერი იყოს პარტიის გავლენა კლასზე: — განაგრძობს ლენინი, — პარტიულ ორგანიზაციებში უნდა შედიოდენ ნამდვილი სოც. დემოკრატები, არა მერყევი ელემენტები, არამედ მტკიცე და გამძლე"...

ცნობილია, რომ ძველი „ისკრა"-ს საორგანიზაციო საკითხები ლენინის მიერ იყო დამუშავებული. პარტიისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც მთელი სადავეები პარტიისა ხელში უნდა ჰკავებოდა. ადგილობრივ კომიტეტების ხელში უნდა ყოფილიყო ყოველგვარი ხელმძღვანელობა მუშათა მოძრაობისა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლებოდა შექმნილიყო მებრძოლი პარტია პროლეტარიატისა, რომელსაც უნდა ჩამოეგდო თვითმპყრობელობა, მოეწყო შეიარაღებული აჯანყება, ხელში ჩაეგდო ხელისუფლება და გამოეცხადებინა პროლეტარიატის დიქტატურა.

ლენინის ასეთი დებულებების წინააღმდეგ ყრილობაზე გამოდიოდენ ოპორტუნისტულად განწყობილი ელემენტები და ებრძოდენ მის ცენტრალიზმს.

ცენტრალურ ორგანოების არჩევნები

წესდების მიღების შემდეგ ყრილობა გადავიდა პარტიის ცენტრალურ დაწესებულებების არჩევაზე. ამ მომენტისათვის მთლიანობა უკვე გაბზარული იყო. არჩევნებმა პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებში ფრიად გამწვავებული ბრძოლის ხასიათი მიიღო. ლენინის აზრით, არჩევნებს უნდა უზრუნველეყო ცენტრალურ ორგანოების ისეთი შემადგენლობა, რომელიც ნამდვილი გარანტია იქნებოდა მომავალი ბრძოლისა რეფორმიზმთან, იქნებოდა ავტორიტეტული, გავლენიანი. მარტოვი უსაყვედურებდა ლენინს, რომ ის სწორედ ამ გავლენისთვის იბრძვის. ლენინი ამაზე უპასუხებდა: განა „ისკრა"-ს ბრძოლა არ იყო მიმართული იმისკენ, რომ მოეპოვებინა გავლენა. და ეხლა როცა საჭიროა ორგანიზაციული გამაგრება ამ გავლენისა, განა ჩვენ ეს უნდა უარვყოთ. მარტოვი მე ამას დანაშაულობათ მითვლის, მე კი მგონია, რომ ეს არის ღირსება და აი, სწორედ ეს გვიჩვენებს, თუ პოლიტიკურად რამდენად გავირჩევით მე და მარტოვი.

ყრილობას უნდა აერჩია ცეკა — მუშაობის პრაქტიკული ხელმძღვანელი რუსეთში, ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო — პარტიის იდეური ხელმძღვანელი, ორგანო, რომელიც გამოიცემოდა საზღვარ გარედ, და პარტიის საბჭო, რომელიც ორივე ორგანოს მუშაობას შეათანხმებდა. რედაქციის წევრების არჩევამ დიდი კამათი გამოიწვია. აქამდის რედაქციაში შედიოდენ: ლენინი, პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, მარტოვი, პოტრესოვი (სტაროვერი). უმეტესი ნაწილი შემადგენლობისა გამსჭვალული იყო ოპორტუნისტული ტენდენციებით. ოპორტუნისტები თხოულობდენ მთელი ამ შემადგენლობის დამტკიცებას. ყრილობამ გადასწყვიტა სამეულის არჩევა.

ამ დროს ბუნდის წევრები — ხუთი კაცი და ორიც ეკონომისტი ყრილობიდან წასული იყვნენ. ამიტომ ხმის მიცემის დროს, უმრავლესობა ლენინის მომხრეებმა მიიღეს. ყრილობამ აირჩია: ლენინი, პლეხანოვი და მარტოვი. მაშინ მარტოვმა უარი განაცხადა რედაქციაში შესვლაზე და ამით დაარღვია ყრილობის დადგენილება. ამნაირად პირველად მარტოვი გამოვიდა პარტიაში განხეთქილების შემტანად. უთანხმოება მერყევ და მტკიცე ისკრელებს შორის განხეთქილებად გადაიქცა.

მეორე ყრილობის შედეგები

არსებითად ყრილობაზე აღმოცენებული განხეთქილება უკვე არსებობდა „ისკრას" რედაქციის შემადგენლობაში ყრილობამდე. ყრილობაზე ნათლად ჩაისახა ის მიმართულება, რომელიც შემდეგ ბოლშევიზმის და მენშევიზმის სახით ჩამოყალიბდა. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ მეორე ყრილობის უმრავლესობა (ბოლშევიკები) შეიქმნა იმ ღერძათ, რომელიც ნამდვილად აშენებდა პროლეტარიატის პარტიას, ხელმძღვანელობას უწევდა მუშათა კლასს და რომელმაც კიდეც მიიყვანა იგი ბრწყინვალე გამარჯვებამდე. დელეგატების ჯგუფი, რომელიც იბრძოდა ლენინთან ერთად ყრილობაზე, იყო პირველი ბოლშევიკური ორგანიზაცია, პირველი უჯრედი, რომელიც შემდეგში დიდ პარტიად გადაიქცა.

ჩვენი პარტიის ისტორიაში მეორე ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მან შეასრულა თავის დანიშნულება და ხუთი წლის განმავლობაში დაქსაქსული, ცალ-ცალკე მყოფი ორგანიზაციები გააერთიანა, ერთმანეთს დაუკავშირა და ამნაირად ფაქტიურად აღადგინა რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტია.

ამ ყრილობამ მისცა პარტიას მთლიანი და შემუშავებული რევოლიუციონური პროგრამა, რომლის შემწეობით ის შემდეგში იბრძოდა და იმარჯვებდა კიდეც.

ყრილობამ ჩამოაყალიბა ცალკე მყოფ ორგანიზაციები, შექმნა ერთი ცენტრი, ცენტრალური ორგანო და საბჭო.

ამავე ყრილობაზე ნათლად გამოირკვა პარტიის ორი მიმდინარეობა: რევოლიუციონურმარქსისტული და ოპორტუნისტული. განსხვავება ამ ორ მიმართულებას შორის, რომელიც მეორე ყრილობაზე აღინიშნა, შემდეგში მთელ სოც. დემოკრატიულ მოძრაობის განხეთქილებად გადაიქცა და დაბოლოს შეიქმნა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პარტია: „ბოლშევიკური" და „მენშევიკური".

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტ.-საპროპ. ბეჭდვითი განყოფილება.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პარტისი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 175.

ექსპედიცია მყინვარ-წვერზე
(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გუშინ ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშა:

6 აგვისტოს საღამოს ექსპედიციამ მიაღწია იაგორას ნიშს, რომელიც მდებარეობს 4.200 მეტრის სიმაღლეზე. კინო სურათების გადაღებისა და ნისლიან ამინდის გამო გუშინ წვერისკენ სვლა ნელი იყო. კინო-ოპერატორმა გადაიღო მყინვარი, ყინვარებზე სვლა, ნაპრალები და მორენები. ექსპედიციის მონაწილეთა ჯანმრთელობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. დღეს ექსპედიცია მიიწევს ფირნის ველისკენ, სადაც [illegible] ღამეს. 8 აგვისტოს დილით შეუდგებით მყინვარწვერზე ასვლას. დღეს ამინდი მშვენიერია.

ვ. წულუკიძე.

აღნიშნული ექსპედიცია ალპინისტების და კინო-მუშაკების შემადგენლობით (22 კაცი) თბილისიდან გავიდა 3 აგვისტოს. ექსპედიციას ხელმძღვანელობს ს. ჯაფარიძე. მყინვარიდან ექსპედიციის ნაწილი გადავა ხევსურეთში, სადაც გადაიღებს სურათებს ეტნოგრაფიულ ფილმისთვის.

ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

6 აგვისტოს სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა მეორე თათბირის სახელით გაეგზავნა კომუნისტური პარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს, საკავშირო სას.-სამ. კოოპერაციის ცენტრს „კავშირთა კავშირს" და ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. ცინცაძის მოხსენება საინსტრუქტორო მუშაობის შესახებ.

კოოპერაცია საერთოდ და სას.-სამ. კოოპერაცია კერძოთ,—ამბობს მომხსენებელი,— მოწოდებულია გარდაქმნას ჩვენი ცხოვრება ახალ სოციალისტურ საფუძველზე. ამ მიზნის მიღწევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ეძლევა ინსტრუქტორს, რომელიც უშუალოთ ხელმძღვანელობს ძირითად ქსელს. ინსტრუქტორი უნდა იყვეს კარგი ორგანიზატორი და კარგი მეურნე; კოოპერატივის იურიდიულათ ჩამოყალიბების შემდეგ იგი უნდა გაუძღვეს ახლათ ჩამოყალიბებული მეურნეობის მოწყობა-გაძლიერებას. გარდა ამისა ინსტრუქტორის მოვალეობას შეადგენს რევიზია. თავისი სარევიზიო დასკვნების გამოტანის დროს ინსტრუქტორმა ფართო ანალიზი უნდა გაუკეთოს კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობას და არ უნდა დაკმაყოფილდეს ამ საქმიანობის ამა თუ იმ მხარის ვიწრო შეფასებით. ინსტრუქტორის მუშაობა დაყრდნობილი უნდა იქნეს მტკიცე გეგმაზე. ამ გეგმის შედგენის დროს ინსტრუქტორმა ნათლათ უნდა გაითვალისწინოს კოოპერატივის საქმიანობის მრავალსახიანობა, ვინაიდან უამისოთ გეგმის შესრულება შეუძლებელი ხდება. ამასთანავე ინსტრუქტორი კარგათ უნდა იცნობდეს იმ ორგანიზაციებს, რომელთანაც ამა თუ იმ განაერთს უხდება სამეურნეო ურთიერთობა.

სპეციალური სახის სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორების შესახებ თანამოხსენება გააკეთა ამხ. ოგანესიანმა, რომელმაც დაახასიათა ჩვენი სას.-სამ. კოოპერაციის სპეციალური სახეების ზრდა. ამასთანავე თანამომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ მეურნეობაში სჭარბობს უნივერსალობა, ამა თუ იმ სპეციალობისკენ გადახრით და ამიტომ საჭიროა, რომ რაიონში მუშაობდეს უნივერსალური ინსტრუქტორი, ცენტრში კი საჭიროა ვიწრო სპეციალისტებიც. როდესაც ჩვენს მეურნეობაში უპირატესობა მიეცემა ვიწრო სპეციალურ მეურნეობას, მაშინ რაიონში საჭირო იქნება ვიწრო სპეციალისტი-ინსტრუქტორი.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **აბაევმა, ბოსტანჯიანმა, კოპალეიშვილმა, ფატაროვმა, ქანთარიამ, ლაშუებიანმა, ქართველიშვილმა** და სხვ.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ ინსტრუქტორი უნდა იყოს ორგანიზატორი და კოოპერაციის ძირითად ქსელში შეუწყვეტლივ უნდა ხელმძღვანელობდეს სამეურნეო მუშაობას. სარევიზიო მუშაობა მიზნათ უნდა ისახავდეს ადგილობრივი ძალების ჩაბმას მუშაობაში; სარევიზიო მუშაობის შედეგი გამოყენებული უნდა იქნეს ინსტრუქტაჟის მასალათ და სხ.

ფართალი მატყლის დამამზადებელ რაიონებს

შემოდგომის მატყლის დამზადების გეგმის თანახმად, საქართველოში შემოდგომის მატყლი წელს დამზადებული უნდა იქნეს 61.000 ფუთის რაოდენობით. აქედან „მწყემსმა" უნდა დაამზადოს — 38.400 ფუთი, „ბირლიკმა" — 12.800 ფუთი და „თერგის ხევმა" — 9.300 ფუთი.

დამზადების წარმატებით ჩატარებისთვის ხელის შეწყობის მიზნით ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში მატყლის დამამზადებელ ორგანიზაციებისთვის გამოყო 13 ვაგონი ფართალი, რომელიც შეფასებულია 403.000 მანეთად. აქედან „მწყემს"-ს მიეცემა — 253.[illegible] მან., „ბირლიკს" — 84.600 მან. და „თერგის ხევს" — 64.800 მან. ფართალი. აღნიშნული ფართალი დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა მისცენ მეცხვარეებს ავანსის სახით.

მეაბრეშუმეობა

ქუთაისში დამთავრდა „საქართველოს აბრეშუმი"-ს საგრენაჟო სადგურების თანამშრომელთა თათბირი, რომელსაც დაესწრენ ტრესტის წარმომადგენლებიც. თათბირზე გამოირკვა, რომ დასავლეთ საქართველოში ადგილი აქვს თუთის ხეების ნაკლებობას. ინკუბაცია ყველგან ნორმალურად ჩატარდა. აბრეშუმის ჭიის დაავადმყოფება შარშანდელთან შედარებით შემცირდა 60 პროცენტით. თითო კოლოფ თესლზე მოდის 43 კილო პარკი, რაც კარგ მოსავლად უნდა ჩაითვალოს.

საგრენაჟო სადგურებმა აბრეშუმის ტრესტის დავალებები გადამეტებით შეასრულეს: მაგალითად, მესამე საგრენაჟო სადგურმა 25.000 კოლოფის მაგივრად დაამზადა 27.000 კოლოფი თესლი.

მიკროსკოპიული ანალიზის სისტემის წაქეზების მიზნით, თათბირმა დაადგინა შემოღებული იქნეს პრემიარული სისტემა საუკეთესო მიკროსკოპისტებზე. სტუდენტ - პრაქტიკანტების მუშაობა წელს დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

საზაფხულო საძოვრებზე

თბილისის აღმასკომის სავეტერინარო ქვეგანყოფილება ამჟამად აწარმოებს თბილისის მაზრის საზაფხულო საძოვრების გამოკვლევას. უკვე გამოკვლეულია თრიალეთის თემისა და მანგლისის რაიონის საძოვრები.

გამოკვლევის შედეგების შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

არჯევან-სარვანის საძოვრებზე ამჟამად იმყოფება 15.000 მსხვილფეხა და 30.000 წვრილფეხა საქონელი, ბალახი აქ არ არის კარგი. საქმე იმაშია, რომ ზამთრის პერიოდში დამშეული საქონელი სწრაფად დაეწაფა ბალახს, რომელმაც ვერ იხეირა ხანგრძლივი ზამთრის გამო, რამაც საგრძნობი გავლენა მოახდინა საძოვრების მდგომარეობაზე.

მანგლისის რაიონის საძოვრებზე, სადაც ამჟამად 3.000 მსხვილფეხა და ამდენივე წვრილფეხა საქონელია, მდგომარეობა უკეთესია.

ყოველ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ საქონელი ამჟამად სავსებით გამოკეთდა იმ გაჭირვებისაგან, რომელიც მან ზამთრის პერიოდში განიცადა.

საძოვრებზე არ არის შემჩნეული საქონლის ჭირის შემთხვევები. იყო მხოლოდ დაავადების ცალკე შემთხვევა, რომელიც შემდეგში არ გავრცელებულა.

საძოვრების რაიონში მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სავეტერინარო ზედამხედველობის საქმის მოწესრიგებას. მუდმივი სავეტერინარო - საექიმო პუნქტების გარდა, რომლებიც არსებობენ კუშაში და ბორმაკინძეში მომთაბარეობის პერიოდში არჯევან-სარვანეში იხსნება მესამე—დროებითი სავეტერინარო-საექიმო პუნქტი. გარდა ამისა, აღნიშნულ პუნქტების ექიმებს დავალებული აქვთ ხანგამოშვებით შემოიარონ თავიანთი რაიონის საძოვრები და შეამოწმონ საქონლის ჯანმრთელობა.

ასეთი მუშაობა ბევრათ უფრო გააუმჯობესებს საქმეს და სავსებით მოსპობს საქონლის დაავადების შემთხვევებს.

როგორ მიმდინარეობს მოსავლის აკრეფა

მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობებით მოსავლის აკრეფის საქმე მთელ რესპუბლიკაში შემდეგ მდგომარეობაშია:

ყოფ. დუშეთის მაზრაში პურისა და ქერის მკა გაცხარებულათ სწარმოებს. მკა დამთავრდება ერთი კვირის შემდეგ. კახეთში და ქართლში მიდის კალოობა. ყოფ. დუშეთის მაზრის დაბლობ ადგილებში სიმინდის მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს. ვენახები ზოგიერთ ადგილას შესამჩნევად დააზარალა გაზაფხულის სიცივეებმა.

რაჭის მაზრაში უკვე დასრულდა პურის მკა და შეუდგენ კალოობას. ვენახები ყველგან კარგ მდგომარეობაშია.

საკრედიტო ამხანაგობები ყველა რაიონებში ენერგიულად აწარმოებენ ახალი მოსავლის დამზადებას.

ქუთაისი
(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სტატისტიკოსთა თათბირი

2 აგვისტოს დამთავრდა დასავლეთ საქართველოს და აჭარისტანის სტატისტიკურ განყოფილებათა გამგეების თათბირი. თათბირის მიზანი იყო ინსტრუქციების მიღება-გაცნობა საბჭოთა მამულებისა და კოლექტიურ მეურნეობათა გამოკვლევის შესახებ. მუშაობას შეუდგებიან ადგილებზე 8 აგვისტოდან.

ნათესები

1 აგვისტოსათვის ქუთაისის მაზრაში ნათესების მდგომარეობა შემდეგია: მაზრაში საშემოდგომო ხორბალი აკრეფილია დესეტინაზე 30 ფუთი, სიმინდის მდგომარეობა განისაზღვრება ბალების მიხედვით—4; ბამბა—3,2; ბოსტნეული 3,7; ბაღჩეული—3,5 თამბაქო—3,2; ვენახები—4,2; სათიბები—3,7.

შემოსატანი პურეულის რაოდენობა

სამაზრო აღმასკომთან არსებულ საექსპერტო კომისიის მიერ შედგენილია პურეულის ბალანსის პროექტი 1928—29 წლისათვის. კომისიის გამოანგარიშებით მომავალი წლისათვის, გარდა საკუთარი მოსავლისა, მაზრას დასჭირდება შემოზიდვა 230 ათასი ფუთი სიმინდისა და 650 ათასი პურის ფქვილისა.

სანიმუშო კოლექტივი

ამჟამად სანიმუშო კოლექტივად ითვლება მთელს მაზრაში ხონის თემში, სოფელ ახალშენში არსებულ გლეხთა კოლექტიური მეურნეობა „კულტურა". კოლექტივი 5 თვეა რაც დაარსდა, აერთიანებს 18 წევრს, რომელთაც გაერთიანებული აქვთ თავისი 41 ქცევა მიწა, ეწევიან მესაქონლეობას და სხ. კოლექტივის ანგარიშიანობა სასურველ ნიადაგზეა დაყენებული. წევრები დიდი ხალისით ეწევიან საქმიანობას და კოლექტივი უკვე მისაბაძი ხდება დანარჩენი გლეხობისათვის.

მიწათმოწყობა

სამაზრო აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მომავალი წლიდან მაზრის სხვადასხვა რაიონებში დაიწყოს მოშენება ჩაისა და პრობკის ხის. პრობკის ხის მნიშვნელობის შესახებ აქ ვრცელი მოხსენება გააკეთა პროფესორმა **კელმა**, რომელმაც დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა ამ დარგს ქუთაისის მაზრაში.

მუშკორთა კონფერენცია

4 აგვისტოს მოხდა მუშკორთა საქალაქო კონფერენცია. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. იტრიევი. კონფერენციის მიერ გამოყოფილ იქნა ბიურო, რომელიც უხელმძღვანელებს მუშკორთა მოძრაობას ადგილობრივ.

მიმოსვლა მამისონის უღელტეხილზე

უკვე გაიხსნა მიმოსვლა მამისონის უღელტეხილზე ურმებისა და „ლინეიკებისათვის". დაიწყო პურისა და სიმინდის გადმოზიდვა ჩრდილო კავკასიიდან.

სასამართლოში

3 აგვისტოს გაირჩა სამაღმასკომის კომუნალურ მეურნეობის სტამბის ყოფ. გამგის ნ. ფერაძის საქმე, რომელსაც სხვადასხვა ბრალდებები ჰქონდა წაყენებული. ფერაძე სამაზრო სასამართლომ სრულიად გაამართლა.

საექსკურსიო ბაზა

ქუთაისში დაარსებულია საექსკურსიო ბაზა, რომლის დანიშნულება არის საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ექსკურსანტების დაბინავება და ქუთაისის და მის მიდამოების დათვალიერებაში ხელმძღვანელობა. ა. წ. 9 ივლისიდან დღემდე ხსენებულ ბაზაზე გაიარა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ რამოდენიმე ექსკურსიამ.

ექსკურსანტები ნახულობდენ ქუთაისის წარმოება-დაწესებულებებს, ისტორიულ ადგილებს და უმეტესობა ათვალიერებდა ქუთაისის მიდამოებს: გელათს (ყოფილ მონასტერს), გეგუთს (ციხე-დარბაზს), ბანოჯას,— (სათაფლიას გამოქვაბულს), გოდოგანში (გამოქვაბულს).

ექსკურსანტების ყურადღებას იპყრობდა ისტორიული სიძველეები და მუზეუმში ამჟამად არსებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ამოთხრილი ისტორიული ნივთები.

სიძველეთა აღმოჩენა

გელათის მახლობლად, ნანგრევში მუზეუმის თანამშრომლებმა ამოთხარეს ძველი დროის ჭურჭლები, რომლებიც ამჟამად მუზეუმში არის წარდგენილი.

— ოკრიბის ერთ-ერთ ძველ საყდარში, მუზეუმის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ძველი დროის საერთო ფრესკები და ამოიკითხეს ქართველი მხატვრის გვარიც. ფრესკების მხატვარის გვარი დღემდის უცნობი იყო. ამჟამად მუზეუმი აწარმოებს ამ ფრესკების შესწავლის საქმეს.

— ჩხარის მახლობლად სოფ. ძევრიდან, მუზეუმმა მიიღო მიწიდან ამოღებული არხეოლოგიური ნივთები; ბრინჯაოს ხანის და ძველი დროის თიხის ჭურჭლები. სასინჯმა გათხრამ გამოარკვია, რომ მდ. ძევრულას ნაპირზე ყოფილა ძველი მოსახლეობა იმ დროის სამარხებით.

ქრონიკა

ამხ. ლ. ქართველიშვილის დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილი, რომელიც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატმა საკავშირო სახ. კომისარიატიდან მიიღო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის სააგიტაციო ლიტერატურა (ბროშიურები, პლაკატები და სხ.), რომელიც გადათარგმნილი იქნება ადგილობრივ ენებზე და დაეგზავნება ადგილებს.

შრომის პირობების გაუმჯობესება

შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა შრომის ინსპექტორებს შეამოწმონ თუ რამდენად არის წარმოება - დაწესებულებათა და კერძო დამქირავებლების მიერ შესრულებული მოთხოვნილებები, რომლებიც მიმდინარე წლის განმავლობაში წარუდგინა მათ შრომის პირობების გაჯანსაღების მიზნით. ამ გამოკვლევის შედეგები შრომის ინსპექტორებმა თავის დასკვნასთან ერთად უნდა აცნობონ შრომის დაცვის განყოფილებას, რომელიც დამნაშავეთ მისცემს პასუხისგებაში.

აღნიშნული გამოკვლევა უნდა დამთავრდეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამლევისათვის.

თბ. აღმასკომში

◆ **საჩივართა წიგნების დათვალიერება.** თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციამ გამოყო კომისია, რომელიც შეუდგა მუშ და გლეხთა „მსუბუქ კავალერიასთან“ ერთად სავაჭრო ადგილებში შემოღებულ საჩივართა წიგნების და ყუთების გამოკვლევას.

◆ **12 საბარგო ავტომობილის შეძენა.** ქალაქის მოწყობილების განყოფილებამ გადასწყვიტა შეიძინოს ქალაქის ქუჩებიდან ნაგვის გასატანად 12 საბარგო ავტომობილი.

◆ **კანალიზაციის გაყვანა ნავთლუღში.** თბილისის აღმასკომის საკანალიზაციო სამმართველომ გადასწყვიტა 20 აგვისტოდან შეუდგეს მუშაობას ნავთლუღის რაიონში კანალიზაციის გასაყვანად. დღემდე კანალიზაცია ნავთლუღის უბნის უდიდეს ნაწილში არ არსებობდა.

ახალი კანალიზაციის გაყვანა უნდა დასრულდეს 1930 წლისათვის.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში

◆ **ანგარიშების წარმოდგენა.** ჯანსახკომმა მისწერა მაზრებს, რომ დააჩქარონ სამაზრო ჯან. განყოფილებების მუშაობის შესახებ ანგარიშების წარმოდგენა.

◆ **ექიმთა კრება.** 10 აგვისტოს, საღ. 9 საათზე პროფკავშირთა დარბაზში მოწვეულია თბილისის ამბულატორიების და დამზღ. სალაროს ხაზით მომუშავე ექიმთა კრება.

◆ **5 წლიანი გეგმები.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ახლო ხანში დაამთავრებს 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის დამუშავებას.

ს. მ. უ. ს.-ში

◆ **ინჟ. ბ. ჭიჭინაძის გამგზავრება.** დღეს, მოსკოვში მიემგზავრება ს. მ. უ. ს: თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. **ბ. ჭიჭინაძე.**

◆ **შირაქის ნავთის ანალიზი.** ს. მ. უ. ს. ცენტრალურმა ლაბორატორიამ დაამთავრა შირაქიდან ჩამოტანილი ნავთის ნიმუშის ანალიზი. ნავთის ხვედრითი წონა აღმოჩნდა 0,8 რაც ადასტურებს, რომ შირაქის ნავთი კარგი ხარისხისაა.

◆ **რძის პროდუქტების ახალი ქარხანა.** უკვე დაწყებულია სამზადისი სამუშაოებისა ახალქალაქის მაზრაში რძის პროდუქტების გადასამუშავებელი ახალი ქარხნის ასაგებათ.

სოც. დაზღვევის კომიტეტში

◆ **დასასვენებელ სახლებში.** სოც. დაზღვევის კომიტეტის ცნობით მუშა-მოსამსახურეთა ახალი ჯგუფების გაგზავნა იწარმოებს—წაღვერის, სურამის, ქობულეთის და შუამთის დასასვენებელ სახლებში.

◆ **დუშეთის დამზღ. სალაროს ლიკვიდაცია.** თბილისისა და დუშეთის მაზრების გაერთიანების გამო, სოც.-დაზღვევის კომიტეტმა გადასწყვიტა გააუქმოს დუშეთის ყოფ. სამაზრო დამზღ. სალარო და მის მაგიერ მოაწყოს სოც. დამზღვევი პუნქტი.

◆ **„დასვენების ისტორია“.** სოც. დაზღვევის კომიტეტმა გადასწყვიტა დასასვენებელ სახლებში შემოიღოს მუშა-მოსამსახურეთა დასვენების ისტორიის წერა.

სხვადასხვა

◆ **მოსახლეობის ზრდის გამოანგარიშება.** ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს თეორიული გამოანგარიშებით 1933 წელს საქართველოს მოსახლეობა მიაღწევს 3,310.000 კაცს.

◆ **ფაკულტეტების გაერთიანება.** პროფგანათლების მთავარ მმართველობის გადაწყვეტილებით მომავალი სამსწავლო წლიდან სახელმწიფო უნივერსიტ. პოლიტექნიკური ფაკულტეტი შეერთდება პოლიტექნიკ. ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტს, ხოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ფაკულტეტები გაერთიანებული იქნება სახელმწ. უნივერსიტეტის ასეთსავე ფაკულტეტებთან. სწავლა ორივე უმაღლეს სასწავლებელში იწარმოებს ქართულ და რუსულ განყოფილებებზე.

◆ **ახალი წიგნები.** გამოვიდა ექ. ავ. ინგოროყვას წიგნი „აგარაკი ბახმარო“. წიგნში მოთავსებულია ყოველგვარი ცნობები ბახმაროს კურორტის შესახებ და დასურათებულია.

პროფკავშირებში

შემოსავალი სტუდენტთა კვირეულიდან

სტუდენტთა დახმარების კვირეულის განმავლობაში, სულ შემოვიდა 31580 მან.

ამ თანხიდან 10,000 მან. გადაიდვა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ასაგებად, 1.500 მან. სტუდენტთა სასადილოს გასაუმჯობესებლად, 800 მან. ურთიერთ დამხმარე სალაროების გასაძლიერებლად, 10.000 მან. სტუდენტთა ბინების ხარჯების დასაფარავად; დანარჩენი თანხა დარჩა გაუთვალისწინებელ ხარჯებისათვის.

სტუდენტების ბინებით უზრუნველყოფის შესახებ

ახლო ხანში სახ. უნივერსიტეტთან დამთავრდება სტუდენტთა საერთო-საცხოვრებელი ბინის მოწყობა. მიღებულია ზომები პოლიტექნიკურ ინსტიტუტის მახლობლად საცხოვრებელ სახლის აგების დასაწყებად და მომავალ წლიდან სათანადო ორგანოების ბიუჯეტში სახ. უნივერსიტეტის მახლობლად (ვაკეში) ერთი დიდი საერთო-საცხოვრებელი სახლის ასაგებად.

აბონემენტები ოპერაში და დრამაში

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში მიღებულია ცნობა, რომ თბილისის აკადემიური თეატრები (ოპერა, დრამა) ცდილობენ შემოიღონ საბონემენტო სისტემა და ამით შესცვალონ წარსულ სეზონებში არსებული მუშათა ზოლი.

ს. პ. კ. კულტგანყოფილებამ წინადადება მისცა კავშირებს ც. გ-ებს, თავი შეიკავონ საბონემენტო სისტემის გავრცელებისათვის, სანამ კულტგანყოფილება მოაწესრიგებდეს ამ საკითხს და დასდებდეს სათანადო ხელშეკრულებას თეატრების დირექციასთან.

—:—

◆ **ლექცია-საუბრების ორგანიზატორთა კონკურსი.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ლექცია-საუბრების მომწყობთა კონკურსი. საუკეთესო ორგანიზატორათ ცნობილს მიეცემა ნივთიერი ჯილდო.

◆ **წყალზე სპორტი.** გადაწყვეტილია ახლო ხანში ჩატარდეს წყალზე სპორტის საქმის გამოკვლევა—ბათომში, ფოთში და სოხუმში.

◆ **სასპორტო დარბაზის მოწყობა.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა ახლო ხანში შეუდგეს სასპორტო დარბაზის მოწყობას ა.-კ. კომუნისტ. უნივერსიტეტში.

საბჭოთა კავშირის ფეხით შემოვლა

გუშინ, საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში გამოცხადდა სამი მოქალაქე—**შკურინოვი** (მელითონე), **გავვა** (შოფერი) და **მაკუშკინი** (კულინარი), რომელნიც მოგზაურობენ საბჭოთა კავშირში ფეხით.

ხსენებულ ამხანაგებმა მოგზაურობა დაიწყეს ქ. ტაშკენტიდან. მათ ინახულეს ქ. კრასნოვოდსკი, კავკავი, თბილისი.

თბილისიდან ისინი მიემგზავრებიან ბათომში და შავი ზღვის სანაპიროებით ყირიმში და შემდეგ რუსეთში.

მათი მოგზაურობის მიზანს შეადგენს საბჭოთა კავშირის ერების ყოფა-ცხოვრების გაცნობა.

ამასთანავე ერთად ეს ამხანაგები გზადაგზა აწარმოებენ პროპაგანდას თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ირგვლივ. სოფლად მართავენ მიტინგებს, აწყობენ საუბრებს გლეხობასთან თავდაცვის საკითხების შესახებ უხსნიან გლეხობას საზოგადოების მიზნებს და ამოცანებს. მათ თან დააქვთ თავდაცვა-ავიაქიმის ლიტერატურა; რომელსაც ავრცელებენ გლეხობაში უფასოდ.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში მათ მიიღეს ლიტერატურა სოფლებში გასავრცელებლად.

ავიაქიმში

ადგილობრივ ორგანიზაციების გამოკვლევა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციების მდგომარეობის და მუშაობის გამოსაკვლევად მივლინებულ იყვნენ დასავლეთ საქართველოში საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **გ. სირაძე** და ინსტრუქტორი ამხ. **პოლეტაევი.**

ხსენებულ ამხანაგების მიერ გამოკვლეულ იქნა აფხაზეთის და აჭარისტანის ორგანიზაციები.

აფხაზეთში გამოკვლეულია გუდაუთის და გაგრის სამაზრო ორგანიზაციები, ხოლო აჭარისტანში როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ორგანიზაციები.

ავიაქიმის ლიტერატურა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა ავიაქიმის ლიტერატურის გამოცემას ქართულ ენაზე. პოპულარული ლიტერატურის და სახელმძღვანელოების გარდა, გამოცემულ იქნება მხატვრული პლაკატები ავიაქიმის ცხოვრებიდან.

ავიაქიმის საზაფხულო მუშაობა

ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად თავდაცვა-ავიაქიმის საზაფხულო მუშაობა ბევრს მაზრებში მიმდინარეობს წარმატებით. მთელი მუშაობა გადატანილია ველად. იმართება ლაშქრობა, მანევრები, შეჯიბრები და სხვ. ამჟამად ადგილობრივი ორგანიზაციები ემზადებიან წითელი ჯარის მანევრებში მონაწილეობის მისაღებად.

სასამართლო

ქურდი მტვირთავი

ლაზარე თედორესძე ქორიძე მტვირთავად მსახურობდა თბილისის სადგურის საწყობში. ის სისტემატიურად ხსნიდა საწყობში შენახულ ბარგს და ნივთებს ითვისებდა.

ქორიძე გუშინ გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. **ა. კალანდაძის** თავმჯდომარეობით.

სასამართლოში ქორიძემ თავი სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ ბრალდებულ ქორიძეს მიუსაჯა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ამ საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული აგრეთვე მეორე მტვირთავი—ალექსანდრე დიმიტრისძე ინასარიძე, რომელიც სასამართლომ უდანაშაულოთ სცნო და გაამართლა.

—:—

გრძელ ცხვირიანი კაცი არ მოსწონს

არშაკ გასპარისძე ზადოევი მოქეიფე ბიჭია.

28 ივლისს, ღამით მთვრალი ზადოევი იდგა პლეხანოვის პროსპექტზე და გამვლელებს უწმაწური სიტყვებით ამკობდა.

შემდეგ მან დაინახა გრძელ ცხვირიანი მოქალაქე, მიუახლოვდა და დაუწყო „დავა“ იმის შესახებ, თუ რატომ აქვს მას გრძელი ცხვირი.

— თავი დამანებე ყმაწვილო! ხუმრობის ხასიათზე არა ვარ.

— ვინ არის შენი ყმაწვილი, შენთან ლაპარაკი ვიკადრო და გაიბუტოს,—მიუგო ზადოევმა.

მოქალაქე კვლავ სთხოვს ხულიგანს დაანებოს მას თავი.

ზადოევმა დაიკაპიწა სახელოები, თავი თავზე დააჯახა, შემდეგ უქნა „მოგვერდი“ და მოქალაქე გაიშხლართა მიწაზე.

ხმაურობაზე გაჩნდა მილიციელი და მეეზოვე.

ზადოევი უწევს მათ წინააღმდეგობას.

მაგრამ მილიციელმა და მეეზოვემ მაგრათ დაავლეს ხელი, ჩასვეს ეტლში და მიიყვანეს კომისარიატში.

ზადოევი ხულიგნობისათვის ერთი თვით გაიგზავნა საპატიმროში.

—:—

მოჩხუბარი ქალები

ქსენია ივანეს ასული გლადიშევა, ზინა ივანეს ასული ლუბასოვა, სათენიკა კრიაზას ასული არუთინიანი, აფენიკ ოგანესიანი, გალია კიშნევსკაია, ვართანუშ ზაქარიას ასული ბაგდასაროვა და მარიამ ივანოვა—ყოველ საღამოობით დაიარებოდნენ კომუნართა ბაღში და ახდენდნენ დებოშს. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ისინი სრულიად უმიზეზოთ სცემდნენ ბაღში გამვლელ მოქალაქეებს. ერთი სიტყვით, ხსენებული პირები დახელოვნებული არიან მუშტი-კრივის გამართვაში.

ბოლოს ეს ამბავი მივიდა მილიციის ყურამდე. ჰკადრეს „მანდილოსნებს“ დაპატიმრება

გამოირკვა, რომ ზოგი მათგანი დახელოვნებული ქურდი-რეციდივისტია.

გარდა ამისა, ისინი ყოფილან პროფესიონალ როსკიპები.

ყველა მათ ადმინისტრატიული წესით მიესაჯათ სამ-სამი კვირით დაპატიმრება.

ხულიგანი

გალაქტიონ არსენისძე ჩულაყაძე (მცხ. ანიევის ქ.) ამას წინად ღვინით გაბრუებული მიდიოდა ქუჩაში. ამ დროს მას ჩაუარა ვიღაც მოქალაქემ, რომელსაც სრულიად უმიზეზოდ მაგარი სილა გააწნა.

მოქალაქე მივიდა საგუშაგოზე მდგომ მილიციელთან, რომელსაც უამბო მომხდარი ამბის შესახებ.

დაინახა თუ არა მილიციელი, ჩულაყაძეს დაეკარგა „ბრძოლის“ უნარი და მოკურცხლა.

მილიციელი დაეწია და სთხოვა წაჰყოლოდა კომისარიატში.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ჩულაყაძე წაიყვანეს კომისარიატში.

ჩულაყაძეს მიესაჯა ორი კვირით თავისუფლების აღკვეთა.

—:—

მკვლელობა

ზუგდიდის სამაზრო სასამართლომ ამხ. **ერ. როდონაიას** თავმჯდომარეობით ამ დღეებში გაასამართლა რაჟდენ კოსტასძე გერლიანი, რომელსაც ბრალდებოდა მოქ. თაბუქ მილდიანის მოკვლა.

მკვლელობის ჩადენას წინ უძღოდა შემდეგი გარემოება:

გერლიანი და მილდიანი ერთმანეთთან ცუდ განწყობილებაში იყვნენ.

ერთ მშვენიერ დღეს შეხვდნენ ერთმანეთს და წალაპარაკდნენ.

მილდიანმა ჯოხი დაარტყა თავში გერლიანს. უკანასკნელმა ამოიღო ხანჯალი და ჩასცა მას მუცელში. მილდიანი იქვე გარდაიცვალა.

გერლიანი დააპატიმრეს.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ის გარემოება, რომ ბრალდებულმა გერლიანმა მკვლელობა ჩაიდინა განსაკუთრებული სულიერი მღელვარების დროს, რაც მასში გამოიწვია შეურაცმყოფელმა სიტყვებმა.

გერლიანს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

—:—

ხულიგნები—„წესიერების დამცველები“

ვასილ გრიგოლისძე ბალტინი და კონსტანტინე ალექსანდრესძე პაპსკირი „ტკბილად“ მიიმღეროდენ კოოპერაციის ქუჩაზე.

სიმღერა რომ მობეზრდათ „ძმა-ბიჭებმა“ განიზრახეს „სახუმარო საქმის“ გაკეთება. გადასწყვიტეს და შეუდგენ „მუშაობას“.

— შეჩერდით,—უძახიან ხულიგნები მგზავრებს.

— რაშია კაცო საქმე, რატომ გვაჩერებ, ეკითხებიან მგზავრები.

— თქვენ დაარღვიეთ სავალდებულო დადგენილება—გაიარეთ იმ გზით, რომელზედაც სიარული აკრძალულია.

ზოგი გულუბრყვილო მგზავრი წამოეგო მათ ანკესზე და შემოუარა ქუჩას.

ბოლოს ვიღაც მგზავრმა ურჩია ხულიგნებს თავი დაენებებიათ „ხუმრობისათვის“. ხულიგნებმა იწყინეს ეს და სილა გააწნეს მოქალაქეს.

„წესიერების დამცველი“ ხულიგნები ქუჩაში მოძრაობის წესების შესასწავლად ორ-ორი კვირით მიავლინეს გამასწორებელ სახლში.

თ.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინ, დღისით, ხანძარი გაუჩნდა პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე სახლს № 80. ხანძარი ჩააქრეს შინაური საშუალებებით.

ხანძარი გამოიწვია პაპიროსის ნამწვავმა.

5 კაცის დაკარგვა

1-დან 6 აგვისტომდე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: [illegible] ძე გიგაური, 19 წლისა (მცხ. სოფ. [illegible]); ჩიკვა [illegible] ძე გოროშიშვილი, 25 წლისა (მცხ. ორგუთინის ქ. № 16), მიშა [illegible] ძე ტეცუშვილი, 11 წლისა (მცხ. ორგუთინის ქ. № 18); ვახტანგ შაქროს ძე კოჰიაშვილი, 14 წლისა და არშაკ ვასილის ძე ამიროვი, 30 წლისა.

ქურდობა

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს პოლ. კუჭავას ბინა (წყნეთის ქ. № 20), წაიღეს 50 მანეთის საოჯახო ნივთები. გაქურდეს ნიკოლოზ პეტროვიჩის ბინა (შ. ელიავას ქ. № 2), წაიღეს 150 მანეთის ნივთები.—კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს ალ. შატბეროვის ბინა (მაჩაბლის ქ. № 3), მოპარულია სხვადასხვა ნივთები.—მოქ. მარია ხანბაზიანცის ბინიდან მოიპარეს 371 მანეთის საოჯახო ნივთები.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა: გრანდ სარქისიანცი, შალვა დავითის ძე ოქროპირიძე, ნიკოლოზ ალექსის ძე ჩიქოვანი, მირზა კასიევი, გალუა ოგანეზის ძე ზ. მოიანი, ალექსანდრე სტეფანეს ძე თოფურია, ოგანეზ გიორგის ძე ეგულასაროვი და სერგო ანდრიას ძე აფონინი. ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ვისია ხალიჩები?

სისხლის სამ. მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ხალიჩები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი 13, შ. კოპალიანთან.

ნივთების პოვნა

მილიციამ იპოვა დაკარგული სხვადასხვა ნივთები და ფული. პატრონი უნდა გამოცხადდეს ალმსკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ოთახი № 2, გ. მაღალაშვილთან.

რკინისგზებზე

გამოკვლევის შედეგები

ამ დღეებში ა.-კ. რკინისგზების გამგეობასთან გამოყოფილმა სპეც. კომისიამ დაასრულა დასავლეთის უბნის გამოკვლევა.

გამოკვლევის პროცესში კომისიამ აღმოაჩინა მრავალი დეფექტები. მაგ.: სადგ. ჭალადიდში, **ქვალონში** და **უფლისციხეში,** ანგარიშწარმოება არ იყო კარგად დაყენებული, რის გამოც, აღნიშნულ სადგურის უფროსებს **ფერაძეს, დავითაიას** და **ჩხობაძეს** გამოეცხადათ საყვედური.

კომისიამ აღმოაჩინა, სადგ. **სვირისა** და **ავჭალის** რკ. გზ. ხაზის არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რისთვისაც საყვედური გამოუცხადა გზის ოსტატებს: **ნიკოლაიშვილს** და **ბუაჩიძეს.**

ამასთან კომისიამ შეამოწმა გზაზე მიმავალი მატარებლები, სადაც აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტებისა, ამის გამო საყვედური გამოუცხადა მზეთავებს: **ქვარცხავას, რევიშვილს, ნიკურაძეს** და მთავ. კონდუქტორს **სტურუას.**

კომისიამ სადგ. **სუფსაში, საჯევახოში, კოპიტნარში, გრაკალში, ქსანკაში** და **მცხეთაში,** სადგურის ანგარიშწარმოება დამაკმაყოფილებლად სცნო, რისთვისაც მადლობა გამოცხადდა აღნიშნულ სადგურის უფროსებს: **ყაძიშვილს, ულენტს, გვეტაძეს, ლომთაძეს, მიქაბერიძეს** და **დათაძეს.** ამასთან მადლობა გამოცხადდა გზის ოსტატებს: **ჩიტაიშვილს, ქავრუზაშვილს** და **ესვანჯიას.** მადლობა გამოცხადდა შორაპანი-ლიხის უბნის, ცენტრალიზაციის უფრ. მექანიკოსს ამხ. **ჩიკვაიძეს.**

მოძრაობის შეწყვეტა

ტყიბული-საწირის გადასარბენის, მე141 კილომეტრზე, ლიანდაგს ასცდა. მატ. № 191 ორთქლმავალი. მოძრაობა შეწყდა 5 საათით. გადავარდნის მიზეზები ირკვევა.

მოტო-გადარბენა

მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი

დღეს დილის 5 საათზე, მოსკოვში მიემგზავრება საკავშირო მოტო-გადარბენის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. 5 მოტოციკლი და 2 ავტომობილი მოსკოვში გაემგზავრება ხვალ.

გადარბენის მონაწილენი თბილისიდან მოსკოვში ბრუნდებიან ახალი მარშრუტით: თბილისი, გორი, ხაშური, ბორჯომი, აბასთუმანი, ქუთაისი, ზუგდიდი, სოხუმი; შავი ზღვის სანაპიროებით, არმავირი, საიდანაც შემდეგ დაბრუნდებიან წინათ შემუშავებული მარშრუტით. მოტოციკლეტისტებს თან მიჰყვება თბილისის მოტო-ველო საზოგადოების წევრი, მოტოციკლეტისტი ქალი—**ბატალეევა** და ამავე საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. **ახმეტელი.** გუშინ, მოტოციკლეტები დაათვალიერა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. **შალვა ელიავამ,** რომელიც გადარბენის შესახებ ესაუბრა კომანდორ—ამხ. **ბოგდაშევსკის.**

გადარბენის კომანდორის გადმოცემით მოტოციკლეტისტები ერთ ღამეს გაათევენ ქუთაისში.

—

გადარბენაში მონაწილე მანქანების შემოწმებამ გამოარკვია, რომ მოტოციკლები დაზიანებულია. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ გერმანული მანქანები („ნეანდერ“), ყველაზე დაზიანებული აღმოჩნდა „ინდიანი“-ს სისტემის მანქანები, მიუხედავად მათი დიდი სიმძლავრისა.

რაც შეეხება ავტომობილებს, საბჭოთა მანქანები „ამო“ და „ნამი“ უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე ამერიკული ნახევრად საბარგო მანქანა „შევროლეი“ და ფრანგული მსუბუქი ავტომობილი „ამილკარი“.

გამოირკვა აგრეთვე, რომ საუკეთესოდ დაიჭირა გამოცდა საბჭოთა რეზინამაც, რომელიც არც ერთხელ არ გარღვეულა, მაშინ როდესაც ამერიკული შინა ექსჯერ გასკდა.

საკავშირო სპარტაკიადის წინ

რამდენი სპორტსმენი ჩამოვა გერმანიიდან

საკავშირო სპარტაკიადაზე გერმანიიდან ჩამოვა 173 სპორტსმენი, აქედან: 5 მძლეოსანი, 33 მსუბუქ მძლეოსნობაში მოვარჯიშე, 16 მცურავი, 13 კრივში მოვარჯიშე, 13 გიმნასტი, 6 მოტორისტი, 6 ველოსიპედისტი, 4 ჯიუ-ჯიტსუში მოვარჯიშე და თითო ფეხბურთის და განდბოლის გუნდი.

ფინეთის სპორტსმენები მოდიან საბჭოთა კავშირში

ფინეთის მუშათა სასპორტო კავშირის გამგეობამ, რომელშიაც სოციალ-დემოკრატები შედიან, დაადგინა კავშირიდან გამორიცხოს ყველა ის სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის სპარტაკიადაზე. მიუხედავად ამისა ფინეთის 109 პროლეტარულმა სპორტსმენმა მტკიცედ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღონ საკავშირო სპარტაკიადაზე; ისინი ამ დღეებში ჩამოვლენ მოსკოვში.

ფინეთის სპორტსმენების გუნდში შედიან ფინეთის მუშათა სპორტის საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის ცნობილი სპორტსმენები **მანკინი, კოლლე, იარვინეკი.** ბოკსერების გუნდი შედგენილია ფინეთის ჩემპიონებისაგან. ჩამოვლენ: **ხუუსკონენი, პააკი. ანდერსონი, ლესკინენი, ლაკსტრემი, მაუტი კაინენი** და სხვ.

ფინეთის მუშა სპორტსმენები ყველაზე უფრო ძლიერი მუშა სპორტსმენებია მსოფლიოში; ისინი სერიოზული კონკურენტები იქნებიან საბჭოთა ფიზკულტუროსნებისათვის.

ვინ მოდის საფრანგეთიდან

საფრანგეთიდან სპორტაკიადაზე მოდის საუკეთესო მუშა სპორტსმენთა გუნდი, რომელშიაც შედიან: **დენისტრიკო, მარაპელი, ბიდენგერი, გირარი. ჰომმერი** და **ამარიდონი;** ორი უკანასკნელი ქალია.

რამდენი კაცი მიიღებს მონაწილეობას სპარტაკიადაზე

მოკავშირე რესპუბლიკებიდან სპარტაკიადაზე მონაწილეობას მიიღებს 4.283 კაცი. აქედან: უზბეკისტანი გამოგზავნის 196 ფიზკულტუროსანს. უკრაინა—426, თურქმენისტანი—100, ამიერ-კავკასია—457, ბელორუსია—134. ცენტრალური სამრეწველო რაიონი—289, ყირიმი—127, ჩრდილოეთ კავკასია—274, ვოლგის რაიონი—218, ურალის—123, ჩრდილოეთ რაიონი—131, მოსკოვი—663, ლენინგრადი—400, შორეული აღმოსავლეთი—97 და ჩრდილოეთ მანჯურია— 25.

კინო სურათი „სპარტაკიადა“

„სოვკინო“ შეუდგა დიდ კინო-სურათის „სპარტაკიადას“ გადაღებას ამ სურათის გადაღებაზე მუშაობს 8 კინო-ოპერატორი. სურათს სდგამს რეჟ. პოსელსკი. მუშაობას ხელმძღვანელობს სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ამხ. რატოვი.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 8 აგვისტო

დღეს, 8 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1.070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში—მოხს. ქართულ ენაზე.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—მოხს. ქართულ ენაზე.

მუშათა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

მოწინავე მუშები შედიან პარტიაში—მოხს. ქართულ ენაზე.

პარტიის მეორე ყრილობა—მოხს. რუსულ და სომხურ ენებზე.

საფოსტო ყუთი.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშახელზე

დღეს, 8 აგვისტოს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ლუკა ლაფერაშვილი, ამბარძანოვი, პავლე ბორისლავი, სოლომონ გული, გრიგოლ ლილუაშვილი, ივანე მალოჭმანიძე, აკაკი ჯოხაძე, ერმილე კერესელიძე; ივანე ზეტერიძე, ბესარიონ მაისურაძე, სოფიო კაპანაძე, შალვა სულხანიშვილი და ლევან კაპალსკი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდამ: ვასილ ჩიქოვანი, სიმონ კოპაძე, ივანე დავითიანი, მიხეილ ახალქალაქიშვილი, აკაკი ელიქაშვილი, ისაკ ერიომინი, დავით ბარამიძე, ნიკოლოზ ფიჩხაძე, ზაქარია ათოევი, არშაკ არუთინოვი, ალექსი ტურბინი, ასლან აკოფიანი, ალექსანდრე ქარუმიძე, ნიკოლოზ ბეჟანიშვილი, ლუარსაბ ლუკაშვილი, ალექსანდრე მელიავა, სისაკ იზრაელიანი, რ. სტეფანოვი, ანა დალაქიანი, ნატალია ვეკუა, დავით ანანიაშვილი, შალვა ლორთქიფანიძე, გიორგი ჩხეიძე, მარიამ გაჩეჩილაძე, ბარბალე თურქია, მოსეს სავაროვი, ა. პოლოსოვი, ი. კალანდაძე, ლევან გაჩეჩილაძე და ვლადიმერ სათოვაძე, იაკობ კარტავევი, იაკობ ფარსადანოვი, გრიგოლ სტურუა, ივანე დადიანი, შიხო ქორჩილავა, მარიამ მარგველაშვილი, გაიკ აზატიანი, ამბროსი მახარაძე, კონსტ. ზაქარეევი, ნათელა აგანჯაიშვილი, გარეგინ სარაჯევი, ეკატერინე ბეზისშვილი, თამარ ქოხოძელიძე, ეკატერინე მატკავა, ნიკოლოზ ასათიანი, ივანე პირიანოვი, მიხეილ სტეფანოვი და ნინო სართანია

მუშათა მესამე სექციიდან: ს. ალავერდოვი, ს. გალუსტოვა, ა. ვასილიოვი, ე. ანდრიასოვა, ა. აკოპოვა, კ. სირაძე, და დ. წულაძე.

იურიდიული დახმარება

ი. ქუშაშვილს

კითხვა:

პაპიჩემის მიერ სალოცავ ხატისათვის შეწირულია მამული, რომლითაც სარგებლობენ დეკანოზები დაახლოებით 40 წლის განმავლობაში. გეკითხებით, შეგვიძლია თუ არა ამ მამულის დაბრუნება.

პასუხი:

თქვენ ამ მამულზე არავითარი უფლება არა გაქვთ და არც შეგიძლიათ მოითხოვოთ მისი დაბრუნება იმ მოსაზრებით, რომ ეს მამული მამაპაპეული იყო.

დაზღვეულს

კითხვა:

ვმსახურობ ქუთაისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. სოფელში მაქვს სამოსახლო ადგილი 700 ოთხ. საჟენის სივრცით, რომელზეც გაშენებულია ერთოთახიანი სახლი, სახლი გადაცემული მაქვს ძმაზე თვალყურის სადევნებლად. ზაფხულობით ცოლშვილს ვგზავნი ამ მამულში. ადგილობრივი ხელისუფლებამ შემიტანა მე იმ პირთა სიაში, ვისაც სახლ-კარი უნდა ჩამოერთვას. ჯამაგირი მაქვს 40 მან. არავითარი საკუთრება არ მაქვს. ვდგევარ ნაქირავებ სახლში. გთხოვთ მიპასუხოთ ვის მივმართო, რომ აღნიშნული მამული არ ჩამომერთვას.

პასუხი:

რახან სამოსახლო ადგილი ზედ-აგებული შენობით ამჟამად თქვენზე ირიცხება, ის თქვენ ვერ ჩამოგერთმევათ.

გაბრატ ზირაკიანცს (ჭიათურა, სატყეო ტრესტი)

კითხვა:

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოში აღძრული მქონდა სარჩელი წერეთლების წინააღმდეგ ქონების გამოყოფის შესახებ. ეს საქმე, სხვა საქმეებთან ერთად გაურკვეველი დაიწვა ხანძრის დროს. ამ საქმის საბუთების დედანი კი მე მაქვს ხელთ. გეკითხებით, ვის მივმართო, სად დავიწყო საქმე.

პასუხი:

უნდა წარადგინოთ საბუთები იმავე სასამართლოში, სადაც საქმე ირჩეოდა და ითხოვო აღდგენილი იქნეს ამ საქმის წარმოება. რაკი საბუთები ხელთა გაქვთ, თქვენ შეგიძლიათ ახალი საქმის დაწყებაც იმავე სასამართლოში, თუ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა არ არის ამჟამად გასული.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი საქართველოს სსრ. საგადასახლებო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამასთანავე დართული დებულება საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებო კომიტეტის შესახებ დამტკიცებულად იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მეგრელიშვილი.**

1928 წ. ივლისის 27.
თბილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებო კომიტეტის შესახებ

1. გადასახლების საქმის გასაუმჯობესებლად და ამ სფეროში სხვადასხვა უწყების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესათანხმებლად და გასაერთიანებლად საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან მოეწყოს საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებო კომიტეტი.

2. საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებო კომიტეტის უფლება-მოვალეობას შეადგენს:

ა) გადასინჯოს საქართველოში გადასახლების საქმის პერსპექტიული და წლიური გეგმები და ხარჯთაღრიცხვები და მოსპოს დაინტერესებულ უწყებათა მუშაობაში შემჩნეული პარალელიზმი და შეუთანხმებლობა;

ბ) შექმნას სახელმწიფო საგადასახლებო ფონდი, რისთვისაც გამოჰყოს სახელმწიფო მიწების ფონდიდან დასახლებისათვის ვარგისი მიწები, გადარიცხოს იმავე საგადასახლებო ფონდში ვაკ-ტყეები და გამოაცხადოს ნაკლებად დასახლებული სოფლები საგადასახლებო რაიონებად;

გ) განიხილოს ანგარიშები საგადასახლებო ღონისძიებათა შესახებ და მისცეს მათ გამო დასკვნა;

დ) გაუწიოს ზედამხედველობა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხთა გადასახლებას და ხელი შეუწყოს [illegible] სახლებას;

ე) განიხილოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობანი მიწის კოდექსის 167 მუხ. შესაბამისად იძულებითი გადასახლების შესახებ და მისცეს დასკვნა საამისოდ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების გამო;

ვ) გაუწიოს დახმარება გადასახლებულთ სათანადო უწყებიდან კრედიტის მიღების საქმეში და ხელი შეუწყოს მათ კეთილმოწყობას;

ზ) განიხილოს სათანადო უწყებათა მიერ შედგენილი კანონპროექტები და ინსტრუქციები და წარადგინოს არსებული წესისამებრ დასამტკიცებლად;

3. საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებო კომიტეტის შედგენილობაში შედიან:

მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ეკონომიური განყოფილების გამგე, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწამოწყობისა და სას.-სამეურნეო სამმართველოების უფროსნი, საგადასახლებო განყოფილების გამგე, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუდმივი წარმომადგენელი (ეპიდემიოლოგი ან ჰიგიენისტი) და აფხაზეთის ს. ს. რ.-სა, აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენელნი.

4. საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებო კომიტეტის თავმჯდომარედ არის მიწადმოქმედების სახალხო კომისარი, რომელიც მოიწვევს კომიტეტის სხდომებს საჭიროებისამებრ.

5. საგადასახლებო კომიტეტის სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც.

6. საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებო კომიტეტს უფლება აქვს იქონიოს უშუალო ურთიერთი მიმართვა და მიწერ-მოწერა ყველა რესპუბლიკანურ ან ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებასთან და ორგანოსთან და თავისი საჭიროებისათვის გამოიყენოს საქართველოს მიწადმოქმედების საგადასახლებო განყოფილების აპარატი.

7. საგადასახლებო კომიტეტს აქვს საკუთარი ბეჭედი შემდეგი წარწერით: „საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებო კომიტეტი“.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 8 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა.

სავალდებულოა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: **მე-61 უჯრედიდან:** მხითარ ვართანიანი, მხითარ ავაქიანი, კურბანოვ-ვალი, აზიზ-ოღლი. **მე-4 უჯრედიდან:** ბორის მალსაგოვი. **მე-26 უჯრედიდან:** იაკობ ობოიანსკი. ვასილი კრეტოვი, მიხეილ ევსეევი, ივანე მურუნოვი, ივანე აქსენოვი, ივანე სუხორუჩენკო, რომან პესჩანსკი, პეტრე ბორისოვი, ვასილ მედვედევი, ივანე ბახნიკოვი, სიმ. კარტავიხი, ნიკოლოზ კორნეევი, მ. კოროლევი, ვალენტინ, ბარსკოვი, პავლე თროლიკი და ივანე ბრიაკინი.

მე-81 უჯრედიდან: ალექსანდრე სულხანოვი. **მე-25 უჯრედიდან:** მიხეილ ხაუსტოვი, ნიკოლოზ პუტურაძე და სურენ ბაბასიანი. **მე-26 უჯრედიდან:** ილია ვორონენკო.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ნინა ძაგანიძეს, ეკატერინე გოგუაძეს და ნინა ჯღარკავას (რომელთაც მიმდინარე წელს დაამთავრეს სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი) და გაბრიელ ლევანისძე კაკაბაძეს (რომელმაც მ. წ. დაამთავრა სახ. უნივერს. პედაგოგიური ფაკულტეტი) ორი დღის ვადაში გამოცხადდნენ ამხ. ლიცინთან საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ელ. გარგალაჯევას და დარიო ჯიოევას ორი დღის ვადაში გამოცხადდნენ ზემო აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. [illegible]ველიასთან.

იმ შემთხვევაში თუ ამხანაგები არ იმყოფებიან თბილისში, შეგვატყობინონ მისამართი.

—:—

დღეს, 8 აგვისტოს, დღის 12 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ტოროშელიძე, ასრიბეკოვი, კანდელაკი, მაჩაიძე, მესხი და გეგენავა.

გულმოკლულნი დედა მართა, და მარო ძმები: დიანოზი და ალექსანდრე ცოლშვილით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ, რომ 6 აგვისტოს გარდაიცვალა

იოსებ (სოსო) დავითის ძე კოჭლამაზაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს, 8 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან გრიბოედოვის ქ. № 24, 9 აგვისტოს საღამოს 5 საათზე. ვერის ახალ სასაფლაოზე
3223

ზუგდიდის სამაზრო საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ, რომ 5 აგვისტოს გარდაიცვალა საუკეთესო შეგნებული მომვლელი ქალი

მანია სენიუშკინა

დასაფლავება ქალაქ ზუგდიდში მოხდა 7 აგვისტოს ნ. 1476

დამწუხრებულნი: მეუღლე გოგუცა, შვილები ნინუსია და ილიუშა, ძმები: ირაკლი და ტიტე მეუღლებითურთ, დაი მაგდანე ებრალიძისა შვილებით; ცოლისძმა დიმიტრი, ბიძა ილიკო, ცოლისდები: თამარა და მარუსია წულუკიძენი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი

დავით ადამის ძე ართმელაძე

გამოსვენება 9 აგვისტოს, ქ. ლანჩხუთიდან დღის 2 საათზე სოფ. ქვიანში; დაკრძალვა ამავე დღის 5 საათზე 32-0



სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები.

ა. ლუნაჩარსკი—კულტურა დასავლეთსა და ჩვენში (თარგ. ნ. ალინისა) გვ. 80 ფ. 30 კ.

აგრ. ნ. ნაკაშიძე—ჩაის ბუჩქი, მისი გაშენება და მოვლა გვ. 120, ფასი 50 კაპ.

ანტირელიგიური სახელმძღვანელო გლეხობისათვის ფასი 2 მან.

ნას. 1462

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ამერიკული კინო-რომანი **რობინზონ კრუზო**	3 და 4 სერია
საზაფხულო ეთერი	მარჩელა ალბანი, პაულ ვეგენერი საუკეთესო სურათში **სიცოცხლე სიცოცხლისათვის**	
საზაფხულო დარბაზი	ნიკოლოზ კოლინი მხატვრულ სურათში **საყვარელი მაწანწალა**	
საზაფხულო პალასი	მხატვრული საუკეთ. სურათი **ტყის ზღაპარი**	
პროლეტარი ავლაბარი	**რობინზონ კრუზო**	1 და 2 სერია ერთად

მალე კინო—ეთერში „დიდ ქალაქში“ 0-6

საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კლუბი
დღეს, 8 აგვისტოს
პოპულიარული **სიმფონიური კონცერტი**
ცნობილი დირიჟორის **ა. ბ. ხესსინის** ხელმძღვანელობით.
პროგრამაში: გლაზუნოვი, რიმსკი-კორსაკოვი, ლიადოვი, ლიტოლფი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ბაღში კინო. სიმფონიური კონცერტის ბილეთები გამოდგება კინოსთვისაც.
შემდეგი კონცერტი—ხვალ, 9 აგვისტოს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ხესსინის ხელმძღვანელობით.
3—2 ნ. 1466

კინო **პალასი** დღეს და ყოველდღე მხატვრული სურათი
ტყის ზღაპარი
დადგმა **ი. ტარიჩისა**
მთავარ როლებში:
გალინა, კრავჩენკო, კოტელნიკოვა, ბორისოვი და სხ.
ნ. 1474 სიმებიანი ორკესტრი ფიდელმანის ხელმძღვანელობით

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 9 აგვისტოს, სასახლის ქ. № 3-მის ეზოში დილის 12 საათზე, ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის 10 ჯიშიან ძროხას და ერთ ხბოს.
ნ. 1475

სია

იმ ხელისმომწერთა გაზეთ „კომუნისტისა“, რომლებიც არ იღებენ გაზეთს არა სწორი მისამართების მოცემის გამო.

სახელი და გვარი

1. ტატულოვი ჩარის შეს. № 3
2. დაჩანაშვილი სასახლის ქ. № 6
3. ბაკურაძე ნიკოლოზ პლეხანოვის 108/72
4. იზხნელი სოლომონ ვანქის ქ. № 7
5. ბარაბაძე ტრიფონ რუსთაველის პრ. № 11
6. აბდულაევა ხანუმ-ნინა ფაბრიკის შესახ. № 4
7. უმიკაშვილი ვარდის მოედანი № 3
8. კუპრაშვილი ვერის მე-2 შეს. № 21

ზემო აღნიშნული ხელისმომწერლებს სთხოვენ აცნობონ გაზეთ „კომუნისტი“-ს ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართი.

გაზ. „კომუნისტის“ ექსპედიცია.

მისამართი: კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 68.
ტელ. 5—48. 2—2

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო** საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ახალ-სენაკის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებ.
ლ. კიზირია
ამით აცხადებს, რომ 15 აგვისტოს დილის 10 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ქ. ახალ-სენაკში, შავი-ზღვის ქუჩაზე, სადაც გაიყიდება მოქ. ირაკლი იოსების-ძე კვაშილავას კუთვნილი ხის სახლი ოთხოთახიანი, ქვედა პადვალით, დახურული ყავრით სიგრძით და განით 12 X 12 არშინიანი, შეფასებული 500 მან. და ერთი ხის სასიმინდე ყავრით დახურული შეფასებული 30 მან., დასაკმაყოფილებლად სენკოტრესტის და სხ. ვალისა, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 1473

ქ. თბ. საბინაო სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ჭეიშვილი
ამით აცხადებს, რომ ის 9 აგვისტოს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 71 რიგის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ნიკოლოზ პაცარკლიშვილის მოძრავ ქონებას: ერთი დიდი არღანი სისტემას „ნეჩადა“, ხუთი ვედრო არაყი, 14 ცალი სხვადასხვა მაგიდები, 36 ც. სკამები, 4 ც. სპილენძის ქვაბი, 100 ცალი კვარტის ღვინო შეფასებულს 236 მანეთად, მოქ. მანჟუხინის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. საბინაო სახალხო სასამართლოსაგან 20 აპრილს 1928 წ. თარიღით, № 1518 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3243

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული. საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“), პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი) № გ. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათად. 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუშუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. დ საღ 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ქუთაისში (დროებით)
მედიცინის დოქტორი
მ. ფ. მგალობელი
ქალთა სნეულებანი (მხოლოდ) იღებს საღ 6—7 ს. ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18. 3212

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებებს პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

სად. კოპიტნარში ა/წ. 27 ივლისს საღამოს დაეკარგა 10 წლის ვაჟი **გიორგი ივანეს ძე ნიქაბაძე** შემდეგი ნიშნებით: ფერად თეთრი, ჭრელი თვალები, თავზე ამჩნევია ნამტკიანები, ნახველს ვთხოვთ ვაცნობოს სოფ. ფარცხნაყანევში (ქუთაისის მაზრა)
ივანე ნიქაბაძეს

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი და სასწავლებლის ატესტატი № 234 გაცემული ქეთევან მიხეილის ასული დადიანის სახელზე, ჩ. გ. 323

დაიკარგა: პარტბილეთი № 0858417 გაცემული ქუთაისის სამაზრო პარტკომის მიერ იოსებ შუბლაძის სახელზე, ჩ. გ. 3-39

დაიკარგა: სახალხო კვების კავშირის წიგნაკი № 1954 თამარა დათუკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3240

დაიკარგა: პარტ-საკანდიდატო ბარათი № 2885 ვლადიმერ ძასიკოვის-ძე მიქაშვიძის სახელზე, ჩ. გ 3236

დაიკარგა: აბაშის „ზაკტპას“ საწევრო წიგნაკი № 31017 ლევან თედორეს ძე ქაჭარავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1472

დაიკარგა: ა. ლ. კ. კ. ბილეთი № 41416 ანტონ პაჭკორიას სახელზე, ჩ. გ. 3235

დაიკარგა: მთლიანი საკავშირო პარტბილეთი № 0862728 სპირიდონ გრიგორის-ძე ტყებუჩავას სახელზე, ჩ. გ. 3235

დაიკარგა: პირადობის მოწმობა, ნუსხა, სიღარიბის მოწმობა, რიონჰესის მუშ. კავშ. მოწმობა, დასაზღვევი წიგნაკი, სანგარიშო წიგნაკი, გლეხკომის, რემედასის, წითელი ჯვრის, ავიაქიმის და მეტრიკული ამონაწერი შალვა გაბადაძის სახელზე, ჩ. გ. 3232

დაიკარგა ვინაობის წიგნაკი № 241 მალაქია მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 3232

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 1397 გრიგოლ სიმონის-ძე კუნჭულიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1471

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 1160 ნატალია კონსტანტინეს ასული მკურნალის სახელზე, ჩ. გ. ნ. 471

დაიკარგა: სიღარიბის მოწმობა № 959 აკაკი დიტოს-ძე ყალიჩავას სახელზე, ჩ. გ. 3238

დაიკარგა: ზესტაფონის რკ. გზის 7 წლედის დასრულების მოწმობა № 389 ნინა პავლეს ასული ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 3238

დაიკარგა: ცნობის მოწმობა № 43 მიღებული თემაღმასკომიდან გრიგოლ სოსელიას სახელზე, ჩ. გ. 3238

დაიკარგა: სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა „მისაწერი წიგნაკი მწვევამდელისა“ ფორმა № 3 სარდიონ მოსეს-ძე პაპიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3242

დაიკარგა: სიმწიფის მოწმობა გაცემული ხაბუმის თემის ზუგდიდის მაზრის შრომის სკოლის მიერ 1927 წელში ტარასი სორდიას სახელზე, ჩ. გ. 3241

დაიკარგა: სოფ. ონოლის 7 წლ. სკოლის კურს დამთავრების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და სოც. მდგომარეობის მოწმობა გაბრიელ ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 3244

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 53480 ჩ. გ. 3246

დაიკარგა: მუშკოოპის მიერ გაცემული საწევრო წიგნაკი № 34865 ვლადიმერ აბზიანიძის სახელზე, ჩ. გ. 3247

პოლიგრ.-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.